

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის  
პროფესიულად ღირებულ პიროვნული ნიშან-თვისებების მოდელი

ქეთევან ქობალია

*სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების დოქტორის აკადემიური  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ხელოვნების ინტერდისციპლინური  
სადოქტორო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორ-ემერიტუსი ნათელა იმედაძე



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
თბილისი, 2014

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან ქობალია

26.12.2014

## აბსტრაქტი

სადისერტაციო ნაშრომი ეძღვნება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლისთვის პროფესიულად ღირებული ნიშან-თვისებების ჰიპოთეტური მოდელის აგებას დაშემუშავებული მოდელის ქართულ პოპულაციაზე ვერიფიკაციას.

კვლევა, მიზნიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, განხორციელდა 2 ეტაპად, გამოყენებულ იქნა კვლევის შერეული ტიპი შემდეგი თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდებით: სამაგიდო კვლევა, გამოკითხვა და ტესტირება.

პირველ ეტაპზე განხორციელდა საკვლევი საკითხის წინასწარი მოკვლევა: ინფორმაციის მოძიება თუ რა წარმოდგენები აქვთ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მომავალ მასწავლებლებს (სტუდენტებს) ამ დარგის სპეციალისტის პროფესიულად ღირებული პიროვნული ნიშან-თვისებების შესახებ. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის (დღევანდელი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის) 142 სტუდენტმა. მიღებული მონაცემები და სპეციალურ ლიტერატურაში არსებული მასალების თეორიული შედარებითი ანალიზი საფუძვლად დაედო კვლევის შემდგომ ეტაპის დაგეგმვას. კერძოდ, საბოლოოდ ჩამოყალიბდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პიროვნული ნიშან-თვისებების ჰიპოთეტური მოდელის მახასიათებლები, შეირჩა ინსტრუმენტები და დაიგეგმა კვლევის მეორე ეტაპი.

კვლევის მეორე ეტაპზე განხორციელდა ჰიპოთეტური მოდელის ვერიფიკაცია ქართულ პოპულაციაზე, კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოქმედ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებზე (170 მასწავლებელი). აღნიშნულ ეტაპზე გამოყენებული იყო შემდეგი ინსტრუმენტები: პიროვნების საკვლევი კეტელის 16-ფაქტორიანი კითხვარი, მინესოტას სტანდარტიზებული მრავალმალური პიროვნების საკვლევი კითხვარი და ტორენსის კრეატულობის საკვლევი მეთოდიკა "დაასრულე ნახატი".

კვლევის შედეგებმა აჩვენა:

- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პროფესიულად ღირებული პიროვნული ნიშან-თვისებების ჰიპოთეტური მოდელიში შეიცავდა 9 მახასიათებელს: სიახლისადმი ღიაობა; კრეატიულობა; მაღალი ინტელექტი; ემოციური სტაბილობა; სიმშვიდე; მაღალი თვითკონტროლი; სენსიტიურობა; კომუნიკაბელობა; სითამამე.
- ქართულ პოპულაციაზე ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის შედეგად გამოვლინდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლისთვის დამახასიათებელი 7 ძირითადი პიროვნული ნიშან-თვისება: ქცევის მაღალი ნორმატიულობა, სითამამე, მაღალი თვითკონტროლი, არაფრუსტრირებადობა, კომუნიკაბელობა, ემოციური სტაბილობა და სენსიტიურობა.
- ჰიპოთეტურ მოდელში წარმოდგენილი 5 პიროვნული ნიშან-თვისება (სითამამე, მაღალი თვითკონტროლი, კომუნიკაბელობა, ემოციური სტაბილობა და სენსიტიურობა) აღმოჩნდა იდენტური ქართული პოპულაციის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებისთვის;
- გამოიკვეთა დამატებითი ორი მახასიათებელი, რომელიც არ იყო გათვალისწინებული ჰიპოთეტურ მოდელში. ესენია ქცევის მაღალი ნორმატიულობა და არაფრუსტრირებადობა;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების მხოლოდ მცირე ნაწილს (38.8%-ს) ახასიათებს სიახლისადმი ღიაობა;
- მონაწილეების საკმაოდ დიდი ნაწილი კრეატიულობის დაბალი (28.2%) და საშუალო (50.4%) მაჩვენებლით ხასიათდება.

დისერტაციაში ნაჩვენებია, რომ სიახლისადმი ღიაობა და კრეატიულობა მეტად ღირებულია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თანამედროვე მასწავლებლისთვის. დადასტურებული განსხვავება გვაძლევს კონკრეტულ მიმართულებას ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მომზადების და გადამზადების ოპტიმიზაციისთვის. დისერტაციის ბოლოს მოცემულია ამ მიმართულების რეალიზაციისთვის კონკრეტული რეკომენდაციები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი, პროფესიულად ღირებული პიროვნული ნიშან-თვისებები, მასწავლებლის ჰიპოთეტური მოდელი.

## Abstract

The dissertation work is dedicated to building a hypothetical model of professionally valuable traits for a sport and physical education teacher and verification of the developed model for the Georgian population.

The study, pursuant to its goals and objectives, was conducted in 2 stages; the mixed type of the study was implemented using the following qualitative and quantitative methods: desk research, survey and testing.

During the first stage, the preliminary examination of the study issue was conducted: the information was collected about the opinions of future sport and physical education teachers (students) about the professionally valuable traits of a teacher in the above field. 142 students of Ilia Cahvchavadze State University (currently Ilia State University) participated in the survey. The data obtained and the theoretical comparative analysis based on the literature was the basis for the planning of the following stage of the study. In particular, the characteristics of the hypothetical model of a physical education and sports teacher were finally developed, the tools were selected and the second stage of the study was planned.

At the second stage, the hypothetical model was verified for the Georgian population, in particular, for the sport and physical education teachers of the educational institutions (170 teachers). The following tools were used at this stage: The investigational Cattell 16-factor questionnaire, the Minnesota Multiphasic Personality Inventory questionnaire, and Torrance creativity research method "Complete the Image".

The study results revealed the following:

- A hypothetical model of the professionally valuable traits of a physical education and sports teacher included 9 traits: openness to change; creativity; high level of intelligence; emotional stability; calmness; high level of self-control; sensitivity; good interpersonal skills; courage.

- The experimental research on the Georgian population revealed 7 basic personal characteristic traits of a sport and physical education teacher: high level of normative behavior, courageousness, high level of self-control, trait of non-frustration, good interpersonal skills, emotional stability and sensitivity.
- The 5 personality traits presented for the hypothetical model (courage, high level of self-control, good interpersonal skills, emotional stability and sensitivity) turned out to be identical for a sport and physical education teachers of the Georgian population;
- Two additional traits were outlined, which were not considered in the hypothetical model. These include high-normative behavior and trait of non- frustration;
- Only a small proportion of physical education and sport teachers (38.8%) was characterized by openness to innovation;
- The majority of the participants were characterized by low (28.2%) and medium (50.4%) creativity rate.

The dissertation shows that openness to innovation and creativity are valuable traits for a modern sport and physical education teacher. The verified difference provides us with a particular direction how to optimize the sport and physical education teacher training process. Finally, the dissertation makes specific recommendations to implement the above mentioned direction.

Key words: teacher of physical education and sport, professionally valuable traits, a hypothetical model of a teacher.

# სარჩევი

სარჩევი-----	
viii ცხრილების/სქემების ჩამონათვალი -----	
-ix	
დიაგრამების ჩამონათვალი -----	x
<b>შესავალი</b> -----	<b>1</b>
საკვლევი თემის მნიშვნელობა და აქტუალობა -----	1
• სადოქტორო ნაშრომის მიზანი-----	4
• კვლევითი ამოცანები / ჰიპოთეზები-----	4
• გზამკვლევი ნაშრომის სტრუქტურაში-----	5
<b>თავი 1. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა</b> -----	<b>6</b>
1.1. განათლების მოდერნიზაცია როგორც ინოვაციური პროცესი-----	6
1.2. მასწავლებლის პროფესიოგრამა -----	28
1.3. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პიროვნების მოდელი -----	46
<b>თავი 2. მეთოდოლოგია</b> -----	<b>56</b>
2.1. კვლევის მიმოხილვა და დიზაინი -----	56
2.2. კვლევის პირველი ეტაპი -----	59
2.2.1. კვლევის მიზანი -----	59
2.2.2. კვლევის მონაწილეები და პროცედურა -----	59
2.2.3. კვლევის შედეგები -----	60
2.3. კვლევის მეორე ეტაპი -----	62
2.3.1. კვლევის მიზანი -----	62
2.3.2. კვლევის ინსტრუმენტის აღწერა -----	62
2.3.3. კვლევის მონაწილეები და პროცედურა -----	68



2.3.4. კვლევის შედეგები -----	70
<b>თავი 3. კვლევის შედეგების შეჯამება/დისკუსია -----</b>	<b>92</b>
<b>თავი 4. დასკვნა-----</b>	<b>100</b>
<b>თავის 5. რეკომენდაციები -----</b>	<b>102</b>
5.1. რეკომენდაციები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პროფესიულად ღირებული ნიშან-თვისებების მოდელის რეალიზაციისთვის -----	102
5.2. რეკომენდაციები შემდგომი კვლევებისათვის -----	103
<b>გამოყენებული ლიტერატურა-----</b>	<b>104</b>
<b>დანართები-----</b>	<b>116</b>
დანართი 1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პროფესიულად ღირებული პიროვნული ნიშან-თვისებები -----	116
დანართი 2. პიროვნების საკვლევი რ. კეტელის 16-ფაქტორიანი კითხვარი -----	117
დანართი 3. ტორენსის შემოქმედებითი აზროვნების შესაფასებელი მეთოდოლოგია „დაასრულე ნახატი“ -----	125
დანართი 4. მინესოტას სტანდარტიზირებული მრავალფაზური პიროვნების საკვლევი კითხვარის რიგიდულობის სკალა -----	126
<b>ცხრილების / სქემების ჩამონათვალი</b>	
ცხრილი 1. ნიშან-თვისებების პირველი ათეული-----	60
ცხრილი 2. ნორმალური პირველადი ნიშნები-----	63
ცხრილი 3. ფაქტორი „ექსტრავერსია“ - სკალების ფაქტორული წონა-----	83
ცხრილი 4. ფაქტორი „შფოთვა“ - სკალების ფაქტორული წონა-----	83
ცხრილი 5. ფაქტორი „სიახლისადმი ღიაობა“ - სკალების ფაქტორული წონა-----	83
ცხრილი 6. ფაქტორი „დამოუკიდებლობა“ - სკალების ფაქტორული წონა-----	84

ცხრილი 7. ფაქტორი „თვითკონტროლი“ - სკალების ფაქტორული წონა-----	84
ცხრილი 8. კორელაციური კავშირი ფაქტორებს შორის-----	91
სქემა 1. ჰიპოთეტურ მოდელისა და კვლევის შედეგად მიღებული პროფესიულად ღირებული ნიშან-თვისებების მონაცემები-----	95

**დიაგრამების ჩამონათვალი**

დიაგრამა 1. რესპოდენტთა განაწილება სქესის მიხედვით-----	70
დიაგრამა 2. რესპოდენტთა განაწილება პედაგოგიური სამუშაო გამოცდილების მიხედვით-----	71
დიაგრამა 3. რესპოდენტთა განაწილება სწავლების საფეხურის მიხედვით-----	72
დიაგრამა 4. რესპოდენტების განაწილება კეტელის ფაქტორების მიხედვით-----	73
დიაგრამა 5. კეტელის ფაქტორული მოდელი დომინანტური ფაქტორების მიხედვით--	75
დიაგრამა 6. არასენსიტიურობა/სენსიტიურობის სკალა სქესის მიხედვით-----	76
დიაგრამა 7. სწორხაზოვნება/დიპლომატიურობის სკალა სქესის მიხედვით-----	76
დიაგრამა 8. სიმშვიდე/შფოთვის სკალა სქესის მიხედვით-----	77
დიაგრამა 9. ინტელექტის სკალის მაჩვენებლები ასაკის მიხედვით-----	78
დიაგრამა 10. კონფორმულობა/არაკონფორმულობა სკალის მაჩვენებლები ასაკის მიხედვით-----	79
დიაგრამა 11. ემოციური ლაბილობა/სტაბილობის სკალის მაჩვენებლები სტაჟის მიხედვით-----	80
დიაგრამა 12. არასენსიტიურობა/სენსიტიურობის სკალის მაჩვენებლები სწავლების საფეხურის მიხედვით-----	80
დიაგრამა 13. კონსერვატიზმის/სიახლისადმი ღიაობის სკალის მაჩვენებლები სწავლების საფეხურის მიხედვით-----	81
დიაგრამა 14. რიგიდულობის მაჩვენებლები-----	85
დიაგრამა 15. რესპოდენტთა განაწილება რიგიდულობის მაჩვენებლების მიხედვით--	87
დიაგრამა 16. რესპოდენტთა განაწილება კრეატიულობის მაჩვენებლების მიხედვით----	88
დიაგრამა 17. რესპოდენტთა განაწილება კრეატიულობის დონეების მიხედვით-----	89

# შესავალი

## *საკვლევი თემის მნიშვნელობა და აქტუალობა*

განათლების სისტემის მოდერნიზაცია XX საუკუნის მეორე ნახევარში იღებს თავის სათავეებს. მის საფუძველს წარმოადგენს საზოგადოების ჰუმანიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესები, რის შედეგადაც პედაგოგიური განათლება პრიორიტეტული გახდა.

საქართველოში მნიშვნელოვნად შეიცვალა საგანმანათლებლო სტრატეგია, რომლის ძირითადი მიზანია თანამედროვე შემოქმედებითად მოაზროვნე პიროვნების აღზრდა. ამ მიზნის მიღწევისას განსაკუთრებული ადგილი ეთმობა განათლების სისტემის მოდერნიზაციას სწავლების ახალი პარადიგმის გათვალისწინებით. სწავლების ძველი პარადიგმისა და ავტორიტარული მოდელის მიხედვით მასწავლებელი ძირითადად ასრულებდა ცოდნის გადაცემის ფუნქციას. ამჟამად მისი დანიშნულებაა, მართოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, მოსწავლე აღიქვას არა მხოლოდ ობიექტად, არამედ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გახადოს იგი სწავლების სუბიექტად. ამ შემთხვევაში ორიენტაცია კეთდება მოსწავლეზე, თითოეული ბავშვის განვითარებაზე. ასეთი მოთხოვნა აუცილებელს ხდის მასწავლებლის პროფესიულ მომზადებაში სერიოზული ცვლილებების შეტანას პედაგოგიური ინოვაციების საფუძველზე.

პედაგოგიური ინოვაციები სწავლების საკუთარი ტექნოლოგიებით მუდმივად მიისწრაფვის საგანმანათლებლო სისტემებში დასამკვიდრებლად. ინოვაციები დამახასიათებელია განათლების ყველა სფეროსათვის, ისინი წარმოადგენენ მის კანონზომიერებას. ხაზგასმით შეიძლება აღინიშნოს, ამ პროცესების აუცილებლობის მნიშვნელობა. პედაგოგიური ინოვაციების წარმატებულობა იბლოკება მისი სამეცნიერო საფუძვლებისა და ინოვაციური საქმიანობის მართვის არასაკმარისი გაგების გამო. განათლების ეფექტიანობის ასამაღლებლად აუცილებელია მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტა, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია - ახალი ტიპის

მასწავლებლის პროფესიული მომზადება. თანამედროვე მასწავლებელი უნდა იყოს შემოქმედებითი, ღია ინოვაციური საქმიანობისათვის; მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ახლისადმი დადებითი დამოკიდებულება, თვითგანათლების მოთხოვნილება და, აგრეთვე, კოლეგებთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან თანამშრომლობის სურვილიც.

საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები თხოულობენ მასწავლებლის განათლების კონცეპტუალური სისტემის გადახედვას. ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის აუცილებელია **მასწავლებლის პიროვნების შესწავლა, მისი პროფესიულად ღირებული პიროვნული ნიშან-თვისებების განსაზღვრა და შესატყვისი მოდელის შექმნა.**

პროფესიულ-პედაგოგიური საქმიანობის გარდაქმნა, მისი ახალი თვისებრივი დონე უნდა უზრუნველყოფდეს მასწავლებლის პიროვნების ჩამოყალიბებას, მის პროფესიულ კომპეტენტურობას, პედაგოგიურ ოსტატობას.

მრავალწახნაგოვანი, წარმატებული პედაგოგიური მუშაობის მისაღწევად მასწავლებელმა მუდმივად უნდა იზრუნოს პროფესიულად ღირებული ნიშან-თვისებების განვითარებაზე, რომ იგი გახდეს "კომპეტენტურობის ეფექტიანი მაგალითი" თავისი ფუნქციების შესრულებაში (Brunner, 1976). გასათვალისწინებელია, რომ მასწავლებლის გარკვეული ღირებული თვისებების ერთობლიობა განსაზღვრავს პედაგოგის პროფესიულ ქცევასა და კულტურას.

მასწავლებლის პროფესიულად ღირებული ნიშან-თვისებები ბევრი სამეცნიერო კვლევის საგანი იყო, დადგინდა ამ ცნების შინაარსი: პროფესიულად ღირებულ თვისებად ითვლება ისეთი, რომელიც ჩართულია პროფესიულ საქმიანობაში და ეფექტურად მოქმედებს ამ საქმიანობის წარმატებული შედეგების მიღწევაზე. მასწავლებლის მომზადებისადმი სხვადასხვა მიდგომის შესაბამისად მეცნიერები გვთავაზობენ ამ თვისებების კლასიფიკაციებს სპეციალობების მიხედვით.

მასწავლებლის პიროვნების მოდელის აგების პრობლემით მსოფლიოში დაინტერესდა ბევრი მეცნიერი (მ. ჯონსი, ხ. ერიქსონი, რ. დიტერიხი, რ. ბრუნერი, გ. სელეკო და სხვ.). ამ მიმართულებით ჩატარდა სხვადასხვა კვლევა, შეიქმნა

სერიოზული პუბლიკაციები, რომელსაც საფუძვლად დაედო საგანმანათლებლო სტრატეგიის შემუშავება და ინოვაციური მოძრაობის დამკვიდრება.

მეცნიერებმა განათლების სისტემის მოდერნიზაციაში განსაკუთრებული ადგილი მიანიჭეს ცხოვრების ჯანსაღი წესის კვლევის პრობლემას, რომელიც მიზანმიმართულია ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.

მსოფლიოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალისტებმა აქტიურად დაიწყეს ამ დარგის წარმატებული მასწავლებლის მოდელის შემუშავება. ფოკუსირება კეთდებოდა პროფესიულად ღირებული პიროვნული ნიშან-თვისებების ჩამოყალიბებაზე.

ბოლო ათეულ წლებში ასეთმა ვითარებამ ფიზიკური აღზრდისადმი დამოკიდებულება საქართველოშიც შესამჩნევად შეცვალა. დამუშავებულია სპეციალისტის პროფესიული სტანდარტი, გზამკვლევი, სისტემატურად ტარდება ტრენინგები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების პროფესიული ამაღლებისათვის. ამასთან, სპეციალური კვლევა-ძიება ამ დარგის სპეციალისტის პიროვნების მოდელის დასადგენად არ ჩატარებულა. მიზანი ძირითადად იმაშია, რომ ზემოხსენებული მოდელი უნდა დაეყრდნოს ინოვაციური პედაგოგიკის საფუძვლებს, ხოლო ამის რესურსები საკმარისი რაოდენობით არ გაგვაჩნია. მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადებისათვის აუცილებელია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თანამედროვე მასწავლებლის პიროვნული ნიშან-თვისებების მოდელის შემუშავება.

მიგვაჩნია, რომ ამ მოდელის შექმნისათვის საჭიროა სპეციალური კვლევის ჩატარება. სწორედ ამან განაპირობა სადისერტაციო ნაშრომის თემად ”ფიზიკური აღზრდის და სპორტის მასწავლებლის პროფესიულად ღირებული პიროვნული ნიშან-თვისებების მოდელი“ არჩევა.

### **სადოქტორო ნაშრომის მიზანი:**

სადოქტორო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პროფესიული კომპეტენტურობის დაუფლებისა და სრულფასოვნად განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი პიროვნული ნიშან-თვისებების იდენტიფიცირება. კერძოდ, კვლევა მიზნადისახავს თანამედროვე კვლევით ტენდენციებს, არსებულ პარადიგმასა და თეორიებზე დაყრდნობით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პროფესიულად ღირებული პიროვნული ნიშან-თვისებების ჰიპოთეტური მოდელის აგებასა და მის ექსპერიმენტულ ვერიფიკაციას ქართულ პოპულაციაზე.

### **კვლევითი ამოცანები:**

კვლევის მიზნიდან გამომდინარე კვლევის ამოცანებს წარმოადგენს:

- განხორციელდეს საკვლევი საკითხის რელევანტური პროფესიული ლიტერატურისა და აღნიშნულ სფეროში განხორციელებული უახლესი კვლევების ანალიზი;
- ანალიზის შედეგების საფუძველზე განისაზღვროს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პროფესიულად ღირებული პიროვნული ნიშან-თვისებები;
- შეირჩეს ინსტრუმენტები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პროფესიულად ღირებული პიროვნული ნიშან-თვისებების შესაფასებლად;
- ქართულ პოპულაციაზე შემოწმდეს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პროფესიულად ღირებული პიროვნული ნიშან-თვისებების შემუშავებული ჰიპოთეტური მოდელი.

კვლევის საფუძველად დაედო ჰიპოთეზები, რომლის მიხედვითაც:

- ჩვენ მიერ შექმნილ ჰიპოთეტურ მოდელში წარმოდგენილი პიროვნული ნიშან-თვისებები კონგრუენტულია ქართულ პოპულაციაში მოქმედი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებისთვის დამახასიათებელ პიროვნული მოდელისა;
- შექმნილი მოდელი განსაზღვრავს პროფესიული განვითარების რეალურ სამოქმედო გზას თანამედროვე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის ჩამოყალიბებისთვის.

### *გზამკვლევის ნაშრომის სტრუქტურაში*

ნაშრომი შეიცავს შესავალს და ხუთ თავს.

შესავალ ნაწილში წარმოდგენილია საკვლევი თემის არსი, თემის აქტუალობა და მნიშვნელობა, კვლევის მიზანი, ამოცანები და ჰიპოთეზა.

პირველ თავში წარმოდგენილია სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა საკვლევი პრობლემის შესახებ.

მეორე თავი წარმოადგენს ექსპერიმენტულ ნაწილს. მასში განხილულია კვლევის ორი ეტაპის დიზაინი, კვლევის ინსტრუმენტები, მონაწილეები და პროცედურა; მოცემულია ორივე ეტაპის შედეგები.

მესამე თავში მოცემულია ჩატარებული კვლევის შედეგების შეჯამება და ანალიზი; კვლევის შეზღუდვები.

მეოთხე თავში თავმოყრილია კვლევის შედეგების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები.

მეხუთე თავში მოყვანილია დასკვნების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები.

ნაშრომს ასევე ერთვის გამოყენებული ლირეტატურის ჩამონათვალი და 4 დანართი.

## თავი I

### სამეცნიეროლიტერატურისმიმოხილვა

#### *1.1. განათლებისმოდერნიზაციაროგორცინოვაციურიპროცესი*

მსოფლიო პრაქტიკით დადასტურებულია, რომ სასკოლო განათლების რეფორმირება, რაც გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ინტენსიურად დაიწყო, უმეტეს ქვეყნებში გამოიწვია არა მხოლოდ იმან, რომ დადგა საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის დაქვეითების საშიშროება, არამედ უმთავრესად იმან, რომ სასკოლო განათლების ტრადიციული დანიშნულება და მიზნები სულ უფრო და უფრო ნაკლებად ესადაგებოდა საზოგადოებრიობისა და პიროვნების უახლეს საგანმანათლებლო მოლოდინებს.

დღეს მეცნიერებიც და პრაქტიკოსი პედაგოგებიც განათლებას დიდ ყურადღებას უთმობენ, ვინაიდან მას საზოგადოებრიობის განვითარების რეალურ ფაქტორად მიიჩნევენ. ამ მხრივ წარმატების მოსაპოვებლად კი ჯერ საჭიროა ბევრი აქტუალური თეორიული და პრაქტიკული პრობლემის გადაწყვეტა. ასეთებია, მაგალითად: სასკოლო განათლების შინაარსისა და სტრუქტურის განახლება, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი პედაგოგიური კადრების მომზადება, მართვის სტრუქტურის განვითარება და სხვ.

დასახული ამოცანების განხორციელება, თავისთავად, განათლების მთელი სისტემის მოდერნიზაცია, ჰუმანიზაცია და დემოკრატიზაციაა. აქედან გამომდინარე პედაგოგიური განათლება პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს.

ჩვენი ქვეყნის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის შეფასებათა ცვლილებებთან დაკავშირებით იცვლება პედაგოგიური აზროვნების პარადიგმაც. საუკუნეების განმავლობაში ლოგიკურად ჩამოყალიბებული ცოდნის სისტემის გადაცემიდანსკოლა გადადის სოციალურ-კულტურული მემკვიდრეობის გააზრების



სრულიად ახალ ტიპზე, მოდელზე. წინ იწევს იმის შეგნება, რომ აქტიურად უნდა ვზრუნავდეთ მომავალზე, თავისუფლად შეგვეძლოს ორიენტირება უცნობ გარემოში, არასტანდარტულ სიტუაციებში. ეს კი პედაგოგთაგან მოითხოვს განათლების უწყვეტობას, შესაბამის მოსაზრებულობას, უფრო მოქნილ, სწრაფად გადასინჯვა-გადაფასების უნარს, შეჩვეულ სტანდარტებზე უარის თქმას, ახლის, არატრადიციულის, აგრეთვე უკვე ცნობილის ხელახალ აღქმას (Левитан, 1994).

განათლების სისტემის მოდერნიზაცია ასევე ითვალისწინებს ტრადიციული პარადიგმის: მასწავლებელი - სახელმძღვანელო - მოსწავლე შეცვლას ახლით: მოსწავლე -სახელმძღვანელო - მასწავლებელი. ეს ცვლილება მოიცავს მასწავლებლის როლისა და ფუნქციის შეცვლასაც. აქამდე იგი იყო ცოდნის ძირითადი წყარო და შემეცნების მაკონტროლებელი სუბიექტი. განათლების ახალი პარადიგმის პირობებში, მას რამდენადმე განსხვავებული, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი როლი აკისრია, კერძოდ: აწყობს, აწესრიგებს მოსწავლეთა დამოუკიდებელ საქმიანობას. ეს ძალზე რთული როლია და მასწავლებლისაგან პროფესიულ ოსტატობის მაღალ დონეს მოითხოვს.

სწავლების პარადიგმის ცოდნისეული მიდგომის შეცვლამ პიროვნებაზე ორიენტირებული მიდგომით ხელი შეგვიწყო განათლება მიგვემართა არა მარტო მოსწავლის პიროვნების, არამედ მასწავლებლის განვითარებისაკენაც, მათი ურთიერთმოქმედება განგვესაზღვრა როგორც სუბიექტისა სუბიექტთან. ამ ახალ პარადიგმას საფუძვლად დაედო ერთიანი აღმზრდელობით-საგანმანათლებლო სისტემა, რასაც, თავის მხრივ, შედეგად მოჰყვა მასწავლებელთა უწყვეტი განვითარება და მოსწავლეთა თვითგანვითარება, ეს უკანასკნელი კი მათ მიერ სწავლების ჩვევების დაუფლების, ცოდნის დამოუკიდებლად ათვისების უნარისა და სოციალური გამოცდილების წყალობით გახდა შესაძლებელი.

ამ ბოლო დროს მეცნიერთა და მასწავლებელთა ყურადღებას სულ უფრო ხშირად იპყრობს ჩვენთვის ესოდენ ხელშესახები "სასკოლო განათლების" ფენომენი, იგი თანდათან საზოგადოებრივი განვითარების რეალური ფაქტორი ხდება. ამ განვითარების ეფექტიანობა, უმთავრესად,დამოკიდებულია მასწავლებლის პროფესიულ და ფსიქოლოგიურ მზაობაზე, მის უნარზე გაითავისოს სიახლეები და

პრაქტიკულად გამოიყენოს ისინი, მის პასუხისმგებლობაზე მოსწავლის პიროვნების აღზრდა-განათლებულობაზე, მის სწრაფვა-მონდომებაზე შეუქმნას თითოეულ მათგანს კეთილსასურველი პირობები თვითგანვითარებისათვის. ინოვაციები განათლებაში მასწავლებელმა უნდა აღიქვას როგორც განვითარების ძირითადი "მექანიზმი" და დანერგოს ისინი სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში. მეტიც, იგი წინ უნდა აღუდგეს ინოვაციური პროცესების დამაბრკოლებელ გარემოებებს, უნდა გადალახოს ახლის მიღება-გათავისების ფსიქოლოგიური მოუშაადებლობა, ინოვაციათა "ცხოვრებისეული ციკლის" დაუსრულებლობა, რომელთაც ზოგჯერ პრაქტიკულად ახლავს ხოლმე ძირითადი ინოვაციური იდეის ფორმულირება-ჩამოყალიბების "შეჩერება", მისი ტირაჟირების გზების ტექნიკური დაუმუშავებლობა, რუტინა, დეკლარაციებით მისი შეცვლა, ხანდახან კი არასაკმარისი თეორიული და ექსპერიმენტული დასაბუთებაც.

განათლების სფეროში ადრე არასოდეს არსებულა უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროების ასეთი ღრმა განცდა-შეგნება. კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები და პროფესიული სწავლების სხვა ფორმები განათლების თანამედროვე პროფესიული მიღწევების გაცნობა-შესწავლის მნიშვნელოვანი წყაროებია. მასწავლებელი მუდამ უნდა იყოს ინფორმირებული განათლების ნებისმიერ დარგში ყოველი წამ-წუთის გაჩენილ სიახლეთა თაობაზე და უნდა გამოავლინოს მათი გათავისების მზაობა ისევ და ისევ საკუთარი პროფესიული უნარ-ჩვევების სრულყოფისათვის (Guskey, Huberman, 1995).

თანამედროვე პირობებში ახალ-ახალი ცოდნის მიღება-ათვისება ხდება მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან და განათლების მკვლევარებთან ერთობლივად. მასწავლებლის აქტიური მცდელობით ეს პროცესი ყველასთვის საგანმანათლებლო მნიშვნელობას იძენს. მოსწავლეთათვის იგი ქმნის პირობებს, რათა მათ მოახერხონ თვითრეალიზაცია, აფართოვონ საგანმანათლებლო სივრცეს, ამით კი უზრუნველყოფს თანამედროვე საზოგადოებრივი მოთხოვნების შესაბამისად მათ მომზადებას.

პროფესიული პედაგოგიური განათლების შინაარსის აგების ლოგიკა გვკარნახობს, რომ უნდა მივყვეთ არა მეცნიერების შინაარსეულ მხარეს, არამედ პედაგოგიური

მოღვაწეობის იმ მოსალოდნელ შედეგებს, რომელიც გამოიხატება კომპეტენტურობის ტერმინებში. არჩევენ კომპეტენტურობის სამ ტიპს (Старостина, 2011):

- ზოგადკულტურულს (აუცილებელს ნებისმიერი პროფესიული მოღვაწეობისათვის; დაკავშირებულს პიროვნების წარმატებებთან ამ ჩვენს სწრაფად ცვალებად სამყაროში);
- ზოგადპროფესიულს (ასახავს გარკვეული პროფესიული მოღვაწეობის სპეციფიკას - პედაგოგიურის, სამედიცინოს, საინჟინროს და ა.შ.);
- სპეციალურს (ასახავს პროფესიული მოღვაწეობის კონკრეტული საგნობრივი სფეროს სპეციფიკას).

წარმატებული პედაგოგიური საქმიანობისთვის პროფესიული კომპეტენტურობის სამივე ტიპი მნიშვნელოვანია, თუმცადა ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ე. წ. მასწავლებლის ბაზისური კომპეტენციები:

- პიროვნულ თვისებათა სფეროს მიკუთვნებული კომპეტენტურობა;
- პედაგოგიური მოღვაწეობის მიზნებისა და ამოცანების დასმის კომპეტენტურობა;
- სასწავლო (აღმზრდელობითი) საქმიანობით მოტივირებული კომპეტენტურობა;
- პედაგოგიური მოღვაწეობის ინფორმაციული ქსელის უზრუნველყოფის კომპეტენტურობა;
- პედაგოგიური მოღვაწეობისა და გადაწყვეტილებათა მიღება-შემუშავების დაპროგრამების კომპეტენტურობა;
- პედაგოგიური მოღვაწეობის ორგანიზების კომპეტენტურობა.

საგანმანათლებლო დარგის მოდერნიზაციის პირობებში სასკოლო განათლების განსაკუთრებული პრიორიტეტული მიმართულება მიზნად ისახავს მასწავლებლისა და მოსწავლის პიროვნებათა ფორმირებას, განვითარებას (მათ შორის პიროვნულ თვითგანვითარებას), რაც მუდმივ თანაშემოქმედებაში, თანამშრომლობაში უნდა მიმდინარეობდეს.

თანამედროვე პედაგოგიური განათლების გამოკვეთილი მიზნები და ამოცანებია: მასწავლებლის პროფესიული ჩამოყალიბება, მისი უწყვეტი განვითარება და თვითგანვითარება; მათთვის დამახასიათებელი უნდა იყოს: ჰუმანისტური

მიმართულება, თანამშრომლობა, ინოვაციური სტილი, პროფესიული განათლება, თვითგანვითარება, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა, პროფესიული შრომისუნარიანობა. დღეს მხოლოდ ცოდნის ხარისხზე ორიენტირება საკმარისი არაა. მასწავლებლის არავითარი ცოდნა და უნარ-ჩვევები არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მას ძალუძს მოსწავლეთა სრულყოფილი აღზრდა-განვითარება. საამისოდ კიდევ უამრავი რამაა აუცილებელი.

განათლების სისტემა საფუძვლიან გარდაქმნებს განიცდის, მათში ცენტრალური ადგილი პედაგოგიურ ინოვაციებს უკავია. ინოვაციები, საერთოდ, და პედაგოგიური ინოვაციები კერძოდ, თავისუფლების, შემოქმედების, ძიების განუყოფელი ატრიბუტია. ინოვაციური მოძრაობის სოციალური მნიშვნელობა, განსაკუთრებით განათლებაში, ძნელი გადასაფასებელია იმდენად, რამდენადაც იგი თავისებური სოციალურ-ტექნოლოგიური მექანიზმია, რომელსაც განათლების მოდერნიზაცია ახალ თვისებრივ მდგომარეობაში გადაჰყავს; ესაა განათლების ურყევი განახლების მუდმივმოქმედი მექანიზმი.

ინოვაციური პედაგოგიკა და მისი შესაბამისი მეცნიერული კვლევის მიმართულებები დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში XX საუკუნის შუა პერიოდში ჩაისახა. საზღვარგარეთელი ავტორების კვლევები თავიდან მიზნად ისახავდა განათლების სისტემაში მიმდინარე ცალკეული ინოვაციური პროცესის იმ თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შესწავლას, რასაც საფუძვლად ედო სიახლეები, ინოვაციური საკითხების, მიდგომების მართვის ანალიზის მცდელობები, განათლების მოდერნიზაცია, ინოვაციათა დაგეგმვა და მათი რეკლამირება (Barnett, 1953, Bassett, 1970).

ყოველი ახალწარმონაქმნის დაწყება-დამკვიდრებას სამ ეტაპად ყოფენ:

- პირველ ეტაპზე შეისწავლება ის ფაქტორები, რომლებიც ან ხელს უწყობენ, ან აფერხებენ მის წარმატებით შემოღებას; აანალიზებენ სიახლეთა (ემპირიული მასალის) სხვადასხვა კლასიფიკაციას.

- მეორე ეტაპზე შეისწავლება საკუთრივ ინოვაციური პროცესები, მათ შორის სწავლობენ ყოველი ახალ შემოღებულის ერთი ვითარება-გარემოებიდან მეორეში გადასვლა-გადატანის მექანიზმებს.
- მესამე ეტაპზე მთავარ ყურადღებას უთმობენ სხვადასხვა ტიპის ინოვაციურ სიტუაციათა ანალიზს, ინოვაციების სფეროში რეკომენდაციების ფორმირება-ჩამოყალიბებას.

ინოვაციური პროცესის სტრუქტურას ასევე დაყოფის თავისი ეტაპები აქვს (Хуторской, 2005), კერძოდ:

- ახალი იდეის წარმოქმნის, გაჩენის ეტაპი;
- სიახლის შექმნა-გამოგონების ეტაპი, რაც ხორცს ისხამს რაიმე ობიექტის, სულიერი ან მატერიალური პროდუქტის, ნიმუშის სახით;
- შემდეგ იწყება ახალ წარმონაქმნთა პრაქტიკული გამოყენების ეტაპი, ეს ის ეტაპია, როცა მათგან ელიან მდგრადი, გარანტირებული ეფექტის მიღებას;
- მომდევნო ეტაპია სიახლეთა გაფართოება-გავრცელება (მათი საყოველთაო დანერგვა);
- ამას მოსდევს კონკრეტულ დარგში, სფეროში "გაბატონების" ეტაპი (იგი მთავრდება მისი ალტერნატიული ან შემცვლელი უფრო ეფექტური სიახლის გამოვლინება-შექმნით);
- შემდგომ დგება სიახლეთა გამოყენების მასშტაბების შემცირება-შეკვეცის ეტაპიც, ხდება მათი შეცვლა ახალი პროდუქტით.

ინოვაციურ პროცესებს თავიანთი "ცხოვრებისეული" ციკლიც აქვთ, იგი ხუთ სტადიას მოიცავს: სტარტს, სწრაფი ზრდის, მწიფობის, გაჯერებადობისა და ფინიშის, ანუ კრიზისის სტადიებს. აქედან გამომდინარე, ახალწარმონაქმნი, ახალშემონადები განიხილება როგორც დინამიკური სისტემა, თავისი შინაგანი ლოგიკით (ინოვაციური პროცესით) და მის ირგვლივ არსებულ გარემოში, დროსა და სივრცეში ურთიერთკავშირთა და კანონზომიერი განვითარებით ("ცხოვრებისეული" ციკლით). ინოვაციური პროცესის სტრუქტურა იცვლება სიახლეთა ერთი სტადიიდან მეორეში გადასვლისდამიხედვით.

თანამედროვე პედაგოგიური ინოვაციკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ინოვაციების კლასიფიკაცია. პედაგოგიურ ლიტერატურაში გამოყოფენ განათლების სფეროს ინოვაციურ პროცესთა ორ ტიპს (Пригожин, 1989). პირველ ტიპს განეკუთვნება ინოვაციები, რომლებიც უმეტესად წარმოიქმნება და მიმდინარეობს სტიქიურად; მათი სისტემის არსებობის პირობები, საშუალებები და თვით ინოვაციური პროცესების განხორციელების გზები, როგორც წესი, ბოლომდე გაცნობიერებული არ არის ხოლმე. ამ ტიპის ინოვაციებს ყოველთვის არ ახლავს მეცნიერული დასაბუთება, ისინი ხშირად ემპირიულ საწყისებზე, სიტუაციურ მოთხოვნათა ზეგავლენით წარმოიქმნება. მეორე ტიპს მიეკუთვნება მიზანმიმართული, მეცნიერულად დასაბუთებული და გააზრებული საქმიანობის დროს განათლების მოდერნიზაციის სისტემაში მოქცეული ინოვაციური პროცესები.

ცნობილია განათლების სფეროში შემოტანილი სიახლეების კლასიფიცირების სხვადასხვა მცდელობა (Пригожин, 1989). მათ უპირატესობა ენიჭება თვით ამ სიახლეთა ტიპის, განხორციელების მექანიზმისა თუ ინოვაციური პროცესის თავისებურებათა მიხედვით.

სიახლეების ტიპის გათვალისწინებით, შემონაღებები შეიძლება ორად გაიყოს, მატერიალურ-ტექნიკურ და სოციალურ დაჯგუფებებად. პედაგოგიური სიახლეები მეორე ჯგუფში ერთიანდება. სოციალური სიახლეები, როგორც ცნობილია, შედარებით მწელად ხორციელდება, რადგან ისინი უფრო მჭიდროდ არიან დაკავშირებული საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, კულტურასთან, მათ გაცილებით ფართო არეალიც აქვთ, აქედან, მეტადაც არიან დამოკიდებულნი ნოვატორთა პიროვნულ თავისებურებებზე. ამდენად, ხშირად თვით ადამიანებიც ცვლილებათა სუბიექტებად იქცევიან, იცვლება მათი სტატუსი, მდგომარეობა, ჩვევები, დამოკიდებულებანი. ინოვაციათა მოქმედების შედეგად (რასაც გარკვეული ცვლილებები ახლავს) იქმნება დამაბულობა, სტრესული სიტუაციები.

პედაგოგიურ სიახლეებს, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვას, თავიანთი სპეციფიკა აქვთ. მთავარია, რომ ინოვაციათა ზემოქმედების ობიექტი, მათი სამოქმედო საგანი - ეს ცოცხალი, განვითარებადი, თავისთავად განსაკუთრებული "მე" მოსწავლის პიროვნებაა.

სწორედ ამ პიროვნების განვითარების პროცესის სრულყოფისაკენ უნდა იყოს მიმართული ნებისმიერი პედაგოგიური სიახლე. თუ დაცული არაა უძველესი მცნება - "არ ავნო", მაშინ ეს ინოვაციები პედაგოგიკაში არ შეიძლება დადებითად შეფასდეს. სიახლეები პედაგოგიკაში საზოგადოებრიობამ უნდა მოიწონოს და მანვე უნდა მიიღოს. მათი მიღება-გათავისების გადაწყვეტილება - ეს ღრმად გააზრებული, რთული, მრავალსტადიანი პროცესის შედეგია. იგი რამდენიმე ეტაპს მოიცავს, კერძოდ: არსებული პრობლემის გაცნობას, მის ანალიზს, მისი გადაწყვეტის შესაძლებლობების ანალიზს, საამისოდ გზების შერჩევა-დასახვას, მიღებული გადაწყვეტილებათა მოწონება-გამოყენებას. ამასთან დაკავშირებით მიჩნეულია გამოიყოს სიახლის აღქმის პროცესის ხუთი ძირითადი ეტაპი (Rogers, 1995): სიახლის გაცნობა, დაინტერესება, შეფასება, აპრობაცია, საბოლოო აღქმა.

ადამიანს შეუძლია სხვადასხვა ეტაპზე უარი თქვას სიახლეებზე. ეს თვით მასზეა დამოკიდებული, სიახლეებისადმი მის შემგუებლობაზე. "ინოვაციური დიფუზიის" ავტორმა ე. როჯერსმა მისი მოდელის შექმნისას გაითვალისწინა საზოგადოებრიობის სხვადასხვა სეგმენტის წარმომადგენელთა განსხვავებული უნარები ინოვაციათა (ახალ იდეათა, მომსახურების, საქონლის) აღქმისადმი და შეიმუშავა ამერიკულ ინოვაციკაში მათი გავრცელების სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტი: ახალშემონაღებთა გავრცელების ტიპოლოგია, მათი დამოკიდებულება ახალწარმონაქმნთა მიმართ; მზაობა სიახლეთა აღქმისათვის და სხვ., შედეგად შესაძლებელი გახდა საზოგადოებრიობის (ახლის აღქმით განსხვავებული ხარისხის მქონე ადამიანების) კლასიფიკაცია სეგმენტებად. ე. როჯერსის მოდელს საფუძვლად უდევს ინოვაციების პოტენციური მომხმარებლების სეგმენტაცია ინოვაციების აღქმისადმი ინდივიდუალური წინასწარგანწყობის ნიშნით. მათში გამოიყოფა ხუთი სეგმენტი (Rogers, 1995):

- ნოვატორები (2.5%);
- მათი ადრეული მიმდევრები (13.5%);
- ადრეული უმრავლესობა (34%);
- გვიანი უმრავლესობა (34%);

- დაგვიანებულები (16%).

ინოვაციური პროცესების ინტენსიფიკაცია გამოწვეულია არა მარტო სოციალური დაკვეთით, ნოვატორული გამოცდილებით, არამედ (და ეს ხაზგასმულია) მთლიანად პედაგოგიური საზოგადოების ცნობიერების მნიშვნელოვანი ცვლილებით.

პედაგოგთა ფსიქოლოგიური მზაობა ახალშემონადებთა სისტემური მიღებისათვის მეტად მნიშვნელოვანი პირობაა. სიახლეთა დანერგვისა და გავრცელების სტადიაზე სუბიექტური ფაქტორი გადამწყვეტ როლს ასრულებს.

პედაგოგ-ნოვატორი კონკრეტული სიახლის მატარებელია და მისი დანერგვისას იგი თავის თავზე იღებს კიდევ მისივე შემოქმედისა და მოდიფიკატორის როლს. ნებისმიერი ახალშემონადების რეალიზაციის წარმატება მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ინოვაციურ ქცევასთან, რომელშიც ვლინდება სუბიექტის პიროვნებისმიერიდამოკიდებულება მიმდინარე ცვლილებებისადმი. ინოვაციური ქცევის არჩევა კი ასევე მჭიდროდ უკავშირდება კონკრეტული სუბიექტის წინასწარგანწყობასნოვატორობის მიმართ. ამ მიზნით აუცილებელია მასწავლებელს ჩამოუყალიბდეს მოთხოვნა ახლის დაუფლებისა, იმის სურვილი, რომ ივითარებდეს შემოქმედებით ინიციატივას, უზრუნველყოფდეს სამეცნიერო-მეთოდოლოგიური ლიტერატურით მის გამდიდრებას და სხვ. ასეთ საქმიანობაში ჩართული, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მუშაობით დაკავებული მასწავლებლის მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სწავლების პროცესის ასაგებად საჭირო ინოვაციური ძიებების, მიგნებების დასახასიათებელ ანალიზს, რასაც საფუძვლად უდევს მოსწავლეთა რეფლექსიური ქცევა. სამიუბო პროცესი რეალიზდება სხვადასხვა მოდელის შემუშავებით, რომლებიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა მიერ დამოუკიდებლად კონსტრუირებული ახალი გამოცდილების ათვისებისათვის (Кларин, 1997). არსებობს ნაირგვარი დანიშნულების მოდელები:

- სისტემატური კვლევითი საქმიანობის ორგანიზაციისათვის;
- სასწავლო-სათამაშო პროცესის ორგანიზაციისათვის;



- კომუნიკაციის, დიალოგის ორგანიზაციისათვის; აგრეთვე, აზრების, შთაბეჭდილებების გაცვლა-გამოცვლისათვის; შემოქმედებითი დისკუსიების გამართვისათვის და სხვ.

სწავლების პროცესში ამ მოდელების რეალიზაციისას მოსწავლეებს აქტიური პოზიციები უკავიათ, ისინი ინიციატორებად (სუბიექტებად) გვევლინებიან, მასწავლებელს კი დამხმარე პარტნიორის პოზიცია უჭირავს, იგი მათ "ცოცხალი გამოცდილების" განზოგადება-ათვისებაში ეხმარება, უშუალოდ განცდათა გადატანაში უწყობს ხელს, თანაუგრძნობს.

ინოვაციური საქმიანობა-მოღვაწეობისათვის მასწავლებლის მოსამზადებლად, საამისო საშუალებებისა და პირობების გასაცნობად, გასაცნობიერებლად ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი ძიებების ორგანიზაციის ფორმებს. ეს შეიძლება იყოს: სისტემატური კვლევა; კომუნიკაციურ-დიალოგური ან სადისკუსიო შეკრებები, საგნობრივ-შინაარსობრივი, საიმპიტაციო-სათამაშო, ან კიდევ სოციალურ-ფსიქოლოგიური (როლებიანი) ნიშნის მატარებელი კამათისათვის, განხილვებისათვის შექმნილი ჯგუფები.

ინოვაციური საქმიანობის ინტენსიფიკაცია სკოლაში ბევრად არის დამოკიდებული უმაღლესი პედაგოგიური განათლების ორგანიზებაზე, შესაბამისად, პედაგოგიურ ინოვაციკას ორივეგან განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს. ამ პრობლემის გადაწყვეტა არაერთ, სხვადასხვაგვარი მიდგომით შეიძლება. შემუშავებულია ინოვაციური მოღვაწეობისათვის მომავალი მასწავლებლის მომზადების გარკვეული ეტაპობრივობა (Сластенин, Подымова, 1997):

- პირველ ეტაპზე ივარაუდება მასწავლებლის შემოქმედებითი ინდივიდუალობის განვითარება; ფორმირება უნარისა - გამოავლინოს, გააანალიზოს და გადაწყვიტოს შემოქმედებითი ამოცანები; ამასთან, განავითაროს შემოქმედებითი გამოცდილების ზოგადი ტექნოლოგიები;
- მეორე ეტაპზე გათვალისწინებულია მეცნიერული შემეცნების მეთოდოლოგიური საფუძვლების, ინოვაციური პედაგოგიკის შესავლის ათვისება-დაუფლება; საჭიროა აგრეთვე პედაგოგიური გამოცდილების მეშვეობით სტუდენტების

ორიენტირება არა მარტო შემოქმედებით მიდგომებზე, არამედ ასევე აუცილებელია ინოვაციური საქმიანობისათვის მათი სპეციალური მომზადებაც;

- მესამე ეტაპზე მიმდინარეობს ინოვაციური საქმიანობათა ტექნოლოგიის ათვისება, რისთვისაც იქმნება საავტორო პროგრამები, ხდება სიახლეთა შემდგომი განვითარების პროგნოზირება, განიხილება მათი დანერგვის სირთულეები;
- მეოთხე ეტაპზე ტარდება პრაქტიკული სამუშაოები პედაგოგიკურ პროცესში სიახლეთა შეტანა-დანერგვაზე, კეთდება მიღებული შედეგების ანალიზი, ყალიბდება მასწავლებლის ინოვაციური პოზიცია როგორც სიახლეთა მიმართ მისი შეხედულებების, თვალთახედვის, განწყობათა სისტემა.

მომავალი მასწავლებლის ჩამოყალიბების პროცესი მუდამ უნდა ესადაგებოდეს ინოვაციური მოღვაწეობის სტრუქტურას, მისი მოდელი უნდა იყოს. სტუდენტებიც სათანადოდ უნდა იყვნენ ორიენტირებულნი, რათა შემოქმედებითად მიუდგნენ პედაგოგიურ საქმიანობას, უნდა ვასწავლოთ მათ როგორ გამოიმუშაონ საკუთარი პედაგოგიური სტილი, როგორ იზრუნონ თავიანთ სრულყოფაზე, მიზნად უნდა დავეუსახოთ პასუხისმგებლობის ამაღლება მომავალი თაობის აღზრდა-განათლების წინაშე.

პედაგოგიური განათლების პრიორიტეტების სისტემაში მეცნიერები წინა პლანზე გამოყოფენ მასწავლებლის პიროვნებისეულ პოტენციალს, მის უნარს იყოს ინოვაციური საქმიანობის სუბიექტი. უმაღლეს სასწავლებელში აუცილებელია მომავალი პედაგოგი არა მარტო აღიჭურვოს ახალი ცოდნით, მიზნებით, ღირებულებებით, საღი პედაგოგიური აზროვნებით, არამედ გაიხსნას მოქმედებითადაც, გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები, კომპეტენტურობა, პასუხისმგებლობა პროფესიული და სოციალური როლების შესრულებისას, შექმნას რეალური წინაპირობები მომავალი სპეციალისტის, პიროვნების თვითგანვითარებისათვის.

მასწავლებელი, როგორც პიროვნება, არა მარტო თავის ნორმირებულ პროფესიულ-პედაგოგიურ მოვალეობას უნდა ასრულებდეს, არამედ უნდა მოქმედებდეს, გამოდიოდეს როგორც აქტიური სუბიექტი, რომელსაც ხელეწიფებასაკუთარი პედაგოგიური შეგნებით მიუდგეს ცხოვრებისეულ საკითხებს (Сластенин, 1993).

პედაგოგიური თვითშეგნება თავის "მე"-საც მოიცავს, იდეალურსაც და რეალურსაც. საჭიროა მუდმივად ვადარებდეთ, ვუფარდებდეთ ერთმანეთს ამ ორ "სახეს" და ასე ვისწრაფოდეთ, ვუახლოვდებოდეთ პედაგოგიური მოღვაწეობის "იდეალურ" სუბიექტს. სწორედ ამით გამოიხატება მასწავლებლისა და მოსწავლის ფსიქოლოგიური კონტაქტი, სწორედ ესაა მათი თანამოქმედება და ურთიერთგაგება.

მასწავლებლის თვითგამორკვევაში დიდი წილი უდევს კულტურას. იგი უნდა განვიხილოთ როგორც ცოდნისა და აზროვნების კულტურა, როგორც შემოქმედებითი მოღვაწეობის კულტურა, როგორც გრძნობათა გამოვლენის კულტურა, ქცევის კულტურა. პიროვნება, როგორც კულტურის სუბიექტი, გამოირჩევა სოციალური მდგრადობით, ფსიქოლოგიური კომფორტით. პედაგოგიური კულტურა ასევე შეიძლება განიხილებოდეს როგორც მასწავლებლისა და მოსწავლის თანამოქმედება, სადაც პედაგოგი უნდა წარმოჩინდეს კულტურის მატარებლად და, ამასთან, მკაფიოდ ავლენდეს პიროვნულ დამოკიდებულებას კულტურის ელემენტებისადმი.

განათლების მოდერნიზაციის ერთ-ერთი საყურადღებო ტენდენციაა სასწავლო-შემეცნებითი საქმიანობის ორგანიზების, ასევე მისი პედაგოგიური ხელმძღვანელობის შეცვლა. ამჟამად მის თეორიაშიც და პრაქტიკაშიც პედაგოგის სასწავლო საქმიანობიდან აქცენტი გადააქვთ მოსწავლის შემეცნებით ქმედუნარიანობაზე. ეს საშუალებას იძლევა გავზარდოთ მოსწავლეთა სასწავლო აქტივობა, ვასწავლოთ მათ სწავლა, ავამოქმედოთ აქტიურობის პრინციპი, უზრუნველვყოთ პროფესიული თვითგამორკვევის რეალიზება. ასეთი მიზნების მიღწევა დიდადაა დამოკიდებული მასწავლებლის სასწავლო სტადიაზე.

სასწავლო საქმიანობის სტილი, არსებითად, ხასიათდება როგორც ქცევის მდგრადი სახე, რომელსაც, ჩვეულებრივ, ახლავს ინდივიდუალურ ცვალებადობათა გარკვეული სპექტრი (Cornett, 1983). საერთოდ, სტილი თავის თავში მოიცავს ელემენტებს, დაკავშირებულს კოგნიტურ სტილთან, სწავლების სტილთან, ხელმძღვანელობის სტილსა და, ასევე, ფსიქოლოგიურ ტიპთანაც (Guild, Garger, 1998).

არსებობს სასწავლო ქცევის სტილის საყოველთაოდ მიღებული დაყოფა, რომელიც ესადაგება რამდენიმე ტაქსონომეტრიულ კატეგორიას და დამოკიდებულია სასწავლო პროცესში ჩართული ადამიანის დამახასიათებელ ქცევაზე. ეს კატეგორიები შეიცავს

კოგნიტურ, ემოციურ და ფიზიოლოგიურ ასპექტებს. ასე, მაგალითად, კოგნიტურთვალსაზრისით შეიძლება ვლინდებოდეს მიდრეკილება კონკრეტული ან აბსტრაქტული აზროვნებისადმი; ემოციური თვალთახედვით, შესაძლოა მოსწავლეებს სწავლის სხვადასხვა მოტივაცია ჰქონდეთ; ხოლო ფიზიოლოგიური კუთხით დასაშვებია ისინი უპირატესობას აძლევდნენ განათებისა და ჰაერის ტემპერატურის განსხვავებულ მონაცემებს, ანდა ოთახში, ვთქვათ, დგამ-ავეჯის ამა თუ იმ განლაგებას და სხვ. არცთუ იშვიათად ბავშვები თავს ვერ ართმევენ დავალებას მხოლოდ იმიტომ, რომ მისდამი მიდგომა მათთვის გაუგებარია, არასწორია და არა იმიტომ, რომ მათ საერთოდ არ ძალუბთ გაიგონ იგი (Ellis, Fouts, 1993).

განათლების განვითარების თანამედროვე ტენდენციებმა, მასწავლებლის პიროვნებისადმი გაზრდილმა პროფესიულმა მოთხოვნებმა საჭირო გახადა პედაგოგის შემოქმედებითი ინდივიდუალობის შეუფერხებელი ფორმირება, მისი შემოქმედებითი უნარის შეუზღუდავი რეალიზაცია, საქმიანობის ინდივიდუალური სტილის უწყვეტი განვითარება.

ამიტომ, მასწავლებლის პროფესიული მომზადების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მისი ინდივიდუალური სტილის ფორმირების წინაპირობებს, გამოწვეულთ ბუნებრივი მონაცემებით, ადამიანის თავისებურებებით, და ასევე, განპირობებულთ მისი მოღვაწეობის საშუალებათა მყარი, ჩამოყალიბებული სისტემით, რომელიც, როგორც წესი, მიმართულია ეფექტიან ქმედითუნარიანობაზე (Теплов, 1985). პროფესიული მოღვაწეობის ინდივიდუალურ სტილს განსაზღვრავს ადამიანის თანდაყოლილი თავისებურებანი (ორგანიზმის, ნერვული სისტემისა და უმაღლესი ნერვული სისტემის მდგომარეობა), ასევე ცხოვრებით გამოწვეულ-შემქნილი ის პიროვნული თვისებები, რომლებიც წარმოიქმნება და ყალიბდება მისი ურთიერთობებისას საგნობრივ და სოციალურ გარემოსთან. პროფესიული მოღვაწეობის ინდივიდუალური სტილის ქმნადობის მექანიზმებია: ადაპტაცია, კომპენსაცია და კორექცია (Климов, 1969). ადაპტაცია, როგორც ცნობილია, გულისხმობს ადამიანის შეგუებას სოციალური გარემოს პირობებთან, რასაც ახლავს საკუთარი ხელსაყრელი ბუნებრივი თვისებების, მონაცემების თავისდა სასიკეთოდ გამოყენება (შეგნებულად თუ

შეუგნებლად). ყოველივე ეს მის წარმატებულ საქმიანობას განაპირობებს. კომპენსაცია-ესაა შრომის პირობების ისეთი შერჩევა, რომელიც პიროვნებას შველის თავი აარიდოს სიტუაციებს, როცა გამორიცხული არაა იგი (ჩვენს შემთხვევაში პედაგოგი) აღმოჩნდეს არაკეთილსასურველ ვითარებაში. კორექცია- ესაა მექანიზმი, რომელიც რაიმე საქმიანობის შესრულებას ოპტიმალურ ფარგლებში უზრუნველყოფს.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში არჩევენ საქმიანობის რამდენიმე ინდივიდუალურ სტილს, ანუ ცალკეული პიროვნების მიერ თავისი სამუშაოს რაც შეიძლება ეფექტური ხერხებითა და საშუალებებით ორგანიზების სისტემას. საქმიანობის ინდივიდუალური სტილის ფორმირება, როგორც წესი, განპირობებულია ადამიანის მიდრეკილებით შეასრულოს სამუშაო იმის მიხედვით, იმის გათვალისწინებით თუ რა ტემპერამენტის თავისებურებები ახასიათებს მას. მოღვაწეობა-საქმიანობის სტილის ფორმირების ასეთ გზას სტიქიურს უწოდებენ.

არსებობს მოღვაწეობა-საქმიანობის ინდივიდუალური სტილის ფორმირების მიზანმიმართული, წინასწარ გააზრებული გზაც. ისიც დაფუძნებულია ინდივიდის ძლიერი და სუსტი მხარეების ბაზაზე, აქაც გათვალისწინებულია მისი ტიპოლოგიური თავისებურებები. იგი განისაზღვრება ან ღრმა თვითშემეცნებით, ან გარედან მიზანმიმართული ზემოქმედებით (მაგალითად, უფრო გამოცდილი პედაგოგის ძლიერი გავლენით). საქმიანობის სტილის ფორმირების შეგნებული, გააზრებული გზა, როგორც წესი, გულისხმობს ადამიანის შეგუებას, მისი ფსიქიკური თავისებურებებისა და თვისებების ადაპტაციას კონკრეტული პროფესიული საქმიანობისა და მაღალკვალიფიციურ მოქმედებათა განხორციელების მოთხოვნათა მიმართ. ამ გაგებით, შეიძლება ჩამოყალიბდეს საქმიანობის სასურველი სტილი, დაფუძნებული კონკრეტული პიროვნების გარკვეულ ავტორიტეტზე, ეტალონზე.

პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში გამოყოფენ პედაგოგიური საქმიანობის ინდივიდუალური სტილის ოთხ ტიპს (Никонова, Маркова, 1993):

1. ემოციურ-იმპროვიზაციული სტილი. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი სასწავლო პროცესზეა ორიენტირებული. ახალი სასწავლო მასალის გადაცემას იგი ლოგიკურად აგებს, საინტერესოდ წარმართავს, მაგრამ ახსნის პროცესში არცთუ

იშვიათად კარგავს უკუკავშირს მოსწავლეებთან. გამოკითხვისას მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეთა დიდ რაოდენობას, თუმცა იქიდან, როგორც წესი, არჩევს ძლიერებს, იმათ ვინც თვითონ აინტერესებს, ასევე გამოკითხვის დროს მასწავლებელი იყენებს ბევრ არაფორმალურ შეკითხვას და პრაქტიკულად აღსაზრდელებს საშუალებას არ აძლევს ჩამოაყალიბონ პასუხები. მოსწავლეთა პასუხებისას კი თვითონაც აქტიურად ერთვება, მონაწილეობს მათში.

ასეთი მასწავლებელი პედაგოგიური პროცესის გასამართავად, ძირითადად, ყველაზე საინტერესო მასალას იყენებს, ხოლო ნაკლებსაინტერესო (ცხადია, მნიშვნელოვანი) ცდილობს მოსწავლეებს დაუტოვოს დამოუკიდებლად მომზადებისათვის. ამასთან, მისი საქმიანობა მაღალი ოპერატიულობით გამოირჩევა, იგი სწავლების მეთოდების დიდ არსენალს ფლობს და იყენებს კიდევ. აწყობს კოლექტიურ მსჯელობებს, აქებს, ახალისებს სპონტანურ წამოძახილ-გამონათქვამებს. ასეთი ემოციურ-იმპროვიზაციული სტილის მქონე მასწავლებლის ინდივიდუალური პედაგოგიური საქმიანობისათვის დამახასიათებელია: ინტუიტივიზმი, სასწავლო მასალის განმტკიცებისა და გამეორების პროცესისადმი არასაკმაოდ სერიოზული დამოკიდებულება, ასევე მოსწავლეთა მიერ ცოდნის ათვისების არცთუ დამაჯერებელი კონტროლი.

2. ემოციურ-მეთოდიკური სტილი. ამ სტილის მასწავლებელი ორიენტირდება სწავლების პროცესსა და მის შედეგებზე, ეს საჭიროა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ადეკვატური დაგეგმვისათვის, პედაგოგიური საქმიანობის ოპერატიულობისა და, საერთოდ, რეფლექსიურობასთან შედარებით ინტუიტიურმიმართებათა საჭიროების უზრუნველყოფისათვის.

ასეთი მასწავლებელი ყურადღებით ადევნებს თვალს მოსწავლეთა ცოდნის დონეს, ხშირად მიმართავს სასწავლო პროცესში გავლილი, უკვე შესწავლილი მასალის განმტკიცებასა და გამეორებას, ათვისებული ცოდნის, უნარ-ჩვევების შემოწმების, კონტროლის მეთოდებს, ასევე არაიშვიათად ცვლის გაკვეთილზე მუშაობის ფორმებს; მის გაკვეთილებზე მუდამ მოისმენთ კოლექტიურ მსჯელობებს სხვადასხვა თემაზე, იგი

ყოველთვის ცდილობს და, როგორც წესი, ახერხებს დააინტერესოს ისინი თავისი საგნის განსაკუთრებულ ღირსებებით.

3. აზროვნებით-იმპროვიზაციული სტილი. იგი დამახასიათებელია მასწავლებლისათვის, რომელიც ორიენტირებულია სწავლების პროცესსა და მის შედეგებზე. ისიც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ადექვატური გეგმიანობის მიმდევარია, მაგრამ, ამასთან, წინა ორი სტილის წარმომადგენელთაგან განსხვავებით, ნაკლებად გამოირჩევა გამომგონებლობით. ასეთ მასწავლებელს ყოველთვის არ შეუძლია უზრუნველყოს მუშაობის მაღალი ტემპი, პრაქტიკულად არ მართავს კოლექტიურ ბჭობა-მსჯელობებს; მოსწავლეთა გამოკითხვის დროს უფრო დუმილს ამჯობინებს, თუმცა მათ პასუხებს ყურადღებით ეკიდება და გულმოდგინედ აანალიზებს; უყვარს, მოსწონს, როცა მოსწავლეებზე ირიბად ზემოქმედებს (კარნახით, ჩალაპარაკებით, დაზუსტებებით). როგორც წესი, იგი ყველა მოსწავლეს საშუალებას აძლევს დეტალურად ჩამოაყალიბოს რისი თქმაც უნდათ.

4. განსჯით-მეთოდოლოგიური სტილი მასწავლებელს უპირატესად გამოარჩევს სწავლების შედეგებზე ორიენტაციით. ასეთი მასწავლებელი სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს ადექვატურად გეგმავს, პედაგოგიურ საქმიანობაში სწავლების საშუალებათა და მეთოდების გამოყენებისას კონსერვატიულობას ავლენს. მისთვის დამახასიათებელია მაღალი მეთოდოლოგია (ახლის შესწავლის სისტემურობა, გავლილი სასწავლო მასალის განმტკიცება და გამეორება, მოსწავლეთა მიერ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ათვისება-დაუფლების მაკონტროლირებელი დონის მიხედვით გატარება). ამასთან, იგი იშვიათად აწყობს კოლექტიურ განხილვა-მსჯელობებს, გამოკითხვისას იფარგლება მოსწავლეთა მცირე რაოდენობით, თუმცა თითოეულს საკმაოდ დროს უთმობს პასუხისათვის. ასეთი სტილის მასწავლებელი სუსტ მოსწავლეებს განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება; მისთვის დამახასიათებელია რეფლექსიურობა.

პედაგოგიური საქმიანობის ინდივიდუალური სტილის არსებობა ხელს უწყობს შემოქმედებითი, კრეატიული აზროვნების განვითარებას; ამასთან, პედაგოგიური არტისტიზმი არცთუ მცირე როლს ასრულებს პროფესიონალის ქმნადობა-

ჩამოყალიბებაში, იგი მოქმედებს როგორც ვიზუალური, ისე შინაგანი ასპექტებით. პედაგოგიური არტისტიზმი იმაზე მიუთითებს, რომ მასწავლებელს აქვს ე.წ. "ვიზუალურობა" გარეგნული მიმზიდველობა, მომხიბვლელობა, ბუნებრივობა, კომუნიკაბელობა, კომუნიკაციური კომპეტენტურობა; აქვს კარგი გუნება-განწყობა, შემოქმედებითი უნარი და თანაც უშურველად ავლენს ემფატიკურობას. პედაგოგის არტისტიზმს განაპირობებს ასევე ხმის გამომეტყველებითი ჟღერადობა, მისი ექსპრესიულობა.

პედაგოგიური არტისტიზმი - ესაა უნარი ინფორმაციის ერთიდან მეორე, საჭირო მიმართულებით ემოციურ-ხატოვნად გადატანისა, გადაკოდირებისა. ლ. ს. ვიგოტსკი აღნიშნავდა, რომ "ემოცია აზრზე არანაკლებ მნიშვნელოვანი აგენტია... აღმზრდელობით-საგანმანათლებლო პროცესის საფუძველს სწორედ ემოციური რეაქციები უნდა ქმნიდნენ. მანამ, ვიდრე ამა თუ იმ ცოდნის გადაცემას დააპირებდეს, მასწავლებელმა მოსწავლის შესაბამისი ემოცია უნდა გამოიწვიოს და შეეცადოს, რომ ეს ემოცია ახალ ცოდნას დაუკავშირდეს. მხოლოდ ისეთი ცოდნა შერჩებამოსწავლეს, რომელმაც გრძნობაზე გაიარა" (Выготский, 1996, გვ. 105-106).

პედაგოგიური საქმიანობის აღსრულების გარკვეულ ეტაპზე პედაგოგს უყალიბდება პროფესიული ინდივიდუალობა. ეს საკმაოდ გვიან ხდება. ჩვეულებრივ, გამოყოფენ ინდივიდუალობის რამდენიმე ნიშან-თვისებას: განუმეორებლობას, მთლიანობას, შეფარდებით ჩაკეტილობასა და ავტონომიურობას, შეუღწევადობას (გარემო წრისათვის), თვითარსებობასა და თვითმყოფადობას, შემოქმედებით აქტივობას. ინდივიდუალობა ყალიბდება ადამიანის კერძო, განუმეორებელ უნიკალურობასა და იმ ცხოვრებისეულ ვითარებათა შერწყმის შედეგად, რომელშიც განვითარებას განიცდის და რეალიზდება მისი ნიჭი, უნარიანობა და შესაძლებლობები.

სწორედ ეს ინდივიდუალური თავისებურებებია განზოგადებული პიროვნებისთვისებათა ცნობილ კლასიფიკაციაში, რომელსაც "დიდი ხუთეული" ეწოდება (Norman, 1963). სახელწოდების შესაბამისად, ეს მოდელი სავარაუდოდ მიიჩნევს, რომ ადამიანის პიროვნება თავის თავში აერთიანებს ხუთ ზოგად და შედარებით დამოუკიდებელ



ნიშანს (დისპოზიციას): ექსტრავერსიას, თანხმობისათვის მზაობას, შეგნებულობას, ნერვოტიზმს, ღიაობას.

ადამიანი თავის ინდივიდუალობას უშუალოდ თავისთვის აგებს, თუმცა, ამასთან, სხვებისთვისაც. იგი ინდივიდუალიზირდება, რათა საზოგადოებაში საკუთარი თავი დაიმკვიდროს. გამოკვეთილი ინდივიდუალობა არის შემოქმედებითი ინდივიდუალობა, მასში მაღალი სულიერება შეეწყობა ჰუმანისტურ მიმართულებას და ერთიან, მთლიან პროფესიონალს წარმოგვიდგენს. შემოქმედი ინდივიდუალობა პიროვნებისმიერი კატეგორიაა, იგი მოიცავს (Вишнякова, 1995):

- ინტელექტუალურ-შემოქმედებით ინიციატივას;
- ინტელექტუალურ უნარებს, ცოდნის ფართო მოცულობასა და სიღრმეს;
- მგრძობიარეა წინააღმდეგობათა მიმართ, იჩენს შემოქმედებით მერყეობას, განიცდის შინაგან აღმშენებლობით დაძაბულობას;
- გამახვილებული აქვს სიახლის, პრობლემის განსაკუთრებულობის შეგრძნება; სდევს პროფესიონალიზმის, შემეცნების წყურვილი.

შემოქმედებითი ინდივიდუალობის რეალიზაცია ქვემოთმოყვანილი ფუნქციების შესრულებას ვარაუდობს:

- კულტურის გამდიდრებას საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი, განმსაზღვრელი კრიტერიუმებით;
- პედაგოგიური პროცესისა და პიროვნების გარდაქმნა-განახლებას;
- ისეთი ახალი ტექნოლოგიების მიღება-ფორმირებას, რომლებიც პროდუქტიულობისა და მაღალი მნიშვნელობის მქონე კრიტერიუმებით განისაზღვრება;
- თვითგანვითარებას, დაფუძნებულს პიროვნების თვითგამორკვევასა და თვითგამოხატვაზე.

მასწავლებლის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ფორმირება - ესაა პიროვნების გარდაქმნისა და თვითგანვითარების დინამიური, ინოვაციური პროცესი. თავად შემოქმედებითი ინდივიდუალობის ბირთვად კი აღიარებულია პროდუქტიული თვითშემეცნება, იგი გულისხმობს:

- საკუთარი პიროვნების განუმეორებლად მიჩნევას სხვებთან შედარებისას;
- კრეატიულ გამოვლინებათა და საკუთარ თავზე წარმოდგენათა ერთობლიობას;
- ინდივიდუალური, კრეატიული თავისებურებების მთლიანობასა და შინაგან ერთიანობას;
- საკუთრივ პიროვნების თვითგანვითარებისა და მისი როგორც შემოქმედის ჩამოყალიბების პროცესის დინამიურობასა და უწყვეტობას;
- პიროვნების თვითდამკვიდრებას და საკუთარი კომპეტენტურობის გაცნობიერება-შეგნებას;
- შემოქმედებითი თვითრეალიზაციისა და საკუთარი თავის მნიშვნელობა-დანაშნულების შეცნობას როგორც პიროვნებისეულ, ისე სოციალურ ასპექტებში.

ამგვარად, მასწავლებლის პროფესიულ დონეს, მის წინასწარგანწყობას ინოვაციური საქმიანობისადმი განსაზღვრავს შემოქმედებითი უნარი, ასევე კრეატიულობა. სწორედ კრეატიულობას მიჰყავს იგი შემოქმედებითი მიღწევებისაკენ.

ჟ. გილფორდმა და მისმა თანამშრომლებმა, 1954 წლიდან მოყოლებული, გამოავლინეს კრეატიულობის დამახასიათებელი ჰიპოთეზური ინტელექტუალური უნარები. ესენია:

- აზრის სწრაფი ცვალებადობა (იდეების რაოდენობა, რომელიც დროის გარკვეულ ერთეულში წარმოიქმნება);
- აზრის მოქნილობა (ერთი იდეიდან მეორეზე გადასვლის უნარი);
- ორიგინალობა (ისეთ იდეათა წარმოქმნა-გაჩენის უნარი, რომლებიც განსხვავდება ზოგადად მიღებული შეხედულებებისაგან);
- ცოდნისმოყვარეობა (მგრძნობელობა გარემო სამყაროს პრობლემებისადმი);
- ჰიპოთეზების დამუშავების უნარი, ირელევანტურობა (სტიმულისაგან რეაქციის ლოგიკური დამოუკიდებლობა);
- ფანტაზიორობა (რეალურობას სრულიად მოწყვეტილი პასუხები მაშინ, როცა არსებობს ლოგიკური კავშირი სტიმულსა და რეაქციას შორის) და სხვ.

ზემოჩამოთვლილი უნარები გაერთიანებულ იქნენ საერთო სათაურით - ”დივერ-გენტული აზროვნება” (Guilford, 1967). აღვნიშნავთ, რომ იგი, როგორც წესი, მაშინ იწყებს

ამოქმედებას, როცა რაიმე პრობლემა ეს-ეს არის უნდა განისაზღვროს ან გაიხსნას, როცა ჯერ კიდევ არ არსებობს მისი გადაწყვეტის წინასწარ გაწერილი, დადგენილი გზები ("კონვერგენტული აზროვნებისაგან" განსხვავებით, რომელიც ორიენტირებულია პრობლემის უკვე ცნობილ ან "ხელსაყრელ" გადაწყვეტაზე).

როგორც ცნობილია, კრეატიულობის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს ინდივიდის პიროვნული თავისებურებები, მისი ემოციური და მოტივაციური ფაქტორები. მ. ტორენსის ნაშრომებში ჩამოთვლილია პედაგოგის ქცევის ის ფაქტორები, რომლებიც პოზიტიურად ზემოქმედებენ მოსწავლეებში კრეატიულობის განვითარებაზე (Torrance, 1962):

- შემოქმედებითი აზროვნების ღირსებების აღიარება;
- გარემო წრის სტიმულებისადმი მოსწავლეთა მგრძობელობის ამაღლება-განვითარება;
- თავისუფალი მანიპულირება ობიექტებითა და იდეებით;
- უნარი - მარჯვედ, დახვეწილად გადმოსცე კონსტრუქციული ინფორმაცია შემოქმედებითი პროცესის შესახებ;
- უნარი - განავითარო კონსტრუქციული კრიტიკა;
- საკუთარი თავის შექება-წახალისება;
- შეფასების წინ შიშის გრძობის გაქარვება, დაძლევა და სხვ.

რ. ჰალმანისკვლევებში კიპოზიტიურად მოქმედი ფაქტორების საპირისპიროდ აღწერილია ის ფაქტორები, რომლებიც ნეგატიურად, უარყოფითად მოქმედებენ მოსწავლეთა კრეატიულობაზე (Hallman, 1967):

- იძულებითი კონფორმიზმი;
- ავტორიტარული გარემოცვა და ავტორიტარული განწყობა;
- პედაგოგის რიგიდულობა;
- სარკაზმისა და დაცინვის გამოვლენა;
- მკაცრი შეფასება;
- განვითარებული დივერგენტული აზროვნების მქონე პიროვნებებისადმი მტრული დამოკიდებულების გამოვლენა.

შემოქმედების პრობლემისადმი მიძღვნილ თანამედროვე რუსულ კვლევებში მეცნიერებმა გამოყვეს შემოქმედების საანალიზო ერთეული - ინტელექტუალური მზაობა. იგი ასახავს შემოქმედი პიროვნების შემეცნებითი და მოტივაციური მახასიათებლების ერთობლიობას (Богоявленская, 2009). აქ ინტელექტუალური აქტივობა სამ დონეზე განიხილება, კერძოდ, სტიმულურ-პროდუქტიული (პასიურ), ევრისტიკულ და კრეატიულ დონეებზე.

### 1. სტიმულურ-პროდუქტიული ანუ პასიური დონე.

ინტელექტუალური აქტივობის ასეთი დონის მქონე მასწავლებელი, კეთილსინდისიერი და ენერგიული მუშაობის პირობებშიც კი, თავს ვერ აღწევს საქმიანობის პირველად მიგნებულ ჩარჩოებს, მისი მოქმედებები, როგორც წესი, ყოველთვის რაიმე სტიმულით განისაზღვრება, მისთვის დამახასიათებელია უნიციატივოდ იმის მიღება, რაც გარედან მიაწოდეს.

### 2. ინტელექტუალური აქტივობის ევრისტიკული დონე.

ამ დონის მქონე მასწავლებელი ინტელექტუალური ინიციატივის გარკვეულ ხარისხს ავლენს ისე, რომ არ ჭირდება ხშირი გარეგანი სტიმულირება. მას მუშაობის საკმაოდ საიმედო ხერხები და საშუალებები მოეპოვება. იგი აანალიზებს თავის საქმიანობას, ადარებს, ერთმანეთს უფარდებს ტრადიციულსა და ახალს, რასაც იგი მიჰყავს აქამდე გამოუყენებელ, ორიგინალურ (მახვილგონივრულ) გადაწყვეტილებებამდე. ასეთი მასწავლებელი - "ევრიკა" ლოგიკური ანალიზის შედეგად მუდამ ძიების პროცესში იმყოფება და აგნებს კიდევ შემოქმედებით მიდგომებს და სასურველ "აღმოჩენებს".

### 3. ინტელექტუალური აქტივობის კრეატიული დონე.

ინტელექტუალური აქტივობის მქონე შემოქმედებითი დონის მასწავლებელი, მიაგნებს რა რომელიმე კანონზომიერებას, ცდილობს უფრო ღრმად ჩაწვდეს მას, მოვლენის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. ასეთი დონის მასწავლებელი შესაბამისი ანალიზის საფუძველზე აძლევს იმ ფსიქოლოგიურ წინააღმდეგობებს, რომლებიც აფერხებენ ადამიანს გადალახოს დაბრკოლებები, გაცდეს დადგენილ საზღვრებს და მიაღწიოს საწადელს.

პირველი ორი დონის მასწავლებლებისათვის დამახასიათებელია ექსტენსიური, ხოლო მესამე დონის პედაგოგებისათვის ინტენსიური გონებრივი საქმიანობა. თუ სტიმულურ-პროდუქტიული დონის მასწავლებელი მოცემული ალგორითმის ფარგლებში სულ უფრო და უფრო აძლიერებს მუშაობის ტემპებს, თუ იგი თავისი საქმიანობის გაფართოებას მექანიკური რეპროდუცირებით ახერხებს, მასწავლებელი - "ევრიკა" ყოველთვის ახალ საშუალებებს მიმართავს, ხოლო კრეატიული პედაგოგი ცდილობს, ისწრაფვის თეორიულად ახსნას ყოველი ფენომენი.

სხვადასხვა ინტელექტუალური აქტივობის დონის მასწავლებლები გარეგანი მოტივაციის გაძლიერებისას, შეცვლილ სიტუაციებში განსხვავებულ ქცევებს ავლენენ (მათ შორის პირად მეტოქეობასაც). ასეთ დროს მასწავლებელთა პირველი ჯგუფის წარმომადგენლები ბოლომდე აქვეითებენ თავიანთი საქმიანობის ეფექტიანობას, კარგავენ მუშაობის ალგორითმს; მეორენი სამუშაო ტემპს სტიმულურ-პროდუქტიულ დონემდე აგდებენ, და მხოლოდ კრეატიული დონის მქონე მასწავლებელთა ჯგუფი ინარჩუნებს სტაბილურობას, ჩვეულ რიტმში წარმართავს საქმიანობას.

ამგვარად, მასწავლებელთა კრეატიულობა წარმოადგენს განათლების მოდერნიზაციის ერთ-ერთ ძირითად პიროვნულ ფაქტორს. პედაგოგიური ინოვაცია გვევლინება განათლების სისტემის განახლების უმნიშვნელოვანეს "მექანიზმად", მისი ეფექტიანობა განპირობებულია უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებელთა მომზადების დონით. პედაგოგიური ინოვაცია ორიენტირებულია "საბოლოო პროდუქციაზე" - შემოქმედი პიროვნების ჩამოყალიბებაზე; მისი მთავარი მიზანია მასწავლებლის და მოსწავლის მრავალმხრივი განვითარება, განათლების მოდერნიზაცია საზოგადოებრიობის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად.

განათლების მოდერნიზაციაში ინოვაციათა პრობლემას დღეს ცენტრალური ადგილი უკავია. ინოვაციური მოძრაობა, ინოვაციური აქტივობა მასწავლებელში შემოქმედებითი მუშაობის განუყოფელი ატრიბუტია, იგი ავითარებს მის პროფესიულ-პედაგოგიურ აზროვნებას, განაპირობებს პიროვნების პროფესიულად მნიშვნელოვანი თვისებების აღზრდა-ჩამოყალიბებას.

## 1.2. მასწავლებლის პროფესიოგრაფია

XXI საუკუნეში განათლების სფეროში შექმნილ თანამედროვე ინოვაციური პროცესების პირობებში მკვეთრად იცვლება მასწავლებლის როლი, იგი უკვე არა მარტო ინფორმაციის გამავრცელებლად (გადაცემად), არამედ ცოდნის დაუფლების შუამავლად გვევლინება. ის ახლა არა უბრალოდ მასწავლებელია (ადრინდელი გაგებით), არამედ საგანმანათლებლო პროცესის ხელმძღვანელიცაა. მასწავლებელი, თავის მხრივ, მოსწავლეებს მხოლოდ ინფორმაციის მიმღებებად აღარ თვლის, იგი მათ აქტიურ კოგნიტურ პარტნიორებად აღიქვამს, მიიჩნევს. დღეს მან უნდა იკისროს იმ ფასილიტატორის (შუამავლის), კოგნიტური მწვრთნელის როლი, რომელიც იცნობს მოსწავლეთა ინტერესებს, იცის მათი შესაძლებლობები და თავისი რჩევებით, ინსტრუქციებით, კომენტარებით უხსნის, ასწავლის მათ როგორ გამოიყენონ მიღებული ცოდნა პრაქტიკულად, როგორ შეძლონ თანამედროვე სოციუმთან ადაპტირება (Chanetal, 2011).

პიროვნებაზე ორიენტირებული განათლებისას მასწავლებლის ცენტრალური ფუნქციაა, რომ სწავლების სისტემა დაგეგმოს მოსწავლეთა შესაძლებლობების და ინტერესების დამყარების ალტერნატივები. მასწავლებლის კომუნიკაბელობის მაღალი დონე მისი პროფესიონალიზმის ერთ-ერთი მაჩვენებელია, პროფესიონალი მასწავლებელი კი ყოველთვის კარგი კომუნიკატორია (Khatal, 2010).

2007 წელს ევროპის შესაბამისი კომიტეტის კომისიამ შეიმუშავა დოკუმენტი სახელწოდებით: "მასწავლებლის განათლების ხარისხის ამაღლება" (Improving the Quality of Teacher Education). მასში მასწავლებელს სასიცოცხლო როლი ენიჭება, იგი უნდა ეხმარებოდეს მოსწავლეებს, რათა მათ თავიანთი პიროვნული პოტენციალის ზრდის მიხედვით განივითარონ ბუნებრივი მონაცემები, უნდა შველოდეს აითვისონ, დაეუფლონ იმ ცოდნას, უნარ-ჩვევებს, რომლებიც უთუოდ გამოადგებათ შემდგომ საქმიანობაში. სწორედ სკოლის მასწავლებლები არიან ის მედიატორები, რომლებიც გზას უნათებენ მოსწავლეებს სწრაფად განვითარებად ცხოვრებაში შესასვლელად.

ზემოაღნიშნულ დოკუმენტში ისიც ხაზგასმულია, რომ მასწავლებლის პროფესია სულ უფრო და უფრო რთული ხდება. მოთხოვნები, რომელთაც მათ უყენებენ გამუდმებით იზრდება, პირობები, გარემო, რომელშიც იგი მუშაობს თანდათან დამაბულობით იტვირთება. წარმოქმნილ სიძნელეთა წარმატებით გადალახვა-დაძლევა ბევრადაა დამოკიდებული მასწავლებლის პიროვნულ თვისებებზე. ამასთან, გამოკვლევათა უმრავლესობაში აღნიშნულია, რომ მასწავლებლის პიროვნული თვისებები, როგორც წესი, დადებით კორელაციას ახდენს მოსწავლეთა წარმატებებზე.

მასწავლებელთა განათლების ხარისხის ამაღლება ევროპის საგანმანათლებლო სისტემის უმთავრესი მიზანია. განათლების დარგისა და საზოგადოებრიობის ასეთმა მისწრაფებებმა, თავის მხრივ, მასწავლებლის პროფესიისადმი ახალი მოთხოვნები წამოაყენა. ახლა უკვე მის მოსწავლეს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის დამახსოვრება, არამედ, ამასთან, იგი უნდა ფლობდეს სწავლების ძირითად უნარ-ჩვევებსაც, უნდა ცდილობდეს იყოს დამოუკიდებელი, საამისოდ, მასწავლებელი ვალდებულია განავითაროს სწავლებისადმი შემოქმედებითი, კონსტრუქციული მიდგომები.

პრობლემები, რომლებიც მასწავლებლის პროფესიას ახლავს, დამახასიათებელია საერთოდ მთელი ევროკავშირის განათლებისათვის. ამიტომ, მასწავლებლის კომპეტენციისა და კვალიფიკაციის განსაზღვრისათვის შემუშავებულ იქნა დარგის ზოგადევროპული პრინციპები. ისინი შეადგინეს ევროპელმა მეცნიერებმა, პედაგოგებმა, აღმზრდელებმა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, მათში წარმოდგენილია მასწავლებლის პროფესიის რაობის ევროპული ხედვა. ქვემოთ მოგვყავს მისი უმთავრესი მახასიათებლები.

მასწავლებელი უნდა იყოს (European Commission, 2007):

- მაღალი ხარისხის პროფესიონალი, უმაღლესი განათლებით; მინიჭებული უნდა ჰქონდეს პედაგოგის კვალიფიკაცია; ზედმიწევნით უნდა ფლობდეს საგანს, რომელსაც ასწავლის. კარგად უნდა იცოდეს პედაგოგიკა, ჰქონდეს ხელმძღვანელობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები და კომპეტენტურობა, შეეძლოს

მოსწავლეთა თანადგომა, ასევე გააზრებული უნდა ჰქონდეს განათლების სოციალური და კულტურული მნიშვნელობა;

- უნდა იყოს პროფესიონალი და ამასთან სისტემატურად იმაღლებდეს თავის კვალიფიკაციას, რასაც, წესისამებრ მასწავლებლები მუდმივად აკეთებენ მთელი თავიანთი კარიერის მანძილზე. რა თქმა უნდა, მასწავლებელსაც და მის დამსაქმებელსაც შეგნებული უნდა ჰქონდეთ ერთხელ მიღებული ცოდნის განახლების საჭიროება, რომ ეს აუცილებელია ინოვაციებისადმი ადაპტაციისათვის და თავიანთ მუშაობაში ჩართვა-დანერგვისათვის;
- მასწავლებელს ასევე მოეთხოვება იყოს მობილური პროფესიონალი: მობილურობა ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის ცენტრალური კომპეტენციაა. საამისოდ, მასწავლებლებს მუდამ ეხმარებიან, ხელს უწყობენ, რათა მათ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში შეძლონ მოხვედრა, იქ მუშაობა და ცოდნის გაღრმავება ისევე მათივე პროფესიონალიზმის ამაღლების მიზნით;
- მასწავლებელი არის სპეციალისტი, რომელიც თავის პროფესიონალიზმს აგებს თანამშრომლობის პრინციპებზე. ამდენად, პედაგოგიურმა ინსტიტუტებმაც მასწავლებელთა საქმიანობა-მოღვაწეობა ამ პრინციპებზე დაყრდნობით უნდა წარმართონ, რათა მათ ითანამშრომლონ სკოლებთან, ადგილობრივი საგანმანათლებლო ორგანოებთან, იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც ატარებენ ტრენინგებს, სხვადასხვა რანგის შეკრებებს, საერთოდ, კონტაქტები უნდა დაამყარონ იმ პირებთანაც, რომლებიც დაინტერესებულები არიან მასწავლებელთა განათლების ხარისხის ამაღლებით.

თანამედროვე მასწავლებელმა თავი უნდა აარიდოს ავტორიტარულობას, ავტორიტარულ პედაგოგიკას, უნდა ესადაგებოდეს, ეწყობოდეს შემოქმედებით რეპროდუქციულ და პროდუქტიულ მოღვაწეობას. ამასთან, დროულად და დასაბუთებულად უნდა გამოავლინოს თანადგომა მოსწავლეებისადმი, რასაც უნდა ახლდეს მოთმინება და შემწყნარებლობა. თანამედროვე მასწავლებელმა უნდა ეძიოს მოსწავლეთა ცოდნისა და ნიჭიერების ადეკვატური გამოყენების საშუალებები, ისინი უნდა შეუხამოს, შეუთავსოს როგორც მათი განვითარების მიზნებს, ისე მათივე



საქმიანობის პრაქტიკულ-საორიენტაციო და სოციალური მნიშვნელობის მქონე მიმართულებებს.

უკვე ითქვა, რომ განათლების სისტემის მოდერნიზაცია მასწავლებლისაგან მოითხოვს მაღალ პროფესიონალიზმს, ხოლო მის შესანარჩუნებლად აუცილებელია მუდმივად ვიახლებდეთ ჩვენს ცოდნას, ვითვისებდეთ სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებს. დავამატებდით, რომ ასევე საჭიროა გადასვლა რეპროდუქციული პედაგოგიკის რეჟიმიდან ინტეგრაციულ რეჟიმზე. ამასთან, ისევ და ისევ საჭიროა მოღვაწეობა შემოქმედებითი ნიშნით იყოს აღბეჭდილი, ატარებდეს ინდივიდუალურ ხასიათს, რისთვისაც იგი მუდმივად უნდა ზრუნავდეს თვითგანათლებაზე, რაც, დავძენთ, ბევრად განსაზღვრავს მისი პროფესიული წარმატების დონეს.

პედაგოგის პროფესიული წარმატებები განუყრელად არის დაკავშირებული მის ინტელექტუალურ დონესთან. ჯერ კიდევ 1905 წელს საფრანგეთში ა. ბინემ და ტ. სიმონმა შეიმუშავეს "ინტელექტუალობის კოეფიციენტის" (IQ) (Binet-Simontest) განსაზღვრის მეთოდიკა, რომლის საფუძველზეც გარკვეული იქნა პიროვნების პროფესიული წარმატების შესაძლებლობა. 1916 წელს სტენფორდის უნივერსიტეტის ამერიკელმა ფსიქოლოგმა ლევის ტერმანმა განახორციელა მოცემული ტესტის მოდიფიცირება, რომელიც შემდგომში ცნობილი გახდა სახელწოდებით - "სტენფორდ-ბინეს ინტელექტუალური სკალა" (Stanford-Binet Intelligence Scales) და მრავალი ათწლეულის განმავლობაში შეინარჩუნა პოპულარობა. XX საუკუნის დასასრულს ამერიკელი ფსიქოლოგების ერთ წრეში გაჩნდა ვარაუდი, იდეა, რომ ფაქტობრივი დასწავლა უმეტესად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ვითარებაში და როგორ ემოციურ ფსიქოლოგიურ გარემოში მიმდინარეობს ცოდნისა და უნარ-ჩვევების ათვისება-დაუფლება (Goleman, 1995). ამასთან დაკავშირებით პიტერ სალოვეიმ და ჯეკ მაირმა 1990 წელს შემოიღეს ცნება "ემოციურობის კოეფიციენტი" (EQ) (Mayer, Salovey, 1990). ცხადი გახდა, რომ მასწავლებლის უნარი ერკვეოდეს თავის მოსწავლეებში, ადეკვატურად რეაგირებდეს მათ ქცევებზე ასევე EQ-ს დონისა და, საბოლოო ჯამში, მისი პროფესიონალიზმის მაჩვენებელია.

ფ.გონობოლინის (1964) აზრით, პროფესიონალიზმის მაღალ დონეს ურთიერთობათა კულტურისას აღწევენ ის მასწავლებლები, რომლებიც საზოგადოებრივ კავშირებს განიხილავენ როგორც ორმხრივ პროცესს, რომლის დროსაც მისი ყველა მონაწილე თანაბარუფლებიანი პარტნიორია. იგი თვლის, რომ ბავშვებთან ურთიერთობის უნარი მოიცავს:

- უნარს - გაუგო მოსწავლეს;
- უნარს - მისაწვდომად აუხსნა მას სასწავლო მასალა;
- უნარს - ნიადაგ აღვივებდე მოსწავლეთა დაინტერესებას;
- ორგანიზატორულ უნარებს;
- პედაგოგიურ ტაქტს;
- უნარს - წინასწარ განჭვრიტოს საკუთარი მუშაობის შედეგები და სხვ.

თანამედროვე უმაღლესი პროფესიული განათლების მოდერნიზაციისა და ინოვაციური განვითარების კვალდაკვალ განისაზღვრა პროფესიული მზაობისთვის საჭირო პრიორიტეტული მიმართულებები. ესაა: კომპეტენტურობა, პასუხისმგებლობა, საკუთარი პროფესიის თავისუფლად ფლობა, პროფესიონალიზმის მუდმივი გაუმჯობესებისათვის მზადყოფნა, სოციალური და პროფესიული მობილურობა. მიჩნეულია, რომ მომავალი მასწავლებლის პიროვნებას ამ სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად, უპირველესად, დასჭირდება ინიციატივების, შემოქმედებითი აზროვნებისა და პროფესიული კომპეტენტურობის გამოვლენა.

როგორც ე. გერშმანი (2012) აღნიშნავს, წარმოდგენილი მოდელის პიროვნული კომპონენტი გულისხმობს: სტუდენტთა პოზიტიურ და მყარ მოტივაციას, მიმართულს მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის საორგანიზაციო პროცესისადმი; პიროვნულ-პროფესიული პოზიციის გამომუშავებას; ცოდნისა და ასევე ფსიქოლოგიური ტექნიკის დამოუკიდებლად გამოყენებით მოპოვებული სოციალურ-საზოგადოებრივ გამოცდილებას; აგრეთვე, ფსიქოლოგიური დამაბულობის მოხსნისათვის საჭირო საშუალებებს, ხერხებს.

2012 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე ("განათლება

გლობალიზაციის ერაში - XXI საუკუნის გამოწვევები”) განიხილეს საკითხი: მსოფლიო და ევროპული განათლების სისტემების ინტეგრაციის თანამედროვე ეტაპი. განათლების შინაარსისა და სტრუქტურის პრობლემებზე მსჯელობისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცევს იმ ძირეულ ცვლილებებს, რომლებიც გამოვლინდა მასწავლებლის პიროვნების, მისი პროფესიული ეთიკისა და პროფესიოგრამის განსჯა-გაშუქებისას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროფესიონალის მოსამზადებლად საჭიროა ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდგომა, რომელიც მიმართული იქნება მის თვითგანვითარებაზე.

ამრიგად, უნდა მომზადდეს პედაგოგიური კადრების ახალი ტიპი, კერძოდ, ინოვაციური სწავლების ტექნოლოგიების გამოყენებით. ასეთი მასწავლებელი უნდა ფლობდეს თვისებრივად თანამედროვე პროფესიულ გამოწვევებს: თავდაჯერებულობას, სიმტკიცე-დარწმუნებულობას, დამოუკიდებლობას, ორიგინალურობას, შექმნილი სიტუაციებისადმი ადაპტირების უნარს; უნდა იყოს გულწრფელი. აქვე გამორჩეული ადგილი უნდა მიეკუთვნოს: მაღალ ზოგად კულტურას, ეთიკური ნორმების დაცვას, ჰუმანიზმს. მასწავლებლის პედაგოგიური ზრდილობიანობა, თავაზიანობა განიხილება როგორც განსაკუთრებული პედაგოგიური ოსტატობა, რომელსაც შემდეგი თვისებები ამკობს: დაკვირვებულობა, ყურადღებიანობა, სამართლიანობა, მოთმინება, თავშეკავებულობა, თავდაჭერა (Абдуллазаде, 2012).

ზემოთქმული ნათელს ხდის, რომ უკვე მომწიფდა უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე სპეციალისტების მომზადების საჭიროება შესაბამისი თვისებრივი ცვლილებების გათვალისწინებით; ახლა განსაკუთრებით აქტუალურია ინდივიდუალური სწავლების პრობლემა, გადასვლა ცოდნისეულიდან პიროვნებაზე ორიენტირებულ მიდგომაზე. თუმცადა, ასეთი გადასვლა შეუძლებელია თვით მასწავლებლის, მისი როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სუბიექტის პიროვნული თავისებურებებისა და მახასიათებლების გათვალისწინების გარეშე. და კიდევ: გარდა მისი პიროვნული თვისება-თავისებურებებისა, მასთან ისევ და ისევ დაკავშირებულია მასწავლებლის პროფესიული კომპეტენციებიც, მათშორის მისი უნარ-

ჩვევებიც. ამდენად, დღეს ეს პრობლემა კვლავაც აქტუალურია, ხოლო მასწავლებლის პროფესიული მომზადება ხელახალ გააზრებას საჭიროებს.

მასწავლებელთა მომზადების ისეთი სისტემა, რომელიც კომპეტენტურ მიდგომებზეა ორიენტირებული, სპეციალისტებს თვითრეალიზაციის შესაძლებლობას მისცემს, თავად კომპეტენციები კი, პიროვნულ-ფსიქოლოგიური თვისებებისაგან განსხვავებით, არის არა პიროვნებათა თავისებურებანი, არამედ მათი ქცევის რამდენადმე ჩვეული ფორმები (იგულისხმება სოციალიზაციის პროცესში ჩამოყალიბებული ქცევა). მაგალითად, ამ თვალთახედვით, პასუხისმგებლობა შეიძლება განიხილებოდეს როგორც პიროვნული მახასიათებელიც და როგორც კომპეტენციაც, ანუ მიდრეკილება ისეთი საპასუხისმგებლო ქცევის გამოვლენისადმი, რომელიც, პირველ ყოვლისა, გამომუშავებულია ნებელობითი თვისებების განვითარების გზით. ასეთ თვისებებს მიეკუთვნება: გამბედაობა, ინიციატივიანობა, მიზანსწრაფულობა, დამოუკიდებლობა, დაჟინება და სხვ. (Шпаковская, 2011).

საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე, გლობალიზაციის გაძლიერების ტენდენციისა და პროფესიონალიზმის ამალღების პირობებში ბევრი მეცნიერი კომპეტენტურ მიდგომებს განიხილავს როგორც თანამედროვე პროფესიული განათლების მეთოდოლოგიურ საფუძველს. აქ "კომპეტენტურობის" ცნებას რამდენიმე განსაზღვრება აქვს. 1973 წელს ცნობილმა ამერიკელმა ფსიქოლოგმა დ. მაკლელანდმა "კომპეტენციის" ცნება გამოიყენა როგორც პიროვნული ნიშან-თვისება (traits), ან უნარ-ჩვევათა ისეთი სისტემა, რომელსაც პროფესიული საქმიანობის უფრო ეფექტური შესრულებისაკენ მივყავართ. რუსი ფსიქოლოგები კი - ი. ზიმნაია (2006) და ო. აფანასიევა (2011) თვლიან, რომ "კომპეტენციის" არსი ორ ძირითად ცნებას გულისხმობს - "ნიჭიერებას" და "მზაობას". ნიჭიერება, როგორც ცნობილია, ქცევა-საქმიანობით ვითარდება, ის პიროვნების ინტეგრალური თვისებაა, იგი სხვა, მეორე ინტეგრალური თვისებით მის მზაობას უკავშირდება. მზაობა კი, როგორც პიროვნების მყარი ინტეგრალური თვისება, ვლინდება პედაგოგიური ქცევისადმი დადებითი და შეგნებული დამოკიდებულების მეშვეობით, ხოლო მისი რეალიზაცია მისივე განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მეოხებით ხდება.

ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ "კომპეტენცია" არ შეიძლება განისაზღვროს როგორც მხოლოდ ცოდნისა და უნარ-ჩვევების გარკვეული ჯამი, იგი უნდა რაიმე სიტუაციის პირობებში განიხილებოდეს.

ისე რომ, კომპეტენტურობა - ესაა ქცევაში რეალიზებული ინტეგრალური კომპეტენცია. კიდევ უფრო ზუსტად - პიროვნების ქცევაში გამოვლენილი მახასიათებელი, რომელიც განაპირობებს მიღებულ შედეგებზე მის პასუხისმგებლობას და წარმატებებსაც. სტრუქტურული თვალსაზრისით, კომპეტენციაში გამოყოფენ კოგნიტურ, ოპერაციულ და პიროვნულ კომპონენტებს. პიროვნული კომპონენტი თავის თავში მოიცავს მოტივაციურ, აზრობრივ-ღირებულებით და ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ შემადგენლებს.

ზემოთ დასახელებული ყველა კომპონენტი შეიძლება ინტეგრირებულ იქნეს დ. უზნაძის განწყობის ცნებაში. «...განწყობა მთლიანობითი ბუნების ფაქტია, იგი აქტიური სუბიექტის, როგორც მთელის დახასიათებაა. მაგრამ იმავე დროს იგი ამ აქტიური სუბიექტის სამოქმედოდ მზადყოფნასაც ნიშნავს. მაშასადამე, განწყობის ცნებაში, ორივე მომენტი ერთად იგულისხმება: მოქმედებაც და აქტიური პიროვნებაც” (უზნაძე, 1981, გვ. 11).

პედაგოგიურ განწყობაში ინტეგრირებულია პედაგოგიური საქმიანობის შესრულებისათვის აუცილებელი სუბიექტური (მოთხოვნილება) და ობიექტური (სიტუაცია) პირობები. პედაგოგიური განწყობა შეიძლება განვიხილოთ როგორც მასწავლებლის მუდმივი მზადყოფნა, რომელიც საშუალებას აძლევს პედაგოგს სხვადასხვა პირობებში კომპეტენტურად შეასრულოს თავისი პროფესიული ფუნქციები.

თანამედროვე მასწავლებლის მიმართ წაყენებულმა ახალმა მოთხოვნებმა სტუდენტებში წარმოშვა პედაგოგის "სახის" შექმნა-ჩამოყალიბების პრობლემა, რაც მთელი რიგი გარემოებებით არის განპირობებული (Ильина, 2012), კერძოდ:

- საზოგადოებრიობას ესაჭიროება თანამედროვე პედაგოგი, რომელსაც ხელეწიფება გადაწყვიტოს ახალი საგანმანათლებლო თუ აღმზრდელიობითი ამოცანები სკოლაში;

- საზოგადოებრიობა ორიენტირებულია პროფესიულ-პედაგოგიური განათლების სისტემის განახლებაზე;
- საზოგადოებრიობა, მათ შორის პედაგოგიური ინსტიტუტების, უნივერსიტეტის სტუდენტობა, დაინტერესებულია საზოგადო ცნობიერების სიმყარით, პედაგოგთა დროის შესაბამისი ხედვით, მათი პროფესიული საქმიანობით;
- მათ სურთ მეტი იცოდნენ უმაღლესი სასწავლებლების პირობებში მომავალ პედაგოგთა პროფესიული ფორმირება-ჩამოყალიბების თაობაზე მოპოვებული მეცნიერული ცოდნის კანონზომიერებათა შესახებ;
- პედაგოგიური მეცნიერება მოწოდებულია გაჯერებულ იქნეს ახალი მიდგომების დანერგვით შედეგების გააზრებებით, აპრობაციებით, პედაგოგიური კადრების მომზადების ანალიზით, რაც განათლების განახლების სტრატეგიული მიზნების ადეკვატური უნდა იყოს.

ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ლიტერატურის ანალიზმა შესაძლებლობა მოგვცა განგვესაზღვრა პედაგოგის „სახის“, „ხატის“ ცნება, როგორც რთული კოგნიტური და ემოციური წარმონაქმნი, რომელშიც ასახულია ადამიანის სუბიექტური შთაბეჭდილებები, პედაგოგ-პროფესიონალის (ინდივიდის, პიროვნების, პროფესიული საქმიანობით დაკავებული პირის) მრავალასპექტიანი ბუნება.

ეს წარმონაქმნი აღჭურვილია აქტიური საწყისებით და პედაგოგის პროფესიულ ქმნადობაში სხვადასხვაგვარ ფუნქციას ასრულებს: მოტივაციურს, ღირებულებით-მიზნობრივს, პროგნოზირებადს, კორელაციურს, საკონტროლო-კორექტულს, რეგულატორულს და სხვ. პედაგოგის ყოველი „სახე“ ინდივიდუალური და განუმეორებელია. ამასთან, ნებისმიერ „სახეს“ აქვს, ასე ვთქვათ, თავისი „ტიპურობის ზომა“, რომელიც განსაზღვრულია კონკრეტული ისტორიული პერიოდის თავისებურებებით, ე.ი. პედაგოგის „სახე“ შეგვიძლია განვიხილოთ როგორც სოციალურ-ისტორიული მოვლენა, განპირობებული შესაბამისი ეპოქის მსოფლმხედველობრივი თუ სოციალური იდეალებით.

განათლების განვითარების დღევანდელი მდგომარეობა პედაგოგისაგან მოითხოვს როგორც სხვებისადმი, ისე საკუთარი თავისა და პროფესიული საქმიანობისადმი შეცვლილ დამოკიდებულებებს. ამასთან დაკავშირებით, თანამედროვე პედაგოგის არსებითი ინტეგრაციული მახასიათებლების სახით პირობითად გამოყოფილ იქნა შემდეგი მონაცემები: დიალოგის მართვა, შემოქმედებითობა, თვითგანათლება.

ადამიანის პედაგოგად ჩამოყალიბების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროფესიულ-პედაგოგიური განათლების ეტაპი. ამიტომაც, სწორედ ამ პერიოდში აუცილებელია პედაგოგიურად მიზანმიმართული პირობების შექმნა, რათა სტუდენტს უფრო სრულყოფილად წარმოუდგეს პედაგოგის „სახე“.

პედაგოგის „სახის“ ქმნადობის ძირითად პირობებს მიეკუთვნება (Ильина, 2012):

- თანამშრომლობა-დიალოგი;
- ემოციურად კეთილსასურველი გარემო;
- სტუდენტთა ორგანიზაციების სხვადასხვა ფორმები;
- პედაგოგიური კურსების კვლევითი ხასიათი.

ზემოთ მითითებული პირობების შესრულებამ, როგორც რუსი მეცნიერები ო. ნესტეროვა (2011) და ს. ილინა (2012) ასაბუთებენ, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებში, პედაგოგის სახის ქმნადობის კუთხით, დადებითი შედეგები გამოიღო, რამაც პედაგოგსა და სტუდენტებს შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობების წარმოქმნას შეუწყო ხელი, ხოლო ამან, თავის მხრივ, აამაღლა მასწავლებლის პროფესიის პრესტიჟი.

მასწავლებლის ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური მომზადებისა და გადამზადების ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა მისი პიროვნების პროფესიულად მნიშვნელოვანი თვისებების განვითარების პროგნოზირება. ამ მხრივ შეგვიძლია ექსპერტული მეთოდის მეშვეობით მივმართოთ მოდელის (პროფესიოგრამის) აგებას.

პირველი პროფესიოგრამები გასული საუკუნის 20-30-იან წლებში შეიქმნა. მათი შინაარსი მოიცავდა მასწავლებლის მოსამზადებლად ჩამოთვლილ მოთხოვნებს. პროფესიოგრამისმეთოდს იმთავითვე როგორც მონიტორინგს მიუდგნენ, მასში

შეიტანეს პიროვნების თვისებები, პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები. პროფესიოგრამამწარმოაჩინა "იდეალური" მასწავლებლის „სახე“. მონიტორინგის მიზნით კი მის მონაცემებს ადარებდნენ რეალური მასწავლებლის თვითშეფასებებს.

ჩვენი მიზანი არ არის მასწავლებლის პროფესიოგრამის შექმნისა და განვითარების ისტორიის წარმოდგენა, თუმცა ვიტყვით, რომ ჯერ კიდევ ი. ა. კომენსკიმ ნაშრომ "დიდ დიდაქტიკაში" განსაზღვრა თავისი მოთხოვნები "უნივერსალური" მასწავლებლის მიმართ. ეს მოთხოვნები დღესაც თანამედროვედ ჟღერს:

- ყოველი ადამიანი თვითონ უნდა იყოს ისეთი, როგორებადაც სურს სხვები აქციოს;
- ყველა უნდა ფლობდეს სხვათა სასურველ ადამიანად მოქცევის ხელოვნებას;
- ყველა უნდა იყოს თავისისაქმის თავგამოდებული აღმასრულებელი, უნდა შესწევდეს ძალა, სურდეს და შეეძლოს კიდევ ნერგავდეს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას.

მასწავლებლის პროფესიულად მნიშვნელოვანი თვისებების განვითარება მასწავლებლის პროფესიოგრაფიული მოდელის მიხედვით მიმდინარეობს. მას საფუძვლად უდევს მისი "პროფესიიდანვე" შერჩეული ბაზისური თვისებები, ისინი აგებულია გარკვეული წარმოდგენებით შექმნილ იმ მოთხოვნათა სისტემის შესაბამისად, რომელიც წარედგინება არა მარტო სპეციალისტ პროფესიონალებს, არამედ, ზოგადად, ნიჭით ხელდასხმულ იმ სპეციალისტსაც, ვისაც ამ პროფესიის დაუფლების პრეტენდენტად მოაქვს თავი.

მასწავლებლის პიროვნების მოდელის სტრუქტურის აგების პრობლემით დაინტერესდა ბევრი მეცნიერი (მ. ჯონსი, ხ. ერიქსონი, რ. დიტერიხი, რ. ბრუნერი და სხვ.). მაგალითად, რ. ბრუნერმა სხვადასხვა კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით გამოყო და შეაჯამა ეფექტურად მომუშავე მასწავლებლების პროფესიულად ღირებული კომპეტენციები და შეადგინა "იდეალური" მასწავლებლის მოდელი, რომელშიც შევიდა 10 კომპონენტი (Brunner, 1976):

- ემოციური სტაბილობა;
- დადებითი თვითშეფასება;



- სწავლების დიფერენცირებული და სისტემატური დაგეგმვა;
- მოსწავლესთან პარტნიორული მოდგომა;
- არაპირდაპირი მმართველობის ზემოქმედების უპირატესობა;
- პედაგოგიური ზეგავლენის რიგიდული ხერხების არიდება;
- სწავლების ჯგუფური მეთოდების გამოყენება;
- სტიმულების დიფერენცირებული გამოყენება;
- მოქნილობა (დიფერენცირებული მოდგომა მოსწავლეებისადმი, პედაგოგიური მიზნების განსაზღვრის, სწავლების ხერხებისა და მეთოდებისადმი);
- კოლეგების მოლოდინის ცოდნა და გათვალისწინება.

რ. ბრუნერის მოდელის ყველა კომპონენტი, თანამედროვედ ჟღერს მიუხედავად იმისა, რომ შედგენილია 1976 წელს (თანამშრომლობა, სწავლების ჯგუფური მეთოდი, დიფერენცირებული მოდგომა და ა.შ.).

უფრო მოგვიანებით რ. დიტერიხმა (1983) მ. ჯონსის, ხ. ერიქსონის, ვ. ტანერის და სხვა ავტორების კვლევების შედეგების განზოგადებით შეადგინა "იდეალური" მასწავლებლის მოდელი, რომელშიც გააერთიანა შემდეგი 10 კომპეტენცია:

- მაღალი თვითკონტროლი;
- ემოციური მდგრადობა;
- თანაზიარება;
- ობიექტურობა;
- მეგობრულობა;
- პასუხისმგებლობა;
- თანამშრომლობისთვის მზაობა;
- თავდაჯერებულობა;
- ხასიათის დადებითი თვისებების სიჭარბე;
- სკალების მიხედვით დეპრესიის, სიცრუის, ფსიქოპათიისა და იპოქონდრიის დაბალი მაჩვენებლები.

ბრუნერისგან განსხვავებით დიტერიხის მოდელში წარმოდგენილია მასწავლებლის ძირითადად პიროვნული თვისებები. ბრუნერს კი – პიროვნულთან ერთად პროფესიულად ღირებული უნარ-ჩვევებიც.

გაკვანალიზოთ მასწავლებლის პროფესიოგრამის დღესდღეობით ერთ-ერთი მოდელი, რომელიც შემოგვთავაზეს გ. მატუშანსკიმ, მ. როგოვმა და ი. ცვენგერმა (2001). ავტორებმა აღნიშნულ მოდელს საფუძვლად დაუდეს პროფესიოგრამის პრობლემატიკისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი. მოდელში წარმოდგენილია უნარ-თვისებათა ოთხი ჯგუფი:

- პროფესიულად მნიშვნელოვანი უნარები;
- პროფესიულ-პედაგოგიური მიმართულების მქონე თვისებები;
- პიროვნების ზნეობრივი თვისებები;
- ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური უნარები.

განსახილველი პრობლემის შესახებ ლიტერატურიდან ცნობილია, რომ პიროვნული თვისებების განვითარება უნარების ძალისხმევითაც შესაძლებელია. თეორიული ანალიზის საფუძველზე კი დადგინდა თანაფარდობა (ინფორმაციულ-ტექნოლოგიური მომზადების მეშვეობით) ფორმირებად უნარებსა და მომზადების პროცესში ჩართული უმაღლესი სკოლის პედაგოგის პიროვნების განვითარებად თავისებურებებს შორის (Матушанский, Рогов, Цвенгер, 2011).

ისე რომ, მასწავლებლის პროფესიოგრამა - ესაა მოთხოვნათა ჩამონათვალი, რომელიც წარედგინება მის პიროვნებას და მოიცავს მისსავე უნარებს, ოსტატობასა და ფსიქო-ფიზიკურ შესაძლებლობებს. მასწავლებელს ესაჭიროება გონებრივი, ესთეტიკური, ექსპრესიული, ორგანიზატორული და, განსაკუთრებით, კომუნიკაციური უნარები. მასწავლებლის პროფესია კი თავისთავად გულისხმობს ისეთი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, როგორცაა: თანამშრომლობა, შემოქმედებითი მიღწევები, თვითშემეცნება, ემოციური კონტაქტები და მისთ. მასწავლებლის "სახე", მისი "მე" უნდა შეიცავდეს წარმოდგენებს მისსავე თვისებებსა და თავისებურებებზე, მოსწავლეებთან თავის ურთიერთობის თვითშეფასებაზე, სასურველ "მე"-ზე, საკუთარ ღირსებებზე. მასწავლებელს სხვებისაგან გამორჩეული, განმასხვავებელი, დამახასიათებელი

თვისებები: იუმორი, კეთილმყოფლობა, თანაზიარობა, მზაობა სიმპათიის გამოსავლენად, თანაგრძნობისათვის, ემფატიკურობა, მოსწავლეთა გუნება-განწყობაში წვდომის უნარი; მას ხელეწიფებაგაუგოს ყმაწვილებს, გაითვალისწინოს მათი ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებანი.

”პროფესიოგრამის” ცნების შინაარსის ასეთი გააზრების შემდეგ შეგვიძლია ვიმსჯელოთ პროფესიოგრაფიული მეთოდის მეოხებით პიროვნების შესწავლის შესახებაც, კერძოდ, კი სტუდენტის ცოდნა დაუნარ-ჩვევები შევადაროთ იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რომლებიც ”იდეალურ” მოდელს აქვს მიკუთვნებული და გარკვეული შეფარდებით შეიძლება სტუდენტსაც ჰქონოდა. ამ დროს პროფესიოგრამა გვევლინება პედაგოგიური მოღვაწეობის მსურველი სტუდენტის პროფესიული მომზადების ხარისხის მონიტორინგის ფორმად. პროფესიოგრაფიკული მეთოდი საშუალებას იძლევა მოვახდინოთ სტუდენტის - მომავალი პედაგოგის პიროვნული და პროფესიული ზრდის პროექტირება, ამასთან, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს თვითაღზრდის ერთ-ერთ მეთოდადაც.

მასწავლებლის შრომის, უფრო ზუსტად კი პედაგოგიური მოღვაწეობის თავისებურებებით დაინტერესებული მკვლევარები მასწავლებელ-სპეციალისტის კვალიფიკაციისა და პიროვნული თვისებების განსაზღვრის საკითხს სხვადასხვა პოზიციიდან უდგებიან. მაგალითად, ნ. კუმინა (1967) პედაგოგიური მოღვაწეობის სტრუქტურაში ხუთ კომპონენტს გამოყოფს: გნოსტიკურს, პროექტირების, კონსტრუქციულს, ორგანიზატორულს, კომუნიკაციურს. ვ. კრუტეცკი (1991) კი პიროვნების თვისებების პროფესიულად მნიშვნელოვანი სტრუქტურის თავის მოდელის გვთავაზობს, რაც აერთიანებს:

- პიროვნების მსოფლმხედველობას;
- პედაგოგიური საქმიანობისადმი დადებით დამოკიდებულებას;
- პედაგოგიურ უნარებს;
- პროფესიულ-პედაგოგიურ ცოდნას, ოსტატობასა და ჩვევებს.

აქ წარმოდგენილი კლასიფიკაციები მიუთითებენ, რომ პედაგოგიური მოღვაწეობა, როგორც წესი, ცოდნა-ოსტატობაზეა დამოკიდებული, ეს უკანასკნელი კი,

რაც კვალიფიკაციურ სასწავლო პროცესს უთუმცაოდ უზრუნველყოფს, მოიცავს: ორიენტაციულ, აკადემიურ, პერცეპტულ, მობილიზაციურ, ორგანიზაციულ, კომუნიკაციურ, გნოსტიკურ, დიდაქტიკურ, კონსტრუქციულ, გამოყენებითსა და პედაგოგიკური აზროვნების უნარებს; ასევე პედაგოგიური ტექნიკის ფლობას, გამომეტყველებით კითხვასა და საუბარში დახელოვნებას.

პროფესიოგრამაწარმოდგენას გვიქმნის იმ უნარ-ჩვევებზეც, რომელთაც მასწავლებელი აუცილებლად უნდა ფლობდეს. და მაინც, მხოლოდ ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებზეც აქამდე ლაპარაკი გვქონდა საკმარისი არაა. როგორც ფსიქოლოგები (Теплов, 1985, Небылицин, 1976) თვლიან, ბევრი რამ დამოკიდებულია თვით პიროვნების ბუნებრივ მონაცემებზეც, ნიჭიერებაზე, გარკვეულ წინაპირობებზე (რაც შესაძლებელია ამა თუ იმ საშუალებით გამოხატოს), აგრეთვე პიროვნებისა ფსიქოლოგიურ მზაობაზე, მის მისწრაფებაზე, სურვილზეც რაც შეუძლია კარგად შეასრულოს თავისი ფუნქციები. ბევრი რამეც მხოლოდ საკუთარ თავზე მუშაობით იხვეწება. საბოლოოდ კი უმთავრესია თვითაღზრდა - საკუთარი ქცევის კონტროლი და მოთმინება.

ავსტრალიელი მკვლევარების მიერ შემოთავაზებული პროფესიონალი მასწავლებლის თანამედროვე მოდელი შეიცავს 4 ძირითად ელემენტს (Cripps, Walsh, 2002):

- დისციპლინის შინაარსის ზუსტი ცოდნა;
- გარემოსადმი და დისციპლინისადმი შესატყვისი პედაგოგიური უნარ-ჩვევები;
- პიროვნული ცოდნა, რომელიც შეიცავს მოსწავლეებთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარების უნარს მისი ინდივიდუალობისა და მკაცრი მორალური კოდის გათვალისწინებით;
- სწავლების კონტექსტის ღრმა ცოდნა.

მოდელში გამოიყოფა აგრეთვე მისი კომპონენტები: შინაარსის ცოდნა; ზოგადი პედაგოგიური ცოდნა; კურიკულუმის ცოდნა; პედაგოგიური შინაარსის ცოდნა; მოსწავლის და მისი მახასიათებლების ცოდნა; განათლების შედეგის, მიზნებისა და ღირებულების ცოდნა; განათლების კონტექსტის ცოდნა.

განსახილველი თემა გვიბიძგებს რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ ისეთ კომპონენტზე, როგორცაა ”პიროვნებისეული ცოდნა”:

მასწავლებლის პიროვნება ყალიბდება მისივე ენთუზიაზმის, თვითდისციპლინის, გულმოდგინების, თავგამოდების, ადამიანური ძლიერების, პასუხისმგებლობის მეოხებით. პიროვნული თვისებები ორ კომპონენტს აერთიანებს - მორალურ კოდექსსა და ქცევას. მათვე მიეკუთვნება: პატიოსნება, წესიერება, საკუთარი ძალების, შესაძლებლობების რწმენა, რასაც, როგორც წესი, ქმნის პიროვნების მსოფლმხედველობა და განაპირობებს მოტივაციური კოდექსი.

ყველა ზემოთ დასახელებული თვისება საფუძვლად ედება მასწავლებელსა და სტუდენტს შორის კეთილგანწყობილ დამოკიდებულებათა ჩამოყალიბებას. ასეთ მასწავლებელს, ცხადია, სჯერა საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობისა და კომფორტულად გრძნობს თავს ინოვაციების შეთავაზებისა და რისკის გაწევის შემთხვევებშიც კი. თვითეფექტიანობის რწმენა გავლენას ახდენს იმ არჩევანზე, რომელსაც ადამიანი აკეთებს რთულ სიტუაციებში და უნარჩუნებს მას კეთილ მისწრაფებებსა და ხასიათის სიმტკიცეს.

რაიმეს ცოდნა იზოლირებული, განცალკევებული სახით არ არსებობს, იგი ზოგადი ცოდნისა და პრაქტიკის ნაწილია, ამასთან, დამოკიდებულია პიროვნების ფიზიკურ, სოციალურ, ინტელექტუალურ, ემოციურ, ჩვენს შემთხვევაში, მასწავლებლის ირგვლივ არსებულ გარემოზე. მისი ცოდნა მუდმივად არის დაკავშირებული რეალურ ვითარება-პირობებთან, იგულისხმება: საზოგადოებრიობა, სკოლა, საკლასო ოთახი.

მასწავლებლის საქმიანობის ეფექტიანობას უზრუნველყოფს მუდმივმოქმედი პროფესიული მომზადების სისტემა. იგი ორიენტირებულია კომპეტენტურ მიდგომაზე, რაც თვითრეალიზაციის გარანტიას იძლევა. მოღვაწეობისდა შესაბამისად რეალიზებული კომპეტენცია კი კომპეტენტურობის ცნების დამკვიდრებასა და ქმედითუნარიანობას განაპირობებს. მისი არსი მასწავლებლის ნიჭიერებისა და მზაობის მანიშნებელია და თავისი ფუნქციის წარმატებით შესრულებით გამოიხატება. მოცემულ შემთხვევაში ნიჭიერება და მზაობა განიხილება როგორც პიროვნების ინტეგრალური

თვისებები, რომლებიც წამყვან როლს ასრულებენ პედაგოგიური საქმიანობისათვის მის მაღალ დონეზე მომზადებაში.

მასწავლებლის პიროვნული თვისებების შესწავლისადმი მიძღვნილ თანამედროვე გამოკვლევებიდან ყურადღებას იპყრობს ბ. მალმის ნაშრომი (Malm, 2009). ნაშრომში ასახულია შვედეთში ჩატარებული პედაგოგთა გამოკითხვა, რომელთაც უსვამდნენ შემდეგ კითხვებს:

1. რომელი კომპეტენციები და თვისებები მიგაჩნიათ თქვენ საჭიროდ მომავალ მასწავლებელთა მოსამზადებლად?
2. ამ კომპეტენციებიდან და თვისებებიდან რომელს თვლით ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად, საჭიროდ მათი პროფესიისათვის?

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა 12 ძირითადი კატეგორია: საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები, დემოკრატიული შეხედულებები, ბავშვებში თავდაჯერებულობის განვითარება, ინდივიდუალობა, ინტელექტუალობა, ლიდერის თვისებები, სასწავლო გარემოს ორგანიზება, პიროვნული კომპეტენცია, სოციალური კომპეტენცია, საგნის ცოდნა, პროფესიონალიზმი, დიდაქტიკური ჩვევები.

პასუხებში ყველაზე მეტად ის კატეგორიები მეორდებოდა, რომლებიც დიდაქტიკურ ჩვევებს, ამასთან, პასუხისმგებლობას, ინტერესების სფეროსა და გულმოდგინებას, გახსნილობას ეხებოდა. ასევე ხშირად ისმოდა საპასუხო მოსაზრებები ლიდერის თვისებებისა და სასწავლო გარემოს მოწყობის შესახებ. ბევრი მასწავლებელი ხაზს უსვამდა, რომ საჭიროა კონფლიქტების დამარეგულირებელი პროგრამები, ასევე ბევრი თვლიდა, რომ სასწავლო მასალას აუცილებლად უნდა ერთვოდეს ზოგადგანმავითარებელი თეორიული ცოდნის შევსება. თვითშემეცნების შესახებ პიროვნული კომპეტენციები და პიროვნულივე თვისებები სულ რამოდენიმეჯერ იყო ნახსენები.

მეორე კითხვაზე მასწავლებელთა უმრავლესობა პასუხობდა, რომ ძალზე რთულია თვისებების რანჟირება მნიშვნელობათა მიხედვით იმდენად, რამდენადაც ისინი ყველა ერთნაირად საჭიროა. ყველაზე ნაკლები ყურადღება კი მასწავლებლებმა დაუთმეს ბავშვებში თვითდამაჯერებლობისა და პიროვნული განვითარების საკითხებს.

არავინ არ მიაქცია ყურადღება მეცნიერული თეორიის პრაქტიკასთან დაკავშირების პრობლემას. ყველაზე ხშირად და მნიშვნელოვნად კი ასახელებენ კომუნიკაციურ ჩვევებს, ლიდერის თვისებებსა და კოგნიტურ უნარებს. საერთოდ, ფორმალურ კომპეტენციებს (საგნის ცოდნას, სწავლების ტექნიკას) მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე პიროვნულ მახასიათებლებს. ეს მაშინ, როცა თანამედროვე მკვლევართა უმრავლესობა ასაბუთებს, რომ დღესდღეობით პიროვნული თვისებები ძლიერ ზეგავლენას ახდენს სწავლებით მიღებულ შედეგებზე. ეს განსაკუთრებით ეხება პიროვნებათმორის დამოკიდებულებებს და ემოციურ კომპეტენციებს.

ამგვარად, პიროვნული ნიშან-თვისებების განვითარების პრობლემა კვლავინდებურად აქტუალურად გვესახება. მის გადაწყვეტას, მრავალი თვალსაზრისით, განაპირობებს მასწავლებლის პროფესიულად მნიშვნელოვან პიროვნულ თვისებათა მოდელის შექმნა, თეორიულად დასაბუთებული კვლევის თანამედროვე საშუალებებითა და განათლების ამჟამად მოქმედი პარადიგმების მეოხებით მისი შექმნა.

### 1.3. ფიზიკური აღზრდის ადასპორტის მასწავლებლის პროფესიის მოდელი

საზოგადოებრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მკაფიოდაა გაცნობიერებული ჯანმრთელი ცხოვრების წესის დანერგვის მნიშვნელობა. ისიც ნათელია, რომ ამ პრობლემის წარმატებით რეალიზაციისათვის აუცილებელია ფიზიკური აღზრდის არსებული სისტემის მოდერნიზაცია, მისი ფოკუსირებათითოეული ადამიანის შესაძლებლობათა გამოვლენასა და ასევე საყოველთაო კეთილდღეობაზე. ცხადია, რომ ამ ღონისძიებათა ეფექტიანობა დიდადაა დამოკიდებული შესაბამისი პროფესიული კადრების თეორიულ მზაობაზე და ასევე სამუალო თუ უმაღლეს სკოლებთან პრაქტიკულ კავშირ-ურთიერთობათა ინტენსივობაზე.

სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები, განსაკუთრებით XX საუკუნის მეორე ნახევრიდან (L. Hendry, B. Ogilvie, A. Tutko, B. Cratty, M. Mosston, B. Верещагин, O. Мысин და სხვ.) განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთა მომზადების პრობლემისადმი. ისინი სამართლიანად მიუთითებენ, რომ მის გადასაჭრელად, ანუ პედაგოგიური მოღვაწეობისა და თეორიული თუ პრაქტიკული გამოცდილების გათანამედროვეობისათვის, საჭიროა ამ მომზადებაში ჩაირთოს სპეციალური ცოდნის დაუფლებისა და კომუნიკაციური უნარების გაძლიერების გამოსამუშავებელი მოთხოვნებიც. ეს იმიტომ, რომ პროფესიული მომზადება აუცილებლად გულისხმობს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის ცოდნის (თეორიულის, პრაქტიკულის, მეთოდის) ოპერატიულობის უზრუნველყოფას და მისი პროფესიულ-პედაგოგიური მოღვაწეობის დინამიურ ერთიან, მთლიან სტრუქტურირებას.

2010 წელს აშშ-ში, აიოვას შტატში ჩატარდა ფიზიკური აღზრდის პედაგოგიკისადმი მიძღვნილი გლობალური ფორუმი (Global Forum for Physical Education Pedagogy). ფორუმზე განხილულ იქნა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მომზადების ახალი მოდელი თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით (Edginton, 2010). აღნიშნული მოდელი მოიცავს:



- პრაქტიკის შერწყმას თეორიასთან;
- სრულ ჩართვა-ჩაფლობას სასწავლო ვითარება-გარემოებაში;
- ყურადღების გამახვილებას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე;
- სასწავლო გარემოს გაფართოებას და სხვ.

მასწავლებლის მომზადების პროცესის ინტენსიფიკაცია უშუალოდაა დაკავშირებული მისი პიროვნების ფორმირებასთან. მასწავლებლის თვითშემეცნება ამ დროს მის პროფესიულ-პედაგოგიურ რეფლექსიას ეფუძნება, რაც აუცილებელია წარმატებული სპეციალისტის მოსამზადებლად. პროფესიული თვითშეგნების აღზრდას, საერთოდ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, იგი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მომზადების ეფექტიანობის გარანტიაა.

”დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის სტანდარტის” (2012) მიხედვით, მასწავლებლის პროფესიული მოღვაწეობის მთავარი მიზანია დაადგინოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ცხოვრების ჯანმრთელი წესის როლისა და პიროვნების საზოგადოებრიობაში ინტეგრაციის პროცესს შორის. საამისოდ ფიზიკური აღზრდის მასწავლებელმა მოსწავლეებში უნდა აღზარდოს სწორი დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი, საკუთარი სხეულისადმი, გამოუმუშაოს დადებითი განწყობა ფიზიკური აღზრდისა და სპორტისადმი, რაც მათი ცხოვრების, მათი ფიზიკური და სულიერი განვითარების საწინდრად უნდა იქცეს.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი, პირველ ყოვლისა, პედაგოგთა და მის პროფესიულ მომზადებას იგივე მოთხოვნები წაეყენება, რაც ნებისმიერ სხვა მასწავლებელს. ამასთან, მისი პედაგოგიური საქმიანობის ეფექტიანობა დიდადაა დამოკიდებული მისივე სამუშაო სპეციფიკის რაობაზე. ეს სპეციფიკა სამად დაჯგუფებულ პირობებს ითვალისწინებს (Гогун, Мартынов, 2000), კერძოდ:

- ფსიქიკური დამაბულობის პირობებს;
- ფიზიკური დატვირთვის პირობებს;
- გარეშე ფაქტორებთან დაკავშირებულ პირობებს.

ფიზიკური აღზრდის მასწავლებლისათვის **ფსიქიკური დამაბულობის** პირობებში იგულისხმება: მეცადინეობაზე დამსწრე მოსწავლეთა ხმაური, სამეტყველო აპარატისა

და სახმო სიმების განსაკუთრებული დამაბზა, მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა (ფიზიკურ აქტივობას ხშირად თან სდევს ტრავმის მიღების მაღალი რისკი), ასევე, არც თუ იშვიათად, ერთი ასაკობრივი ჯგუფიდან მეორეზე გადართვის აუცილებლობა. ყველაფერი ეს იწვევს მასწავლებლის ფსიქიკურ გადაღლას.

**ფიზიკურ დატვირთვათა** პირობები მოიცავს ფიზიკურ ვარჯიშობათა ცოცხლად ჩვენებას, მათ შესრულებას მოსწავლეებთან ერთად, ასევე ტრავმებისაგან მოსწავლეთა დაცვა-უზრუნველყოფას.

ღია ჰაერზე მეცადინეობათა ჩატარებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ **კლიმატურპირობებს**, ასევე სპორტული დარბაზის თუ სპორტული მოედნის სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პროფესიულ მზაობაში, სხვა უნარებთან ერთად (კონსტრუქციულობა, ორგანიზებულობა, კომუნიკაბელობა, გნოსტიკურობა), ასევე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მის მოძრაობით უნარებს, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, სავარჯიშოთა პრაქტიკულ ჩვენებისთვის არის საჭირო. პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა ფიზიკური აქტივობის ჩვენება უცილობლად განსაზღვრავს მოსწავლის სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. აღნიშნული სპეციალობის მასწავლებელი ამასთანავე უნდა ფლობდეს დაზღვევის ტექნიკას; ტურისტული ლაშქრობებისას სპორტული აღჭურვილობისა და ინვენტარის დროულ აღდგენა-შეკეთებას და სხვ.

წარმატება პედაგოგიურ საქმიანობაში ასევე დიდადაა დამოკიდებული მასწავლებლის ავტორიტეტზე. თუ იგი მოსწავლეებში მაღალი ავტორიტეტით სარგებლობს, მაშინ მას, ცხადია, მათზე ძლიერი აღმზრდელობითი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის ავტორიტეტი მისი პედაგოგიური პრაქტიკის პროცესში ყალიბდება და, ძირითადად, შემდეგი კომპონენტებისაგან შედგება (Гогунов, Мартьянов, 2000):

- პროფესიონალურობა, ცოდნა, ფიზიკური აღზრდისა და წვრთნის უნარ-ჩვევების ფლობა. ძალზე მნიშვნელოვანია ასევე მასწავლებლის როგორც ყოფილი სპორტსმენის სტატუსი;

- მასწავლებლის ავტორიტეტს განსაზღვრავს ასევე მისი ხნოვანება, ასაკი. მასწავლებელი მოსწავლისათვის ყოველთვის რჩება წლოვანებით უფროს თანამდგომად, ადამიანად, რომელსაც მასთან შედარებით მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს;
- არსებობს, აგრეთვე, ე.წ. თანამდებობრივი ავტორიტეტი, ანუ მასწავლებლის როგორც პედაგოგის სტატუსი, რასაც ერთვის მისი ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ცოდნა და მეთოდოლოგიური უნარ-ჩვევები.

ზემოთ დასახელებულ ავტორებს მიაჩნიათ, რომ ჩამოთვლილი კომპონენტები მასწავლებლის ერთიან, მთლიან ავტორიტეტს ქმნის, რომელშიც დროდადრო შესაძლებელია ჭარბობდეს ესა თუ ის მიმართება. თავად ფიზიკური აღზრდის მასწავლებელმა კი საკუთარი ავტორიტეტის ფორმირებისას უნდა გაითვალისწინოს თავისი შესაძლებლობები, უკვე შეძენილი უნარ-ჩვევები და საქმიანობის ინდივიდუალური სტილიც.

ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის საქმიანობის წარმატება (ისევე, როგორც სხვა სპეციალობის მასწავლებლისა) ასევე დამოკიდებულია პროფესიულ-პიროვნულ "მე"-ს მიერ შერჩეულ პედაგოგიურ კონცეფციაზე (საკუთარი პოზიციის, შეხედულებების სისტემაზე). საერთოდ კი პროფესიული მზაობის სრულყოფის პერსპექტივად მიჩნეულია მთავარი პრინციპი - "განათლება მთელი სიცოცხლის განმავლობაში"; რეპროდუქციული პედაგოგიკიდან გადასვლა ინტერაქტიურ რეჟიმზე, კვალიფიკაციის ამაღლების ინოვაციურ ფორმებსა და მეთოდებზე. აქვე ვიტყვით, რომ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პროფესიული კომპეტენტურობის ამაღლების პროცესი, თავის მხრივ, ააქტიურებს მოტივაციის მექანიზმების შემუშავებას, აორგანიზებს მასწავლებლის ინდივიდუალურ საქმიანობას ზემოხსენებული კონცეფციის ფარგლებში.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ფიზიკური აღზრდის სპეციალისტებმა წამოიწყეს წარმატებული მასწავლებლის მოდელის შემუშავება. ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პროფესიოგრამა შეიცავს არა მხოლოდ პედაგოგიური პროფესიისათვის ჩვეული ტიპური მახასიათებლების ზოგად მოთხოვნებს, არამედ საკუთრივ იმ კერძო ფაქტორებსაც, რომლებიც მხოლოდ

ფიზიკური აღზრდის სპეციალობის მასწავლებელთა საქმიანობას განეკუთვნება. ჩვეულებრივ, ესაა ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის ძირითად პედაგოგიურ ფუნქციათა მახასიათებლები, მისი პიროვნული თვისებების მონაცემები, ზოგადპედაგოგიური და პროფესიულ-მეთოდოლოგიური უნარების მაჩვენებლები და სხვ. ყოველივე ეს თავ-თავიანთ ფუნქციათა რეალიზაციას უზრუნველყოფს. ისე რომ, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პროფესიოგრამისაა იმ მოთხოვნათა ჩამონათვალი, რომლებიც წაყენება ამ პიროვნებას და განსაზღვრავს მის უნარ-ჩვევებს, ოსტატობას თუ ფსიქო-ფიზიკურ შესაძლებლობებს.

ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის მოდელის შემუშავებისას ამერიკელი მეცნიერები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ მისი პიროვნული თვისებების განვითარების საკითხს. ბ. ოგილვი, რომელსაც გამოყენებითი სპორტული ფსიქოლოგიის "მამად" მიიჩნევენ, ზოგადად, მასწავლებლის პიროვნების შემდეგ თვისებებს გამოყოფს, ესენია:

- მტკიცე ხასიათი;
- ფსიქიკური დამაბულობის ატანა-გამლევა;
- დამოუკიდებლობა;
- შეხედულებათა სიმყარე და რეალისტურობა;
- მედეგი ავტორიტარულობა;
- საკუთარ მოსაზრებებზე დამყარებული სასწავლო პროცესის მართვის სურვილი, მისკენ სწრაფვა (Ogilvie, Tutko, 1966).

ბ. ოგილვის მიერ შემოთავაზებული ავტორიტარული მოდელისაგან განსხვავებით, ლ. ჰენდრი (1968) თვლის, რომ ფიზიკური აღზრდის მასწავლებელს შემდეგი პიროვნული თვისებები უნდა ამკობდეს:

- გულღიანობა;
- თავაზიანობა;
- ემოციური მდგრადობა;
- მოსწავლეთა მართვის უნარი;
- ნოვატორობა;

- გერგილიანობა;
- დამოუკიდებლობა გადაწყვეტილების მიღებისას (Hendry, 1968).

ამგვარად, უნდა აღინიშნოს, რომ ლ. ჰენდრიმ ჯერ კიდევ 1968 წელს გამოყო და წარმოაჩინა ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის საბაზო, პროფესიულად მნიშვნელოვანი ისეთი პიროვნული თვისებები, რომლებიც დღესაც თანამედროვედაღიქმებიან.

მ. მოსტონი (1966) ასაბუთებდა, რომ ფიზიკური აღზრდის მასწავლებელმა სწავლება ავტორიტარული მიდგომით უნდა დაიწყო - "გააკეთე, როგორც გეუბნებიან!" თუმცა, მერე და მერე, როცა მოსწავლეები შეეგუებიან ასეთ მიდგომას, თანდათან მათაც შეიძლება დავაკისროთ პასუხისმგებლობა ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებაზე. იგი თვლიდა, რომ ამის შემდეგ მოსწავლეები ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე უფრო მეტად აქტიურდებიან (Mosston, Yvon, 1966).

აქვე შევნიშნავთ, რომ ბ. ჯ. კრეტიმ (1983) მაღალი შეფასება მისცა მოსტონის ფიზიკური აღზრდის კონცეფციას, აღნიშნა, რომ მასში ჩანს ორგანიზაციული მოქნილობა, იგრძნობა მოსწავლეებთან თანამშრომლობა, რაც ესოდენ აუცილებელია წარმატებული პედაგოგიური საქმიანობისათვის. მოსტონისმეთოდები, როგორც კრეტი განმარტავს, მართალია მეტ დროს საჭიროებს, მაგრამ, სამაგიეროდ, თუ მათ ფიზიკური აღზრდის ჩვეულებრივ ავტორიტარულ ანდა დემოკრატიულ მიდგომებს შევადარებთ, გაირკვევა, რომ ისინი არც მთლად ავტორიტარულია. კერძოდ: თუ პირველ შემთხვევაში მოძრაობითიჩვევების ათვისება უფრო სწრაფად ხდება, სანაცვლოდ, მოსტონისეულმეთოდისკაც მოსწავლეები პედაგოგიურ პროცესში თანდათანობით უფრო აქტიურად მონაწილეობენ და თანაც ხვდებიან რატომ გამოიყენება სწავლების სხვადასხვა, ესა თუ ის ალტერნატიული ტექტიკა მათ მიმართ.

ბ. ჯ. კრეტის აზრით, ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პედაგოგიური წარმატებები ასევე დამოკიდებულია თვით მისსავე განწყობაზე ფიზიკური ვარჯიშობებისა და სპორტული საქმიანობისადმი იმაზეც, თუ რამდენად აქტიურია იგი ამ მხრივ, როგორია მისი სპეციალური, პროფესიული ცოდნა, უნარი მოსწავლეებთან ურთიერთობების დამყარებისა, მათი ემოციურადშეფერილი გაკონტროლებისა, მათთან მაღალინტელექტუალურ დონეზე საუბრებისა და მისთ. (Cratty, 1983).

ამ ბოლო წლებში ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პიროვნული სტრუქტურის შინაარსმა ცვლილებები განიცადა. ზემოთ უკვე ნახსენებ ფიზიკური აღზრდის პედაგოგიკისადმი მიძღვნილ "გლობალურ ფორუმზე" (აშშ, 2010) მეცნიერებმა წინ წამოსწიეს ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის ისეთი პიროვნული თვისებები, როგორცაა:

- საზრიანობა;
- მოხერხებულობა;
- გადაწყვეტილებათა მიღების სისწრაფე;
- ყურადღების განაწილება და სხვ.

მიგვაჩნია, რომ უკვე ამითაც შეიძლება განისაზღვროს როგორია ფორუმის მონაწილეთა თანამედროვე მიდგომა ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პიროვნული თვისებების კლასიფიკაციისადმი, რა მიიჩნის მათსაჭიროდ მისი პედაგოგიური საქმიანობის წარმატებისათვის.

ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის პროფესიოგრამის შედგენის, პიროვნული თვისებების ფორმირების, მისი პიროვნების მოდელის წარმოდგენის საკითხებმა რუსი მეცნიერებმა დააინტერესა. მაგალითად, ო. მისინმა (2003) ჩატარებული თეორიული ანალიზის საფუძველზე დაადგინა, რომ პროფესიონალი მასწავლებლის პიროვნების ჩამოსაყალიბებლად ორი მიდგომა გამოიყენება: ქცევითი (деятельностный) და პიროვნული. ქცევითი მიდგომა, ავტორის აზრით, უფრო საფუძვლიანად არის შესწავლილი იმდენად, რამდენადაც მასში ფიზიკური კულტურის მასწავლებელს ცოდნა და უნარ-ჩვევებია ნაგულისხმევი და გაერთიანებული. პიროვნული მიდგომა კი შედარებით სუსტადაა, ნაკლებადაა დამუშავებული. წამყვან როლს, პროფესიონალი მასწავლებლის პიროვნების ქცევაში, ო. მისინი ნებელობით სფეროს მიაკუთვნებს, რასაც ისეთი ნებელობითივე თვისებები განაპირობებს, რომლებიც სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის რეალიზაციისას შექმნილი სიძნელეების დაძლევისკენაა მიმართული. ესაა (ძირითადად):

- მომთხოვნელობა;
- მიზანსწრაფულობა;

- დაბეჯითება;
- ინიციატივიანობა.

ო. მისინი ამტკიცებს, რომ პიროვნების ნებელობითი თვისებებით კონტროლირებადი ქცევითი ორგანიზაციისას გამოვლენილი სალიდერო ტენდენციები ფიზიკური კულტურის მასწავლებლის პროფესიული წარმატების წამყვანი კრიტერიუმებია.

ასევე რუსი მკვლევარი ვ. ვერეშჩაგინი (2011), ეყრდნობა რა ფიზიკური კულტურის მასწავლებლის წინაშე მდგარ ამოცანებს, ყოველდღიური ცხოვრებით წარმოქმნილ ფუნქციებსა და სპეციფიკური პირობებით გაჩენილ გამოწვევებს, მისი ქმედების სტრუქტურაში გამოყოფს კონსტრუქციულ, ორგანიზატორულ, კომუნიკაციურ და გნოსტიკურ კომპონენტებს. ამ კომპონენტებს იგი განიხილავს ერთმანეთთან უწყვეტ კავშირსა და, ამასთან, ერთიმეორეზე ურთიერთზეგავლენის ჭრილში. მეცნიერს მიაჩნია, რომ ეს კომპონენტები ქმნის ისეთ მთლიან დინამიკურ სტრუქტურას, რომელშიც ერთი რიგი კომპონენტებისა წამყვან როლს ასრულებს, მეორე კი მეორეხარისხოვანს. ოსტატ-მასწავლებლის ქცევაში ყველა ეს კომპონენტი ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმის, ამასთან, წამყვან როლს ხან რომელიმე მათგანი, ხანაც რამდენიმე ერთად ასრულებს.

ვ. ვერეშჩაგინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის შემდეგ პროფესიულ-პიროვნულ თვისებებს:

- თვითშემეცნების მოთხოვნილებას;
- დამოუკიდებლობასა და თვითკრიტიკულობას;
- შრომისმოყვარეობასა და სიბეჯითეს;
- დისციპლინიანობას;
- საკუთარი ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვას;
- ჯანმრთელი ცხოვრების წესს;
- ქცევის კულტურასა და კავშირ-ურთიერთობებს.

რუსმა მეცნიერებმა ი. გრიგოროვიჩმა, ა. პოლივაევმა და ა. გერასკინმა (2011) სპეციალური კვლევის შედეგად განსაზღვრეს ფიზიკური კულტურის მასწავლებლის ის

ძირითადი პიროვნული თვისებები, რომლებიც დადებით გავლენას ახდენს მის პედაგოგიურ საქმიანობაზე. ესაა:

- მაღალი ინტელექტუალური დონე;
- ემოციური მდგრადობა;
- დომინანტურობა;
- ექსპრესიულობა;
- სოციალური სითამამე;
- სწორხაზოვნობა.

მიგვაჩნია, რომ ჩამოთვლილი თვისებები არ არის ყოველთვის ერთმანეთის კონგრუენტული. მაგალითად, მაღალი ინტელექტი ალტერნატივების გათვალისწინებას გულისხმობს და არა სწორხაზოვნობას.

ამგვარად, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პიროვნული მოდელის შესწავლა საშუალებას იძლევა დავასკვნათ:

- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პროფესიულ-პიროვნული თვისებების კლასიფიკაციისას ანალიზმა გამოავლინა ამ თვისებათა მრავალგვარობა და საკმაოდ დიდი მოცულობა, რომელშიც, ძირითადად, მაინც ჭარბობს მათი ავტორიტარულობა;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პიროვნების მოდელის აგების ეფექტიანობა და თეორიული დასაბუთება ითვალისწინებს მისი მუშაობის სპეციფიკას და ასევე მოიცავს განათლების თანამედროვე სტრატეგიას;
- მასწავლებლის პროფესიული მომზადების ხარისხის ამაღლების მიზნით დღევანდელ, მოდერნიზაციისა და ინოვაციური განათლების პირობებში შესაძლებლობა იქმნება აიგოს წარმატებული ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის ჰიპოთეტური მოდელი.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნევთ სისტემატურად და თანამიმდევრულად ტარდებოდეს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პიროვნული თვისებებისადმი მიდგომების სპეციალური განხილვები. ვთვლით, რომ წარმოდგენილი მოდელის მახასიათებლები ურთიერთდაკავშირებულია და უნდა



ქმნიდეს ერთიან მთლიანობას. ასევე, დღეს, საქართველოში აუცილებელია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მომზადებისა და პრაქტიკული მოღვაწეობის კონკრეტული პირობების აღწერა-აღრიცხვა მისთვის ხელშეწყობის მიზნით.

დავძენთ, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებული მოდელი ჰიპოთეტური ხასიათისაა. ჩვენი აზრით, საჭიროა ქართულ ნიადაგზე მისი *ექსპერიმენტული ვერიფიცირება*.

ექსპერიმენტული ვერიფიცირებისთვის შექმნილი მოდელი შედგება შემდეგი მახასიათებლებისაგან:

- სიახლისადმი ღიაობა;
- კრეატიულობა;
- მაღალი ინტელექტი;
- ემოციური სტაბილობა;
- სიმშვიდე;
- მაღალი თვითკონტროლი;
- სითამამე.

## თავი 2. მეთოდოლოგია

### 2.1. კვლევის მიმოხილვა და დიზაინი

კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლები.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შერჩეულ იქნა კვლევის შერეული ტიპი, რომელშიც გამოყენებული იყო კვლევის შემდეგი თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები:

- სამაგიდო კვლევა (Desk research)
- გამოკითხვა;
- ტესტირება.

#### *სამაგიდო კვლევა (Desk research)*

სამაგიდო კვლევა წარმოადგენს კვლევის მეთოდს, რომლის დროს ხდება კვლევით საკითხზე ინფორმაციის მოკრება ყველა არსებული რესურსიდან: პრესა, ინტერნეტი, ანალიტიკური ანგარიშები, სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები. აღნიშნული მეთოდი შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც დამოუკიდებლად, ისე ვეროგორც კვლევის საწყის ეტაპში, რომელიც საშუალებას იძლევა დაიგეგმოს ძირითადი კვლევა. ჩვენს შემთხვევაში სამაგიდო კვლევა გამოყენებულია, როგორც მოკვლევის ეტაპი, რომლის მეშვეობითაც, ერთიმხრივ, შეგროვდა ინფორმაცია, თურაპიროვნული ინიშან-თვისებები ააღიარებული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების საქმიანობის ადაკომპეტენციისათვის უფრო მნიშვნელოვნად. მეორე მხრივ, მისსაფუძველზე შემუშავდა კვლევის ძირითადი კონსტრუქტი - „პიროვნული ინიშან-თვისებების ჰიპოთეტური მოდელი“, რომლის ქართულ პოპულაციაზე შემოწმებაც იყო კვლევის მიზანი.

### გამოკითხვა

გამოკითხვაწარმოადგენსაღწერიტკვლევისმეთოდს, რომელიც  
საშუალებასიძლევამოვლინდესარსებულიმდგომარეობა,  
რესპოდენტების/საზოგადოებისინტერესები, ურთიერთობები, რწმენები,  
მოსაზრებებიდადამოკიდებულებები.  
გამოკითხვაერთჯერადადაგროვებსსტანდარტიზებულინფორმაციას (მაგალითად,  
ყველამონაწილესთანერთსადაიმავეინსტრუმენტებსდაკითხვებსიყენებს) და,  
შესაბამისად, ეკონომიურიდაშედეგიანია. იძლევაშედეგსადა,  
რომელიცარარისგართულეზულისპეციფიკურიკონტექსტულურიფაქტორებით,  
ადგენსკორელაციებსდაიძლევააღწერით, დასკვნითდაამხსნელინფორმაციას(Morisson,  
1993). ჩვენსკვლევაშიგამოკითხვაგამოყენებულიიყოპირველექაპზე,  
როდესაცმოხდასაკვლევეთემაზეწინასწარიინფორმაციისმოპოვება. კერძოდ,  
აღნიშნულიმეთოდიტემაზეწინასწარიინფორმაციისმოპოვებისადასპორტისმომავალიმასწავ  
ლებლებისინფორმირებულობისადადამოკიდებულებებისკვლევა.

### *ტესტირება / რესპოდენტების პროფესიულად ღირებული პიროვნული ნიშან- თვისებების კვლევა*

აღნიშნული მეთოდი მიზნად ისახავს ფსიქოდიანოსტიკური კითხვარებისა და პიროვნული ტესტების გამოყენებით რესპოდენტების პიროვნული მახასიათებლების კვლევას.

ჩვენს შემთხვევაში გამოყენებული იყო შემდეგი პიროვნების ფსიქოდიანოსტიკური კითხვარები: კეტელის 16 ფაქტორიანი კითხვარი, მინესოტას მრავალფაქტორიანი პიროვნების საკვლევი კითხვარი.

ტესტიც ფსიქიკური თავისებურებების საკვლევი სტანდარტული ინსტრუმენტია და ინდივიდუალურ სხვაობებს ზომავს. თუმცა მასში დავალებები ორიენტირებულია სამიზნე უნარების აღმოჩენაზე. ასეთებია ინტელექტის და პიროვნული თავისებების

ტესტები, პროექციული ტესტები. პრაქტიკულ ტესტებიდან ჩვენს კვლევაში გამოყენებული იქნა **ტორენსის კრეატულობის საზომი ტესტი**.

კვლევა ჩატარდა 2 ეტაპად:

- კვლევის **პირველ ეტაპზე** განხორციელდა საკვლევი საკითხის წინასწარი მოკვლევა: ინფორმაციის მოძიება თუ როგორია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მომავალი მასწავლებლების (სტუდენტების) ინფორმირებულობა და დამოკიდებულება საკვლევ თემასთან დაკავშირებით. კერძოდ, რა წარმოდგენები აქვთ მათ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების პიროვნული ნიშან-თვისებების შესახებ, რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ისინი პროფესიული მოვალეობების წარმატებულად განხორციელებისა და კომპეტენციის სრულყოფისათვის. ეს მონაცემები საფუძვლად დაედო კვლევის შემდგომ ეტაპის დაგეგმვას. კერძოდ, საბოლოოდ ჩამოყალიბდა პიროვნული ნიშან-თვისებების ჰიპოთეტური მოდელი, შეირჩა ინსტრუმენტები და დაიგეგმა კვლევის ძირითადი ეტაპი.
- კვლევის **მეორე ეტაპზე** განხორციელდა პირველი ეტაპის მოკვლევისა და ლიტერატურული ანალიზის საფუძველზე შემუშავებული ჰიპოთეტური მოდელის ვერიფიკაცია ქართულ პოპულაციაზე, კერძოდ, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოქმედ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებზე. აღნიშნულ ეტაპზე გამოყენებული იყო შემდეგი ინსტრუმენტები: პიროვნების საკვლევი კეტელის 16-ფაქტორიანი კითხვარი, მინესოტას სტანდარტიზებული მრავალძალური პიროვნების საკვლევი კითხვარი და ე. ტორენსის კრეატულობის საკვლევი ტესტი.

## **2.2. კვლევის პირველი ეტაპი**

### **2.2.1. კვლევის მიზანი**

კვლევის პირველი ეტაპის მიზანს წარმოადგენს ინფორმაციის მოძიება საკვლევ თემასთან დაკავშირებით დამომავალი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების (სტუდენტების) დამოკიდებულებების შესწავლა, კერძოდ, რა პროფესიულად ღირებული პიროვნული ნიშან-თვისებები უნდა გააჩნდეს თანამედროვე მასწავლებელს.

### **2.2.2. კვლევის მონაწილეები და პროცედურა**

2007-2009წ.წ. კვლევის პირველ ეტაპზე გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების სპეციალობის IV და V კურსების 65 სტუდენტმა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის სპეციალობის III და IV კურსების 77 სტუდენტმა (სულ 142 სტუდენტმა). აღნიშნული გამოკითხვა, ერთი მხრივ, საშუალებას გვაძლევდა შეგვეფასებინა როგორია აღნიშნულ სფეროში პოტენციურად ჩართული პოპულაციის დამოკიდებულება და ინფორმირებულობა საკვლევ საკითხთან დაკავშირებით.

ცდისპირებს ევალუბოდათ ანკეტაში მიეთითებინათ, მათი აზრით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის ყველაზე მნიშვნელოვანი პროფესიულად ღირებული 10 პიროვნული ნიშან-თვისება. რესპოდენტების მიერ დასახელებული იყო 120 თვისება, რომელიც გაერთიანდა ერთი სრული ჩამონათვალის სახით. შემდგომ განხორციელდა ამ ნიშან-თვისებების კატეგორიებად დაყოფა და გამოიკვეთა 59 კატეგორია (შინაარსობრივი მხარის მიხედვით). კერძოდ, ერთკატეგორიაში გაერთიანდა შემდეგი თვისებები: სამართლიანი, ობიექტური, მიუკერძოებელი; მეორე კატეგორიაში – ინტელექტუალური, განათლებული, ერუდირებული და ა.შ. თვისებების დაჯგუფებაში

მონაწილეობა მიიღო საექსპერტო ჯგუფმა, ფსიქოლოგებისა და პედაგოგების სახით (პროფესორები: ნ. იმედაძე, ე. ჩომახიძე, მ. ფალავანდიშვილი).

### 2.2.3. კვლევის შედეგები

ექსპერტული შეფასების საფუძველზე მიღებულნიშან-თვისებათა 59 კატეგორიადავალაგეთთანმიმდევრულადსიხშირისრაოდენობისსაფუძველზე 1-დან 59-მდე (სიხშირისშემცირებისდინამიკით).

შემდეგ სიხშირული მონაცემის საფუძველზე გამოიყო 10 ყველაზე რეიტინგული კატეგორია, რომელიც წარმოდგენილია ცხრილში 1.

ცხრილი 1. ნიშან-თვისებების პირველი ათეული.

ნიშან-თვისებები	რანჟირება	გამეორების სიხშირე
მოწესრიგებული, დისციპლინირებული, ორგანიზებული	1	83
კომუნიკაბელური	2	81
გამგები, გულისხმიერი, სენსიტიური	3	72
ინტელექტუალური, განათლებული, ერუდიტული,	4	66
მომთხოვნი, მკაცრი	5	52
ობიექტური, სამართლიანი, მიუკერძოებელი	6	51
მიზანდასახული	7	48
თავშეკავებული, გაწონასწორებული, მშვიდი	8	46
ჰუმანური, კაცთმოყვარე	9	43
ენერგიული	10	42

როგორც აღნიშნული ცხრილიდან ჩანს შედეგების ანალიზმა გამოავლინა, რომ რესპოდენტები ყველაზე მნიშვნელოვან პროფესიულად ღირებულ თვისებებად დასახელებენ შემდეგ კატეგორიებს: მოწესრიგებული (83), კომუნიკაბელური (81), სენსიტიური (72), ინტელექტუალური (66), მომთხოვნი (52) და ა.შ. საგულისხმო და საინტერესო აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ ათეულში არ შევიდა თანამედროვე მასწავლებლისთვის მეტად მნიშვნელოვანი პროფესიულად ღირებული თვისებები, როგორცაა: ტოლერანტული (8), სიახლის მიმართ გახსნილი (6), კრეატიული (4) და სხვ.

თუ შევადარებთ მიღებულ მონაცემებს თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის სავალდებულო ნიშან-თვისებებს, ნათელი გახდება, რომ სტუდენტებს არ აქვთ გაცნობიერებული (ან ნასწავლი) ზემოდ დასახელებული ნიშან-თვისებები: სიახლისადმი ღიაობა და კრეატიულობა. ლიტერატურაში ხაზგასმული თვისებების გარდა ჩვენ ვითვალისწინებთ სტუდენტების მიერ მაღალი სიხშირით დასახელებულ შემდეგ ორ პიროვნულ ნიშან-თვისებას: კომუნიკაბელობას და სენსიტიურობას (მგრძნობიარობას). სწორედ ამიტომ ჩვენ ვქმნით ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის ინტეგრალურ მოდელს.

ამ ეტაპის მონაცემების შეჯერების საფუძველზე საბოლოოდ გამოვლინდა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლისათვის მნიშვნელოვანი პიროვნული ნიშან-თვისებების შემდეგი ძირითადი ბირთვი, რომელიც ლიტერატურული ანალიზისა და პირველადი მოკვლევის საფუძველზე შექმნილ ჰიპოთეტურ მოდელთან შესაბამისობაში შემდეგნაირად გამოიყურება:

- სიახლისადმი ღიაობა;
- კრეატიულობა;
- მაღალი ინტელექტი;
- ემოციური სტაბილობა;
- სიმშვიდე;
- მაღალი თვითკონტროლი;
- სენსიტიურობა;
- კომუნიკაბელობა;

- სითამამე.

## *2.3. კვლევის მეორე ეტაპი*

### *2.3.1. კვლევის მიზანი*

კვლევის მეორე ეტაპის მიზანს წარმოადგენს ჩვენ მიერ შემუშავებული სრული ჰიპოთეტური მოდელის ვერიფიკაცია ქართულ პოპულაციაზე, კერძოდ, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებზე.

### *2.3.2. კვლევის ინსტრუმენტის აღწერა*

კვლევის ამ ეტაპზე მონაცემების შეგროვებისათვის გამოყენებულ იქნა შემდეგი ინსტრუმენტები:

- პიროვნების საკვლევი კეტელის 16-ფაქტორიანი კითხვარი<sup>1</sup>.
- მინესოტას სტანდარტიზირებული მრავალფაზური პიროვნების საკვლევი კითხვარის ერთი სკალა -რიგიდულობა<sup>2</sup>;
- ტორენსის შემოქმედებითი აზროვნების შესაფასებელი მეთოდიკა „დაასრულე ნახატი“<sup>3</sup>.

წინა ეტაპის მონაცემებმა და ბოლო წლების სპეციალური ლიტერატურისა და საერთაშორისო შეხვედრების (ფორუმები, კონფერენციები, სიმპოზიუმები) მასალებიდან გამომდინარე ხაზი გაესვა დამატებით ნიშანთვისებების მნიშვნელობას: კრეატიულობას და სიახლისადმი გახსნილობას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სპონტანურ დასახელებაში სიახლის ძიებისა და კრეატიულობის დაბალ სიხშირეს განსაზღვრავს რიგიდულობა, ერთგვარი მიჯაჭვულობა ძველ მეთოდებზე. ეს თვისება კარგად არის

---

<sup>1</sup> <sup>2</sup> ინსტრუმენტის ქართული ვარიანტის ადაპტაცია განხორციელდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე

<sup>3</sup> Туник Е.Е. Диагностика креативности. Тест Е. Торренса. Санкт-Петербург, 1998.



ასახული მინესოტას სტანდარტიზებული მრავალფაზური პიროვნების საკვლევი კითხვარის შესაბამის სკალაში.

- პიროვნების საკვლევი კეტელის 16-ფაქტორიანი კითხვარი

კეტელი პიროვნების ნიშნებს განსაზღვრავდა როგორც პიროვნების ბაზისურ სტრუქტურას (მიდრეკილებას), რომელიც მოცემულ სიტუაციაში ადამიანის მოქმედების პროგნოზირების საშუალებას იძლეოდა. კეტელმა გადაწყვიტა დაედგინა ნიშანთა ბაზისური განზომილებების ისეთი ერთობლიობა, რომელიც ამომწურავი იქნებოდა პიროვნების აღწერისას. კვლევის შედეგად, კეტელმა ივარაუდა, რომ პიროვნებას განსაზღვრავს 16 ფაქტორი და მათ განმსაზღვრელი ნიშნები უწოდა. რაც შეეხება უშუალოდ ინსტრუმენტს, მისი პირველი ვერსია 1950 წელს გამოქვეყნდა, პიროვნების საკვლევი ინსტრუმენტს წარმოადგენს.

პიროვნების 16-ფაქტორიანი კითხვარის (16PF) C ფორმა 105 დებულებისგან შედგება. ცდის პირმა პასუხების სამი შესაძლო ვარიანტიდან უნდა აირჩიოს ერთერთი, „ა“, „ბ“, ან „გ“. საბოლოოდ ხდება პიროვნების პირველადი ნიშნების გამოყოფა და მათ საფუძველზე პიროვნების მოდელის აგება.

16PF-ის ძირითადი ფაქტორები. კითხვარის შექმნისას, ინფორმაციის ძირითად წყაროებს L (life record data) და Q (questionnaire data) - მონაცემები წარმოადგენდა. პიროვნების 16-ფაქტორიანი კითხვარის თექვსმეტივე ნიშანი Q-მონაცემებით არის მიღებული, ხოლო ხუთი დამატებითი ფაქტორის მისაღებად გამოყენებულია L-მონაცემები.

კითხვარი მოიცავს შემდეგ ფაქტორებს:

ცხრილი 2. ნორმალური პირველადი ნიშნები.

ფაქტორი	უარყოფითი პოლუსი	დადებითი პოლუსი
A	სიზოთიმია (ჩაკეტილი, არაკომუნიკაბელური)	აფექტოთიმია (კომუნიკაბელური, გახსნილი/ღია)

	დახურული, განცალკევებულად უჭირავს თავი, არ აინტერესებს სხვების საქმეები, აქვს ნდობის დაბალი ხარისხი, ადამიანების შეფასებისას მკაცრია, რიგიდული, ახასიათებს პიროვნებათა შორისკომუნიკაციის სიძნელე.	გულისხმიერი, კომუნიკაბელური, ღია, უდარდელი, მონაწილეობს სხვა ადამიანის საზრუნავში, თანამშრომლობისათვის მზადმყოფი, ჯგუფში კონფლიქტის გადაჭრის უნარიანი.
<b>B</b>	<b>დაბალი ინტელექტი</b> დაბალი გონებრივი შესაძლებლობები, გონებრივი სიზარმაცე, აზროვნებისას რიგიდული, ოპერატიული აზროვნების დაბალი მაჩვენებლები, ვერბალიზაციის პრობლემები.	<b>მაღალი ინტელექტი</b> მაღალი გონებრივი შესაძლებლობები, გამჭრიახი, დაბეჯითებული, კარგად განვითარებული აბსტრაქტული აზროვნება, სწრაფი დასწავლის უნარიანი.
<b>C</b>	<b>სუსტი „მე“</b> ემოციურად გაუწონასწორებელი, იმპულსური, იოლად სწყინს, ხშირად ექცევა ემოციის გავლენის ქვეშ, არამდგრადი ინტერესებში, ფრუსტრაციისადმი დაბალი ტოლერანტობა, ცვალებადი ქცევა.	<b>ძლიერი „მე“</b> ემოციურად სტაბილური, რეალისტური, გაწონასწორებული, თავშეკავებული, მდგრადი ინტერესებში, შრომის უნარიანი.
<b>E</b>	<b>დაქვემდებარებულობა</b> დამჯერი, მორიდებული, სხვებს უფლებას აძლევს უხელმძღვანელონ, ემორჩილება გარემოებებს, ადვილად ადაპტირდება	<b>დომინანტობა</b> დამოუკიდებელი, დაბეჯითებული, აგრესიული, ჯიუტი, მიდრეკილია კონკურენციისაკენ და ავტორიტარული ქმედებისაკენ.
<b>F</b>	<b>დესურგესტია (თავშეკავებული)</b> საღად მოაზროვნე, ფრთხილი, მდუმარე, სერიოზული, ემოციების გამოვლენაში თავშეკავებული.	<b>სურგესტია (ექსპრესიული)</b> ენტუზიასტი, იმპულსური, სოციალური კონტაქტებისადმი ემოციური დატვირთვის მიცემა, ექსპანსიური და ექსპრესიული, ურთიერთობაში დინამიური, უდარდელი
<b>G</b>	<b>ქცევის დაბალი ნორმატიულობა</b> იგნორირებას უკეთებს საზოგადოების წესებსა დამორალურ სტანდარტებს, მიჰყვება საკუთარ სურვილებს.	<b>ქცევის მაღალი ნორმატიულობა</b> სინდისიანი, დაბეჯითებული, მაღალმორალური, საღად მოაზროვნე.
<b>H</b>	<b>ტრექტია (მორცხობა)</b> მორცხვი, მორიდებული, თავშეკავებული, მგრძნობიარე მუქარებისადმი	<b>პარმია (სითამამე)</b> თავგადასავლების მაძიებელი, „სქელკანიანი“, თამამი ადამიანებთან ურთიერთობაში

<b>I</b>	<b>ჰარია</b> (არასენსიტიური) არასენტიმენტალური, თავდაჯერებული, რეალისტი, არ ექვემდებარება ილუზიებს	<b>პრემსია</b> (სენსიტიური) მგრძნობიარე, მეოცნებე, დამოკიდებული, ფრთხილი
<b>L</b>	<b>ალექსია</b> (მიმნდობი) მიმნდობი, ცხოვრებას იღებს ისე, როგორც არის, მომთმენი, დამთმობი.	<b>პროტენზია</b> (ექვიანი) ექვიანი, დოგმატური, ფრთხილი, ეგოცენტრული, პასუხისმგებლობის სხვებისათვის გადაზარებისკენ მიდრეკილი.
<b>M</b>	<b>პრაქსერნია</b> (პრაქტიკული) პრაქტიკული, დაკავებულია „მიწიერი“ პრობლემებით.	<b>აუტია</b> (მეოცნებე) მეოცნებე, ბოჰემური, დაბნეული
<b>N</b>	<b>სწორხაზოვანი</b> პირდაპირი, უტაქტო, უშუალო, ბუნებრივი, არადისციპლინირებული, ქცევის მოტივების ანალიზის უუნარო.	<b>დიპლომატიური</b> გამჭრიახი, დახვეწილი, ზრდილობიანი, ტაქტიანი, რთული სიტუაციებიდან გამოსვლის უნარიანი.
<b>O</b>	<b>ჰიპერთიმია</b> (სიმშვიდე) თავდაჯერებული, აუღელვებელი, კმაყოფილია საკუთარი თავით.	<b>ჰიპოთიმია</b> (შფოთვა) მფრთხალი, არაა დარწმუნებული, საზრუნავებით დატვირთული, მიდრეკილია საკუთარი თავის დადანაშაულებისკენ.
<b>Q1</b>	<b>კონსერვატიზმი</b> არ უყვარს ცვლილებები, პატივს სცემს ტრადიციულ ღირებულებებს.	<b>ღია ცვლილებებისადმი</b> უყვარს ექსპერიმენტირება, თავისუფლად მოაზროვნე, არაფერს იჯერებს მხოლოდ რწმენით დასაბუთების გარეშე.
<b>Q2</b>	<b>კონფორმულობა</b> (ჯგუფზე დამოკიდებულება) კომპანიური, ჯგუფისა და გარშემომყოფების აზრზე დამოკიდებული, დაბალი დამოუკიდებლობა, სოციალურ მიმდებლობაზე ორიენტირებული.	<b>არაკონფორმულობა</b> (თვითკმარობა) თვითკმარი, გამომგონებლური, უპირატესობას ანიჭებს საკუთარ გადაწყვეტილებებს,
<b>Q3</b>	<b>იმპულსურობა</b> (დაბალი თვითკონტროლი) დაბალი თვითკონტროლი, ხელმძღვანელობს საკუთარი სურვილებით	<b>სურვილების კონტროლი</b> (მაღალი თვითკონტროლი) აკონტროლებს საკუთარ ქცევას, აქვს ნებისყოფის ძალა, დისციპლინირებულია,

<b>Q4</b>	<b>არაფრუსტრირებადობა</b> არადაძაბული, მშვიდი, მოდუნებული.	<b>ფრუსტრირებადობა</b> დაძაბული, ფრუსტრირებული, აღზნებადი, არ შეუძლია მშვიდად ჯდომა, გაღიზიანებადი
-----------	---	---

L და Q-მონაცემების დამუშავების საფუძველზე მიღებული ფაქტორები აღნიშნება ლათინური ასოებითა და ნომრებით A-დან Q4 მდე. ნიშნები ანბანური თანმიმდევრობითაა განლაგებული და თითოეული ნიშნის ადგილი მის სიდიდეს განსაზღვრავს.

- კრეატიულობის საკვლევი ინსტრუმენტი

კრეატიულობის შესაფასებლად გამოყენებული იყო ტორენსის შემოქმედებითი აზროვნების შესაფასებელი მეთოდიკა „დაასრულე ნახატი“.

ე. ტორენსის მეთოდიკის სრული ვერსია მოიცავს 12 სუბტესტს, რომელიც გაერთიანებულია 3 ჯგუფში. პირველი ნაწილი განკუთვნილია ვერბალური შემოქმედებითი აზროვნების დიაგნოსტიკისთვის, მეორე ნაწილი - არავერბალური შემოქმედებითი აზროვნებისთვის, ხოლო მესამე - ვერბალურ-ბგერითი შემოქმედებითი აზროვნებისთვის.

აღნიშნული კვლევისთვის გამოყენებული იყო ტესტის არავერბალური ნაწილი, რომელიც ცნობილია, როგორც „ტორენსის ტესტის შემოქმედებითი აზროვნების გამოსახულებითი ფორმა“. მეთოდიკა შედგებოდა 6 სურათისგან, რომელიც შეიცავდა გარკვეულ ელემენტებს (ნახაზებს). კვლევის მონაწილეებს უნდა დაესრულებინათ ნახატი ისე, რომ მიეღოთ აზრის მქონე გამოსახულება და მიეთითებინათ გამოსახულების დასახელება.

ტესტი საშუალებას იძლევა შეფასდეს კრეატიულობის 2 მნიშვნელოვანი მახასიათებელი: ორიგინალურობა და უნიკალურობა. მისი ადმინისტრირება შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.

- რიგიდულობის საკვლევი ინსტრუმენტი

ანკეტირების მეთოდებში, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია მინესოტას სტანდარტიზირებული მრავალფაზური პიროვნების საკვლევი კითხვარი - Minnesota Multiphasic Personality Inventory (MMPI). იგი შექმნილია S. R. Hathway-ს და J. G. Mckinley-ის მიერ 1941 წელს.

ნორმალური და პათოლოგიური პიროვნების ფართო კვლევისთვის ავტორებმა ტესტში ჩართეს 550 დებულება, რომლებიც კლასიფიცირებული იყო დებულებების შინაარსის მიხედვით:

- I. სომატური სფერო;
- II. ფსიქოლოგიური მახასიათებლები;
- III. ფსიქოპათოლოგიური დარღვევები.

ამის გარდა, ტესტში ჩართული იყო 15 დებულება, რომელიც ავლენდა ცდის პირის ტენდენციას, მკვლევარის თვალში გამოჩენილიყო საუკეთესო მხრიდან. MMPI მოიცავს შეკითხვებს პიროვნების კლასიკური ტესტებიდან, ფსიქიატრიული ტესტებიდან, განწყობისა და ინტერესთა ტესტებიდან.

MMPI-ის სკალების ვალიდიზაცია ხდებოდა ჯანმრთელ ცდის პირთა ჯგუფზე. ამის შემდეგ შეირჩა ის დებულებები, რომლებიც ერთმანეთისგან არჩევდა პრაქტიკულად ჯანმრთელ და ავადმყოფ პირებს. საბოლოოდ არჩეული დებულებები გაერთიანდა სკალებად და თითოეულ მათგანს ეწოდა იმ დაავადების სახელი, რომელზეც მოხდა მისი ვალიდიზაცია.

ცხრილი N MMPI-ის სკალები:

#	სკალის დასახელება	აღნიშვნა
1.	იპოქონდრია	Hs
2.	დეპრესია	D
3.	ისტერია	Hy
4.	ასოციალური ფსიქოპათია	Pd
5.	ფემინიზაცია-მასკულინიზაცია	Fm
6.	პარანოია	Pa
7.	ფსიქასთენია	Pt
8.	შიზოფრენია	Sc
9.	ჰიპომანია	Ma

მიღებული შედეგის სანდოობის დასადგენად და წინასწარი განწყობის ეფექტის შესამცირებლად და მინიმალიზაციისთვის, ძირითადი კლინიკური სკალების გარდა შექმნეს 3 დამატებითი შეფასების სკალა:

- I. სკალა L: ავლენს ცდის პირის ტენდენციას, მკვლევარის თვალში გამოჩნდეს საუკეთესო მხრიდან.
- II. სკალა F: ამ სკალაზე ხდება ნორმატიული ჯგუფისგან განსხვავებული პასუხების დაფიქსირება. რაც უფრო მაღალია F სკალის მაჩვენებელი, მით უფრო არასანდოა მიღებული შედეგი
- III. სკალა K: იგი შეიქმნა ცდის პირთა ზედმეტი ჩაკეტილობის ან გახსნილობის კორექციის მიზნით.

შედეგების დამუშავებით მიიღება ქულები, რომელთა საშუალო მაჩვენებელი უდრის 50T-ს. საშუალო გადახრა 40-70T-ის ტოლია და მიუთითებს პიროვნების ხასიათისა და ტემპერამენტის თავისებურებებზე. მაჩვენებლები, რომლებიც მკვეთრად გადახრილია საშუალო მონაცემებისაგან, ხაზს უსვამს პიროვნების სტრუქტურაში პათოლოგიური ნიშნების არსებობას.

წინამდებარე კვლევისთვის შეირჩა მეექვსე, პარანოიის სკალა, რომელიც რიგიდულობის სკალის სახელითაცაა ცნობილი (Березин, Мирошников, 1994). იგი შედგება 40 დებულებისგან და ამ სკალაზე მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს ინდივიდის ეგოისტურ მოტივებზე. რიგიდულობის სკალა ნორმაში ასახავს მიდრეკილებას პედანტიზმისკენ, შეჯიბრიანობასა და ნეგატიურ განცდებზე ფიქსაციას. მაღალი მაჩვენებლები ავლენს განცდის აფექტურ დატვირთულობას, მტრულ დამოკიდებულებას, პარანოიალური რეაქციებისკენ მიდრეკილებას. იმპულსურობის სკალის მსგავსად, მიეკუთვნება რეაგირების სთენიკურ (მნიშვნელოვანი მომატებისას ჰიპერსთენიკურ) ტიპს. აქცენტუაცია “სენსიტიური შიზოიდის” ტიპის მიხედვით ორგვარად ვლინდება: რიგიდული, ზემგრძნობიარე, მტკივნეულად თავმოყვარე, უარყოფით განცდებზე ფიქსირებადი, რეაგირების ტიპი დამახასიათებელია სთენიკური შიზოიდური პიროვნებებისთვის (86”47- / ტიპის მოდელი).

### 2.3.3. კვლევის მონაწილეები და პროცედურა

აღნიშნულ ეტაპზე კვლევაში მონაწილეობას ღებულობდა 170 ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი თბილისის მასშტაბით. ტესტირება ხორციელდებოდა 15-20 კაციან ჯგუფებში ინდივიდუალურად. კითხვარების შევსება ანონიმური იყო. რესპონდენტებს კითხვარები უნდა შეევესოთ დამოუკიდებლად.

ცდისპირებს ურიგდებოდათ კეტელის 16 ფაქტორიანი პიროვნების საკვლევი კითხვარი. ზეპირსიტყვიერად ეძლეოდათ შემდეგი ინსტრუქცია: „გამარჯობა! მე გახლავართ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. ვატარებთ კვლევას, რათა გამოვავლინოთ ქართული პოპულაციის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებისთვის დამახასიათებელი პიროვნული ნიშან-თვისებები. გამოკითხვა ანონიმურია და მასში მონაწილეობის მიღება ნებაყოფლობითია. თქვენ მოგეცემათ კითხვები, რომლებზეც უნდა უპასუხოთ გულახდილად. გახსოვდეთ, რომ აქ არ არსებობს „სწორი“ ან „არასწორი“ პასუხები. ადამიანები განსხვავდებიან და ყველას აქვს საკუთარი შეხედულების გამოხატვის უფლება. წინასწარ მადლობას გიხდით კვლევაში მონაწილეობისთვის.“

აღნიშნულის დასრულების შემდეგ ცდისპირები მუშაობდნენ ტორენსის შემოქმედებითი აზროვნების შესაფასებელ ტესტზე „დაასრულე ნახატი“. მათ ურიგდებოდათ 6 ნახატის ელემენტები (დეტალები) და ევალუბოდათ დაემთავრებინათ ისინი, ისე, რომ მიეღოთ აზრის შემცველი გამოსახულება. ცდისპირებს ასევე უნდა მიეთითებინათ რა გამოსახულება დახატეს. ცდისპირებისთვის მიცემული ინსტრუქცია შემდეგნაირი იყო: „მომდევნო გვერდზე დახატულია დაუმთავრებელი ფიგურები. თუ მათ მიუმატებთ ხაზებს, გამოგივით საინტერესო ნახატები. ამ დავალების შესასრულებლად გაქვთ 10 წუთი. ეცადეთ მოიფიქროთ ისეთი ნახატი, რომელიც ყველასგან გამორჩეული იქნება და სხვა ვერავინ მოიფიქრებს. მოიფიქრეთ დასახელება თითოეული ნახატისთვის და მიუწერეთ ბოლოში“.

დასასრულს ცდისპირების რიგიდულობის საკვლევად ეძლეოდათ მინესოტას სტანდარტიზირებული მრავალფაზური პიროვნების საკვლევი კითხვარის

რიგიდულობის სკალა. ცდისპირებს ეძლეოდათ შემდეგი ინსტრუქცია: „წინამდებარე ტესტში მოცემულია დებულებათა სერია. შეაფასეთ თითოეული მათგანი. თუ ეთანხმებით დებულებას დაწერეთ „+“ ნიშანი, ხოლო თუ არ ეთანხმებით, დაწერეთ „-“ ნიშანი. თუ რომელიმე დებულებაზე დაეჭვდით, ორიენტირება მოახდინეთ იმ პასუხზე, რომელიც თქვენ გახასიათებთ ყველაზე მეტად. თუ ზოგიერთი რამ გახასიათებთ ერთ სიტუაციაში და მეორეში არა, მაშინ ორიენტირდით იმ პასუხზე, რომელიც ამ მომენტისათვისაა დამახასიათებელი თქვენთვის.ეცადეთ იყოთ გულწრფელები“.


### 2.3.4. კვლევის შედეგები

#### კვლევის მონაწილეთა დემოგრაფიული მონაცემები

კვლევაში მონაწილეობას ღებულობდა 170 ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელი.

- სქესი - 75 (46.9%) მამრობითი და 85 (53.1%) მდედრობითი სქესის წარმომადგენელი (10 უარი პასუხზე)(იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1. რესპოდენტთა განაწილება სქესის მიხედვით




- ასაკი - კვლევის მონაწილეთა ასაკი ვარირებდა 21-დან 75 წლამდე (M=43.64, SD=12.595).




- პედაგოგიური სტაჟი - მონაწილეთა 40.7%-ს ჰქონდა 1-დან 10 წლამდე მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება, 29.3%-ს ჰქონდა 10-დან 20 წლამდე პედაგოგიური სტაჟი, ხოლო 29.9%-ს ჰქონდა 20 წელზე მეტი მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2. რესპოდენტთა განაწილება პედაგოგიური სამუშაო გამოცდილების მიხედვით



- სწავლების საფეხური - მონაწილეთა 16.7% იყო დაწყებითსაფეხურზე მომუშავე მასწავლებელი, 48.1% საბაზო და საშუალო საფეხურზე მომუშავე მასწავლებელი, ხოლო 35.2% იყო დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე მომუშავე მასწავლებელი (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3. რესპოდენტთა განაწილება სწავლების საფეხურის მიხედვით.




1 - დაწყებით საფეხურზე მომუშავე მასწავლებლები  
 2 - საბაზო და საშუალო საფეხურზე მომუშავე მასწავლებლები  
 3 - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე მომუშავე მასწავლებლები

*გამოვლენილი კეტელის ფაქტორების მიხედვით:*

- მასწავლებელთა 0.6%-ს აქვს დაბალი თვითშეფასება, 40.6%-ს საშუალო თვითშეფასება, ხოლო 58.8%-ს მაღალი თვითშეფასება ( $M=2.258$ ;  $SD=0.51$ ).
- მასწავლებელთა 13%-ს ახასიათებს არაკომუნიკაბელობა, ჩაკეტილობა, ხოლო 87%-ს კომუნიკაბელობა, ღიაობა (A) ( $M=1.87$ ;  $SD=0.337$ ).
- მასწავლებელთა 48.8%-ს აქვს ინტელექტის დაბალი მაჩვენებელი, ხოლო 51.2%-ს ინტელექტის მაღალი მაჩვენებელი (B) ( $M=1.511$ ;  $SD=0.501$ ).
- მასწავლებელთა 21.8%-ს ახასიათებს ემოციური არასტაბილობა (ლაბილობა), ხოლო 78.2%-ს ემოციური სტაბილობა (C) ( $M=1.782$ ;  $SD=0.414$ ).
- მასწავლებელთა 39.4%-ს ახასიათებს დაქვემდებარებულობა, ხოლო 60.6%-ს დომინანტობა (E) ( $M=1.605$ ;  $SD=0.49$ ).
- მასწავლებელთა 42.4%-ს ახასიათებს თავშეკავებულობა, ხოლო 57.6%-ს ექსპრესიულობა (F) ( $M=1.576$ ;  $SD=0.495$ ).
- მასწავლებელთა 4.7%-ს ახასიათებს ქცევის დაბალი ნორმატიულობა, ხოლო 95.3%-ს ქცევის მაღალი ნორმატიულობა (G) ( $M=1.953$ ;  $SD=0.212$ ).


- მასწავლებელთა 9.4%-ს ახასიათებს მორცხვობის მაღალი მაჩვენებელი, ხოლო 90.6%-სსითამამის,გამბედაობის მაღალი მაჩვენებელი (H) (M=1.906; SD=0.293).
- მასწავლებელთა 28.8%-ს ახასიათებს არასენსიტიურობა, ხოლო 71.2%-ს სენსიტიურობა (მგრძნობიარობა)(I) (M=1.711; SD=0.454).
- მასწავლებელთა 47.1%-ი არის მიმნდობი, ხოლო 52.9%-ი ეჭვიანი (L) (M=1.529; SD=0.5).
- მასწავლებელთა 47.6%-ი არის პრაქტიკული, ხოლო 52.4%-ი არის მეოცნებე(M) (M=1.523; SD=0.5).
- მასწავლებელთა 52.4%-ს ახასიათებს სწორხაზოვნება (პირდაპირობა), ხოლო 47.6%-ს დიპლომატიურობა (N) (M=1.476; SD=0.5).
- მასწავლებელთა 55.3%-ს ახასიათებს სიმშვიდე, ხოლო 44.7%-ს შფოთვა (O) (M=1.447; SD=0.497).
- მასწავლებელთა 61.2%-ს ახასიათებს კონსერვატიზმი, ხოლო 38.8%-ს სიახლისადმი ღიაობა (Q1) (M=1.388; SD=0.489).
- მასწავლებელთა 61.8%-ს ახასიათებს კონფორმულობა, ხოლო 38.2%-ს არაკონფორმულობა (Q2) (M=1.382; SD=0.487).
- მასწავლებელთა 10%-ს ახასიათებს დაბალი თვითკონტროლი, ხოლო 90%-ს მაღალი თვითკონტროლი(Q3) (M=1.9; SD=0.3).
- მასწავლებელთა 87.6%-ი არის მოდუნებული, არაფრუსტრირებადი, ხოლო 12.4%-ი დაძაბული, ფრუსტრირებადი (Q4) (M=1.123; SD=0.33). იხ. დიაგრამა 4

დიაგრამა 4. რესპოდენტების განაწილება კეტელის ფაქტორების მიხედვით.



დიაგრამაზე 5 წარმოდგენილია შეჯამებული სურათი იმ დომინანტური მახასიათებლებისა, რაც ჩვენი კვლევის მონაწილეების მაგალითზე დადასტურდა. კერძოდ, რესპოდენტების დიდი ნაწილისათვის 78% და მეტი დამახასიათებელია შემდეგი პიროვნული მოდელი: ქცევის მაღალი ნორმატიულობა, სითამამე, თვითკონტროლი, არაფრუსტრირებადობა (მოდუნებულობა), კომუნიკაბელობა და ემოციური სტაბილობა.


დიაგრამა 5. კეტელის ფაქტორული მოდელი დომინანტური ფაქტორების მიხედვით.



სქესის მიხედვით, ხი-კვადრატ კრიტერიუმის გამოყენებით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა შემდეგ სკალებზე:


- (I) კაცი მასწავლებლებიდან 37.3%-ს ახასიათებს არასენსიტიურობა, ხოლო 62.7%-ს სენსიტიურობა (მგრძობიარობა). ქალი მასწავლებლებიდან 18.8%-ს ახასიათებს არასენსიტიურობა, ხოლო 81.2%-ს სენსიტიურობა ( $\chi^2(160)=6.847$ ,  $df=1$ ,  $p<.05$ ) (იხ. დიაგრამა 6).

დიაგრამა 6. არასენსიტიურობა/სენსიტიურობის სკალა სქესის მიხედვით.




- (N) კაცი მასწავლებლებიდან 40%-ს ახასიათებს სწორხაზოვნება, ხოლო 60%-ს დიპლომატიურობა. ქალი მასწავლებლებიდან 63.5%-ს სწორხაზოვნება, ხოლო 36.5%-ს დიპლომატიურობა ( $\chi^2(160)=8.846$ ,  $df=1$ ,  $p<.05$ ) (იხ. დიაგრამა 7).

დიაგრამა 7. სწორხაზოვნება/დიპლომატიურობის სკალა სქესის მიხედვით.



- (O) კაცი მასწავლებლებიდან 62.7%-ს ახასიათებს სიმშვიდე ხოლო 37.3%-ს შფოთვა. ქალი მასწავლებლებიდან 47.1%-ს ახასიათებს სიმშვიდე, ხოლო 52.9%-ს შფოთვა ( $\chi^2(160)=3.912, df=1, p<.05$ ) (იხ. დიაგრამა 8).

დიაგრამა 8. სიმშვიდე/შფოთვის სკალა სქესის მიხედვით.




ასაკის მიხედვით, ხი-კვადრატ კრიტერიუმის გამოყენებით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა შემდეგ სკალებზე:

- (B) 15-დან 30 წლამდე ასაკის მასწავლებლებიდან 36%-ს ჰქონდა ინტელექტის დაბალი მაჩვენებელი, ხოლო 64%-ს ინტელექტის მაღალი მაჩვენებელი. 31-დან 40 წლამდე ასაკის მასწავლებლებიდან 42.6%-ს ჰქონდა ინტელექტის დაბალი მაჩვენებელი, ხოლო 57.4%-ს ინტელექტის მაღალი მაჩვენებელი. 41-დან 50 წლამდე ასაკის მასწავლებლებიდან 60.5%-ს ჰქონდა ინტელექტის დაბალი მაჩვენებელი, ხოლო 39.5%-ს ინტელექტის მაღალი მაჩვენებელი. 51-დან 60 წლამდე ასაკის მასწავლებლებიდან 45%-ს ჰქონდა ინტელექტის დაბალი მაჩვენებელი, ხოლო 55%-ს მაღალი მაჩვენებელი. 61-დან 70 წლამდე ასაკის მასწავლებლებიდან 64.7%-ს ჰქონდა ინტელექტის დაბალი მაჩვენებელი, ხოლო

35.3%-ს მაღალი მაჩვენებელი. 71-დან 80 წლამდე ასაკის მასწავლებლებიდან 60%-ს ჰქონდა ინტელექტის დაბალი მაჩვენებელი, ხოლო 40%-ს მაღალი ( $\chi^2(164)=6.876$ ,  $df=1$ ,  $p<.05$ ) (იხ. დიაგრამა 9).


დიაგრამა 9. ინტელექტის სკალის მაჩვენებლები ასაკის მიხედვით.



- (Q2) 21-დან 30 წლამდე ასაკის მასწავლებლებიდან 40%-ს ახასიათებს კონფორმულობა, ხოლო 60%-ს არაკონფორმულობა. 31-დან 40 წლამდე ასაკის მასწავლებლებიდან 70.4%-ს ახასიათებს კონფორმულობა, ხოლო 29.6%-ს არაკონფორმულობა. 41-დან 50 წლამდე ასაკის მასწავლებლებიდან 51.2%-ს ახასიათებს კონფორმულობა, ხოლო 48.8%-ს არაკონფორმულობა. 51-დან 60 წლამდე ასაკის მასწავლებლებიდან 75%-ს ახასიათებს კონფორმულობა, ხოლო 25%-ს არაკონფორმულობა. 61-დან 70 წლამდე ასაკის მასწავლებლებიდან 76.5%-ს ახასიათებს კონფორმულობა, ხოლო 23.5%-ს არაკონფორმულობა. 71-დან 80 წლამდე ასაკის მასწავლებლებიდან 80%-ს ახასიათებს კონფორმულობა, ხოლო 20%-ს არაკონფორმულობა ( $\chi^2(164)=12.541$ ,  $df=1$ ,  $p<.05$ ) (იხ. დიაგრამა 10).




დიაგრამა 10. კონფორმულობა/არაკონფორმულობა სკალის მაჩვენებლები ასაკის მიხედვით.



სტაჟის მიხედვით, ხი-კვადრატ კრიტერიუმის გამოყენებით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა შემდეგ სკალებზე:

- (C)1-დან 10 წლამდე მუშაობის გამოცდილების მქონე მასწავლებლებიდან 16.2%-ს ახასიათებს ემოციური ლაბილობა, ხოლო 83.8%-ს ემოციური სტაბილობა. 10-დან 20 წლამდე პედაგოგიური სტაჟის მქონე მასწავლებლებიდან 16.3%-ს ახასიათებს ემოციური ლაბილობა, ხოლო 83.7%-ს ემოციური სტაბილობა, 20 წელზე მეტი სტაჟის მქონე მასწავლებლებიდან 36%-ს ახასიათებს ემოციური ლაბილობა, ხოლო 64%-ს ემოციური სტაბილობა ( $\chi^2(167)=7.931$ ,  $df=2$ ,  $p<.05$ ).


დიაგრამა 11. ემოციური ლაბილობა/სტაბილობის სკალის მაჩვენებლები სტაჟის მიხედვით.



სწავლების საფეხურის მიხედვით, ხი-კვადრატ კრიტერიუმის გამოყენებით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა შემდეგ სკალებზე:

- (I) დაწყებით საფეხურზე მომუშავე მასწავლებლებიდან 22.2%-ს ახასიათებს არასენსიტიურობა, ხოლო 77.8%-ს სენსიტიურობა (მგრძნობიარობა). საბაზო და საშუალო საფეხურზე მომუშავე მასწავლებლებიდან 21.8%-ს ახასიათებს არასენსიტიურობა, ხოლო 78.2%-ს სენსიტიურობა. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე მომუშავე მასწავლებლებიდან 27.8%-ს ახასიათებს არასენსიტიურობა, ხოლო 72.2%-ს სენსიტიურობა ( $\chi^2(162)=5.133$ ,  $df=2$ ,  $p<.05$ ) (იხ. დიაგრამა 12).


დიაგრამა 12. არასენსიტიურობა/სენსიტიურობის სკალის მაჩვენებლები სწავლების საფეხურის მიხედვით.



- 1 - დაწყებითი საფეხურზე მომუშავე მასწავლებლები
- 2 - საბაზო და საშუალო საფეხურზე მომუშავე მასწავლებლები
- 3 - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე მომუშავე მასწავლებლები

- (Q1)დაწყებითი საფეხურზე მომუშავე მასწავლებლებიდან 81.5%-ს ახასიათებს კონსერვატიზმი, ხოლო 18.5%-ს სიახლისადმი ღიაობა. საბაზო და საშუალო საფეხურზე მომუშავე მასწავლებლებიდან 62.8%-ს ახასიათებს კონსერვატიზმი, ხოლო 37.2%-ს სიახლისადმი ღიაობა. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე მომუშავე მასწავლებლებიდან 52.6%-ს ახასიათებს კონსერვატიზმი, ხოლო 47.4%-ს სიახლისადმი ღიაობა ( $\chi^2(162)=6.510$ ,  $df=2$ ,  $p<.05$ ) (იხ. დიაგრამა 13).

დიაგრამა 13. კონსერვატიზმის/სიახლისადმი ღიაობის სკალის მაჩვენებლები სწავლების საფეხურის მიხედვით.



- 1 - დაწყებითი საფეხურზე მომუშავე მასწავლებლები
- 2 - საბაზო და საშუალო საფეხურზე მომუშავე მასწავლებლები
- 3 - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე მომუშავე მასწავლებლები

### ფაქტორული ანალიზი

ფაქტორულმა ანალიზმა გამოავლინა 5 ძირითადი ფაქტორის არსებობა, რომელიც ქმნის ჩვენი ცდისპირების პიროვნულ პროფილს.

პირველი ფაქტორი ხსნის ცვლადების 23.2%-ს, მეორე - 29.5%-ს, მესამე - 29.5%-ს, მეოთხე - 30.01%-ს, ხოლო მეხუთე - 30.9%-ს. შედეგების მიხედვით:

- **ექსტრავერსია.** ამ ფაქტორზე ყველაზე მაღალი დატვირთვა აქვს მორცხვობა/სითამამე სკალას (0.680), შემდეგ კი არაკომუნიკაბელობა /კომუნიკაბელობა (0.643), თავშეკავება/ექსპრესიულობას (0.376), სწორხაზოვნება/დიპლომატიურობა (0.376), კონფორმულობა/არაკონფორმულობას (-0.053).

ცხრილი 3. ფაქტორი „ექსტრავერსია“ - სკალების ფაქტორული წონა

	სკალები	ფაქტორული წონა
<b>H</b>	მორცხვობა/სითამამე	0.680
<b>A</b>	ჩაკეტილობა/ღიაობა(არაკომუნიკაბელობა/კომუნიკაბელობა)	0.643
<b>F</b>	თავშეკავება/ექსპრესიულობა	0.376
<b>N</b>	სწორხაზოვნება/დიპლომატიურობა	0.376
<b>Q2</b>	კონფორმულობა/არაკონფორმულობა	-0.053

- **შფოთვა.** ამ ფაქტორზე ყველაზე მაღალი დატვირთვა აქვს სკალას - არაფრუსტრირებადი/ფრუსტრირებადი (0.713, შემდეგ კი - სიმშვიდე/შფოთვას (0.599), მიმნდობი/ექვიანს (0.473) და ემოციურ ლაბილობა/სტაბილობას (-0.300).

ცხრილი 4. ფაქტორი „შფოთვა“ - სკალების ფაქტორული წონა

	სკალები	ფაქტორული წონა
<b>Q4</b>	არაფრუსტრირებადობა/ფრუსტრირებადობა	0.713
<b>O</b>	სიმშვიდე/შფოთვა	0.599
<b>L</b>	მიმნდობი/ექვიანი	0.473
<b>C</b>	ემოციური ლაბილობა/სტაბილობა	-0.300

- **სიახლისადმი ღიაობა.** ამ ფაქტორზე ყველაზე მაღალი დატვირთვა აქვს კონსერვატიზმი/სიახლისადმი ღიაობის სკალას (0.679), შემდეგ კი - არასენსიტიურობა/სენსიტიურობას (0.651), პრაქტიკული/მეოცნებე (0.519) და არაკომუნიკაბელობა/კომუნიკაბელობა სკალებს (0.160).

ცხრილი 5. ფაქტორი „სიახლისადმი ღიაობა“ - სკალების ფაქტორული წონა

	სკალები	ფაქტორული წონა
<b>Q1</b>	კონსერვატიულობა/სიახლისადმი ღიაობა	0.679
<b>I</b>	არასენსიტიურობა/სენსიტიურობა	0.651
<b>M</b>	პრაქტიკული/მეოცნებე	0.519
<b>A</b>	არაკომუნიკაბელობა/კომუნიკაბელობა	0.160

- **დამოუკიდებლობა.** ამ ფაქტორზე ყველაზე მაღალი დატვირთვა აქვს მორცხვობა/სითამამის სკალას (0.730), შემდეგ კი კონსერვატიზმი/სიახლისადმი ღიაობის (-0.596), მიმნდობი/ექვიანის (0.498) და დაქვემდებარებულობა/დომინანტობის (0.252) სკალებს.

ცხრილი 6. ფაქტორი „დამოუკიდებლობა“ - სკალების ფაქტორული წონა

	სკალები	ფაქტორული წონა
<b>H</b>	მორცხვობა/სითამამე	0.730
<b>Q1</b>	კონსერვატიულობა/სიახლისადმი ღიაობა	-0.596
<b>L</b>	მიმნდობი/ექვიანი	0.498
<b>E</b>	დაქვემდებარებულობა/დომინანტობა	0.252

- **თვითკონტროლი** - ამ ფაქტორზე ყველაზე მაღალი დატვირთვა აქვს ქცევის დაბალი/მაღალი ნორმატიულობის სკალას (0.800), შემდეგ კი დაბალი/მაღალი თვითკონტროლის (0.637), მორცხვობა/სითამამის (-0.311) და თავშეკავებულობა/ექსპრესიულობის (0.304) სკალებს.

ცხრილი 7. ფაქტორი „თვითკონტროლი“ - სკალების ფაქტორული წონა

	სკალები	ფაქტორული წონა
<b>G</b>	ქცევის დაბალი/მაღალი ნორმატიულობა	0.800
<b>Q3</b>	დაბალი/მაღალი თვითკონტროლი	0.637

<b>M</b>	მორცხვობა/სითამამის	-0.311
<b>F</b>	თავშეკავებულობა/ექსპრესიულობა	0.304

### რიგიდულობა


როგორც ინსტრუმენტის მიმოხილვისას აღვნიშნეთ, რიგიდულობის მაღალი მაჩვენებელი ასახავს მიდრეკილებას პედანტიზმისა და ჯიბრიანობისაკენ. რიგიდული ადამიანები ზემგრძნობიარე, მტკივნეულად თავმოყვარე, უარყოფით განცდებზე ფიქსირებადი და მტრული დამოკიდებულებისაკენ მიდრეკილი პიროვნებები არიან. როგორც კვლევის მეორე ეტაპის ინსტრუმენტების აღწერაში აღვნიშნეთ,<sup>2</sup>რიგიდულობის სკალა მნიშვნელოვანია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პიროვნული მოდელისთვის.

რიგიდულობის სკალის მიხედვით ჩვენი კვლევის მონაწილეების პროცენტულიდა სიხშირული განაწილებები წარმოდგენილია დიაგრამებზე 14 და 15.

დიაგრამა 14. რიგიდულობის მაჩვენებლები

---

<sup>2</sup>იხ. გვერდი 62




როგორც დიაგრამიდან 14 ჩანს, რესპოდენტების განაწილება ნორმალური განაწილების პარამეტრებში სრულიად თავსდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენი რესპოდენტების აბსოლუტური ნაწილი (94,6%) ნორმალური რიგიდულობის ფარგლებშია. თუ გავითვალისწინებთ T ქულების მიხედვით MMPI-ს სკალების ნორმებს, ასე გამოიყურება:

- ფსიქიკური ნორმა: 30-70T ქულა
- პიროვნების აქცენტუაცია: 65-75T ქულა
- ფსიქიკური აშლილობის მოსაზღვრე ფორმები: 75-80T ქულა
- ფსიქოპათოლოგიური სინდრომები: 80T ქულაზე მეტი (Сончик, 2000)

მაშინ ჩვენი რესპოდენტების განაწილება ამ დიფერენცირების მიხედვით შემდეგ სახეს იღებს (იხ. დიაგრამა 15):



დიაგრამა 15. რესპონდენტთა განაწილება რიგიდულობის მაჩვენებლების მიხედვით




სადაც 1 წარმოადგენს რიგიდულობის ნორმას, 2 კი აქცენტირებულ პიროვნულ მახასიათებელს რიგიდულობის თვალსაზრისით.

### კრეატულობა


მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ კრეატულობა, რომელიც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის ჰიპოთეტურ მოდელში, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი პიროვნული მახასიათებელია, საკმაოდ სუსტადაა წარმოდგენილი ჩვენი რესპოდენტების შემთხვევაში. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე გამოსახულია რესპოდენტების განაწილება კრეატულობის მაჩვენებლის მიხედვით (იხ. დიაგრამა 16).

დიაგრამა 16. რესონდენტთა განაწილება კრეატულობის მაჩვენებლების მიხედვით



როგორც დიაგრამიდან იკვეთება(იხ. დიაგრამა 17), კვლევის მონაწილეების საკმაოდ დიდი ნაწილი კრეატულობის დაბალი ან საშუალო მაჩვენებლით (დაბალი -28,2%; საშუალო - 50,4% ) გამოირჩევა, თუმცა თუ გამოვრიცხავთ იმ რესპოდენტებს, რომლებიც კრეატულობის უკიდურესი მაჩვენებელი აქვთ, მივიღებთ ნორმალური განაწილებასთან მეტ-ნაკლებად მოახლოვებულ განაწილებას.

დიაგრამა 17. რესპოდენტთა განაწილება კრეატიულობის დონეების მიხედვით



### კორელაციური ანალიზი

- სუსტი დადებითი კორელაციური კავშირი გამოვლინდა ადექვატურ-არაადექვატურ თვითშეფასებასა და ჩაკეტილობა-ღიაობის (არაკომუნიკაბელობა/კომუნიკაბელობა) სკალის მაჩვენებელს შორის ( $r(169)=.205$ ,  $p<.01$ ).
- სუსტი დადებითი კორელაციური კავშირი გამოვლინდა ადექვატურ-არაადექვატურ თვითშეფასებასა და ქცევის დაბალი-მაღალი ნორმატიულობის სკალის მაჩვენებელს შორის ( $r(169)=.162$ ,  $p<.05$ ).
- სუსტი დადებითი კორელაციური კავშირი გამოვლინდა ადექვატურ-არაადექვატურ თვითშეფასებასა და დაბალი-მაღალი თვითკონტროლის სკალის მაჩვენებელს შორის ( $r(169)=.163$ ,  $p<.05$ ).
- სუსტი უარყოფითი კორელაციური კავშირი გამოვლინდა დაქვემდებარებულობა-დომინანტობის სკალასა და დაბალი-მაღალი თვითკონტროლის სკალის მაჩვენებელს შორის ( $r(170)= -.189$ ,  $p<.05$ ).

- სუსტი დადებითი კორელაციური კავშირი გამოვლინდა ქცევის დაბალი-მაღალი ნორმატიულობის სკალასა და დაბალი-მაღალი თვითკონტროლის სკალის მაჩვენებელს შორის ( $r(170)=.204, p<.01$ ).
- სუსტი დადებითი კორელაციური კავშირი გამოვლინდა არაფრუსტრირებადობა/ფრუსტრირებადობის სკალის მაჩვენებელსა და თავშეკავებულობა-ექსპრესიულობის სკალის მაჩვენებელს შორის ( $r(170)=.177, p<.05$ ).
- სუსტი უარყოფითი კორელაციური კავშირი გამოვლინდა ჩაკეტილობა-ღიაობის (არაკომუნიკაბელობა/კომუნიკაბელობა) სკალასა და რიგიდულობის სკალის მაჩვენებელს შორის ( $r(169)= -.241, p<.01$ ).
- სუსტი უარყოფითი კორელაციური კავშირი გამოვლინდა ინტელექტის სკალასა და რიგიდულობის სკალის მაჩვენებელს შორის ( $r(170)= -.291, p<.01$ ).
- სუსტი უარყოფითი კორელაციური კავშირი გამოვლინდა ემოციური არასტაბილობა-სტაბილობის სკალასა და რიგიდულობის სკალის მაჩვენებელს შორის ( $r(170)= -.202, p<.01$ ).

ცხრილი 8. კორელაციური კავშირი ფაქტორებს შორის

\*\* $p \leq .01$ ; \* $p \leq .05$

	MD	Q3	E	G	Q4	F	A	B	C	რიგიდ ულობა
თვითშეფასება	-									
დაბალი/მაღალი თვითკონტროლი	.074	-								
დაქვემდებარებულობა - დომინანტობა	-.071	<b>-.189*</b>	-							
ქცევის დაბალი/მაღალი ნორმატიულობა	.146	<b>.204**</b>	-.122	-						
მოდუნებული-დაძაბული (არაფრუსტრირებადი/ფრუს ტრირებადი)	-.079	-.113	.083	-.001	-					
თავშეკავება- ექსპრესიულობა	.116	-.087	.040	.147	<b>.177*</b>	-				
ჩაკეტილობა- ღიაობა(არაკომუნიკაბელობ ა/კომუნიკაბელობა)	<b>.205*</b>	<b>.163*</b>	.010	<b>.162*</b>	.039		-			
ინტელექტი	.031	.067	.055	.116	- .027	-.099		-		
ემოციური არასტაბილობა/სტაბილობა	.072	.014	.100	.085	- .062	.038	.093	-.002	-	
რიგიდულობა							<b>.241*</b>	<b>.291*</b>	<b>.202*</b>	-

### თავი 3

## კვლევის შედეგების შეჯამება / დისკუსია

ჩვენი ექსპერიმენტული კვლევის შედეგების მიხედვით ქართული პოპულაციის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებში გამოვლინდა 7 ძირითადი პიროვნული ნიშან-თვისება. აღმოჩნდა, რომ კვლევის მონაწილეთა უმრავლესობას ახასიათებს:

ქცევის მაღალი ნორმატიულობა, რაც გამოიხატება პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობაში, სტაბილობაში, გაწონასწორებულობაში, საზოგადოებაში მიღებული ნორმების აღიარებაში;

- სითამამე, რომელიც გამოიხატება აქტიურობაში, ასეთ ადამიანებს შეუძლიათ რისკზე წასვლა მათთვის უცნობ სიტუაციაში, დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებებს და ავლენენ ლიდერის თვისებებს;
- მაღალი თვითკონტროლი, რაც გამოიხატება საკუთარი ემოციებისა და ქცევის რეგულაციაში;
- არაფრუსტრირებადობა (მოდუნებულობა), რომელიც გამოიხატება არადაძაბულობაში, სიმშვიდეში;
- კომუნიკაბელობა, რაც ვლინდება ღიაობაში, თანამშრომლობისათვის მზადყოფნაში;
- ემოციური სტაბილობა, რაც გულისხმობს სიმშვიდესა და რეალობაზე ფოკუსირებას;
- სენსიტიურობა, რაც გამოიხატება მგრძობიარობასა და სიფრთხილეში.

კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ არსებობს კავშირი ზოგიერთ პიროვნულ ნიშანთვისებას შორის, კერძოდ:

თვითშეფასება სუსტად დადებითად კორელირებს ჩაკეტილობა-ღიაობასთან, რაც იმას ნიშნავს, რომ თვითდაჯერებული ადამიანები არიან უფრო გახსნილები, კომუნიკაბელურები, ადვილად აგვარებენ კონფლიქტებს. ასევე, თვითშეფასება სუსტად

დადებითად კორელირებს ქცევის ნორმატიულობასა და თვითკონტროლთან. ადექვატური თვითშეფასების მქონე ადამიანებს კარგად აქვთ განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა, ემორჩილებიან საზოგადოებაში მიღებულ ნორმებს, შეუძლიათ საკუთარი ემოციებისა და ქცევის კონტროლი.

თვითკონტროლი სუსტად უარყოფითად კორელირებს დაქვემდებარებულობა-დომინანტობის სკალის მაჩვენებელთან. დაბალი თვითკონტროლის მქონე ადამიანებს, რომლებიც მიჰყვებიან საკუთარ სურვილებს და არ შეუძლიათ ემოციებისა და ქცევის კონტროლი, აქვთ „მეამბოხე“ ხასიათი, არ აღიარებენ ავტორიტეტებს, არიან ჯიუტები, ხანდახან კონფლიქტურები და აგრესიულები. თვითკონტროლი ასევე, სუსტად დადებითად კორელირებს ქცევის ნორმატიულობასთან. ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარი ემოციებისა და ქცევის კონტროლი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კარგად აქვთ განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა და მორალი, ემორჩილებიან საზოგადოებაში მიღებულ ნორმებს.

არაფრუსტრირებადი-ფრუსტრირებადი სკალის მაჩვენებელი სუსტად დადებითად კორელირებს თავშეკავებულობა-ექსპრესიულობის სკალის მაჩვენებელთან. ადამიანებს, რომლებსაც მომატებული აქვთ დამაბულობა და შფოთვა, ახასიათებთ იმპულსურობა, ექსპრესიულობა, ექსპანსიურობა, არ შეუძლიათ ემოციების შეკავება და ადვილად ამჟღავნებენ მათ.

რიგიდულობა სუსტად უარყოფითად კორელირებს ჩაკეტილობა-ღიაობასთან. ადამიანები, რომლებიც გამოირჩევიან უარყოფით განცდებზე ფიქსაციით, ავლენენ აგრესიულ რეაქციებს და ეგოისტურ ტენდენციებს, უფრო მეტად არიან არაკომუნიკაბელურნი, საკუთარ თავში ჩაკეტილები, არ ენდობიან გარშემომყოფებს, ადამიანების შეფასებისას იჩენენ ზედმეტ სიმკაცრეს. რიგიდულობა ასევე სუსტად უარყოფითად კორელირებს ინტელექტის სკალის მაჩვენებელთან. ასეთ ადამიანებს უჭირთ აბსტრაქტული გადაწყვეტილებების მიღება და აზროვნებისას იჩენენ რიგიდულობას. საბოლოოდ, რიგიდულობა უარყოფით კავშირშია ემოციურ არასტაბილობა-სტაბილობასთან. რიგიდულობის მაღალი მაჩვენებლის მქონე ადამიანები არიან ემოციურად არასტაბილურები, იმპულსურები, ადვილად ეცვლებათ

გუნება-განწყობა, მოქმედებენ ემოციების ზეგავლენით და აქვთ ფრუსტრაციისადმი დაბალი ტოლერანტობა.

ქართული პოპულაციის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების შემთხვევაში ცალკეული სკალის ფაქტორებზე დატვირთვა იგივეა, რაც კეტელისხუთფაქტორიან მოდელში.

**ექსტრავერსია.** ამ ფაქტორზე ყველაზე მაღალი დატვირთვა აქვს მორცხვობა/სითამამის სკალას. მართლაც, ამ სკალაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე ადამიანები არიან აქტიურები, შეუძლიათ რისკზე წასვლა მათთვის უცნობ სიტუაციაში, დამოუკიდებლად იღებენ გადაწყვეტილებებს და ავლენენ ლიდერის თვისებებს. დანარჩენი დატვირთვის მქონე სკალებია არაკომუნიკაბელობა/კომუნიკაბელობა (ჩაკეტილობა/ღიაობა), თავშეკავება/ექსპრესიულობა, იდუმალი/გულღიაობა და კონფორმულობა/არაკონფორმულობა. საერთო ჯამში ასეთი ადამიანები არიან კომუნიკაბელურები, იჩენენ ყურადღებას გარშემომყოფების მიმართ, არიან თანამშრომლობისკენ მიდრეკილნი და იჩენენ ჯგუფში კონფლიქტების მოგვარების ინიციატივას. მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია ინტერპერსონალური ურთიერთობები, შეუძლიათ რთული სიტუაციიდან გამოსავლის მოძებნა და დიპლომატიური სტილის შენარჩუნება.

**შფოთვა.** ამ ფაქტორზე ყველაზე მაღალი დატვირთვა აქვს არაფრუსტრირებადი/ფრუსტრირებადი (მოდუნებული/დამაბულის) სკალას. ამ სკალაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე ადამიანები არიან დამაბულები, ახასიათებთ ფრუსტრაციის მაღალი დონე და არიან ადვილად გაღიზიანებადნი. შემდეგი დატვირთვის მქონე სკალებია სიმშვიდე/შფოთვა, მიმდობი/ეჭვიანი და ემოციური ლაბილობა/სტაბილობა. ასეთი ადამიანები ურთიერთობისას იჩენენ სიფრთხილეს, არიან თავიანთ თავში დაურწმუნებლები, მიდრეკილნი არიან დანაშაულის გრძნობასა და დეპრესიისკენ.

**სიახლისადმი ღიაობა.** ამ ფაქტორზე ყველაზე მაღალი დატვირთვა აქვს კონსერვატიზმი/სიახლისადმი ღიაობის სკალას. ამ სკალაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე ადამიანებს აქვთ კარგი ანალიტიკური აზროვნება, არ ემორჩილებიან ავტორიტეტებს და



მიდრეკილება აქვთ ინტელექტუალური შრომისკენ. ფაქტორული დატვირთვის თვალსაზრისით შემდეგი სკალებია არასენსიტიურობა/სენსიტიურობა, პრაქტიკული/მეოცნებე დაარაკომუნიკაბელობა/კომუნიკაბელობა (ჩაკეტილობა/ღიაობა). ასეთი ადამიანები არიან თავდაჯერებულები, პრაქტიკულები, გადაწყვეტილებებს სწრაფად იღებენ და ახასიათებთ რეალიზმისკენ მიდრეკილება.

**დამოუკიდებლობა** - ამ ფაქტორზე, როგორც ექსტრავერსიის შემთხვევაში, ყველაზე მაღალი დატვირთვა აქვს მორცხვობა/სითამამის სკალას, შემდეგ კი კონსერვატიზმი/სიახლისადმი ღიაობის, მიმნდობი/ექვიანის და დაქვემდებარებულობა/დომინანტობის სკალებს.

**თვითკონტროლი.** ამ ფაქტორზე ყველაზე მაღალი დატვირთვა აქვს ქცევის დაბალი/მაღალი ნორმატიულობის სკალას. ასეთ ადამიანებს აქვთ პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, არიან სტაბილურები და ემორჩილებიან საზოგადოებაში მიღებულ ნორმებს. შემდეგი სკალებია დაბალი/მაღალი თვითკონტროლი, მორცხვობა/სითამამე და თავშეკავებულობა/ექსპრესიულობა. საერთო ჯამში, ასეთი ადამიანები არიან თავშეკავებულნი და მიზანდასახულები.

თუ შევადარებთ ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პროფესიულად ღირებული ნიშან-თვისებების ჰიპოთეტურ მოდელს კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებთან, ვნახავთ, რომ, თუ ჰიპოთეტურ მოდელში გამოკვეთილი იყო ცხრა მახასიათებელი, კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი მახასიათებლების რაოდენობა წარმოადგენსშვიდს. ორივე მოდელისთვის კი საერთო აღმოჩნდა შემდეგი ხუთი მახასიათებელი (იხ. სქ. 1) :

სქემა 1. ჰიპოთეტურ მოდელისა და კვლევის შედეგად მიღებული პროფესიულად ღირებული ნიშან-თვისებების მონაცემები.



როგორც მოცემული სქემიდან ჩანს, ქართული პოპულაციის 70% და მეტი პროცენტისათვის დამახასიათებელია 7 ძირითადი პიროვნული ნიშან-თვისება, საიდანაც 5 წარმოადგენს 3D მოდელში წარმოდგენილ ნიშან-თვისებას: ემოციური სტაბილურობა, მაღალი თვითკონტროლი, სენსიტიურობა, კომუნიკაბელობა, სითამამე.

ამის გარდა ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ თვისებრივი მნიშვნელობა არ ჰქონდა ინტელექტისა და სიმშვიდე/შფოთვის სკალას, რადგანაც მაჩვენებლები კვლევის მონაწილეებში თითქმის თანაბრად გადანაწილდა: ინტელექტის დაბალი მაჩვენებლის მქონე რესპონდენტთა რაოდენობა წარმოადგენდა 48.8%-ს, ხოლო მაღალი მაჩვენებლის მქონე - 51.1%-ს; სიმშვიდე ახასიათებს - 55.3%, ხოლო შფოთვა - 44.7%-ს.

ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება, რომელიც არსებობს ჩვენ მიერ შემოთავაზებულ მოდელსა და კვლევის შედეგად მიღებულ პიროვნულ ნიშან-თვისებების ჩამონათვლის შორის ვლინდება კრეატიულობისა და სიახლისადმი ღიაობის მაჩვენებლებში. რესპონდენტების მხოლოდ 38.8%-ს ახასიათებს სიახლისადმი ღიაობა. რაც შეეხება კრეატიულობას, კვლევის მონაწილეების საკმაოდ დიდი ნაწილი დაბალი და საშუალო მაჩვენებლით გამოირჩევა (დაბალი - 28.2%, საშუალო - 50.4%).

კვლევის შედეგად მიღებულ მოდელში გამოიკვეთა დამატებითი ორი მახასიათებელი, რომელიც არ იყო გათვალისწინებული ჰიპოთეტურ მოდელში. ესენია ქცევის მაღალი ნორმატიულობა და არაფრუსტრირებადობა (მოდუნებულობა).

**რიგიდულობის** გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ჩვენი რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა (94.6%) ნორმალური რიგიდულობის ფარგლებშია.

**სქესის** მიხედვით ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებში სტატისტიკურად სანდო განსხვავება გამოვლინდა შემდეგ პიროვნულ ნიშან-თვისებებში:

- ქალებს უფრო მეტად ახასიათებთ სენსიტიურობა ვიდრე მამაკაცებს (M-62.7%; F-81.2%).
- მამაკაცებისათვის უფრო მეტად არის დამახასიათებელია დიპლომატიურობა ვიდრე ქალებისათვის (M-60%; F-36.5%).
- მამაკაცებს უფრო ახასიათებთ სიმშვიდე ვიდრე ქალებს (M-62.7%, F-47.1%).

რაც შეეხებარესპოდენტებს შორისასაკის მიხედვით განსხვავებას, მხოლოდ შემდეგი პიროვნული ნიშან-თვისებებისშემთხვევაში აღმოჩნდა პროცენტული განაწილება სტატისტიკურად მნიშვნელოვანი:

- ინტელექტის მაღალი დონე ყველაზე მაღალი სიხშირით გამოვლინდა 21-დან 30 წლამდე მასწავლებლებში (64%), ხოლო ყველაზე დაბალი სიხშირით 61-დან 70 წლამდე მასწავლებლებში (35.3%);
- კონფორმულობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოვლინდა 71-დან 80 წლამდე (80%) და 61-დან 70 წლამდე მასწავლებლებში (76.5%), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მივიღეთ 15-დან 30 წლამდე (40%) მასწავლებლებში.

**სტაჟის** მიხედვით გამოვლინდა, რომ ემოციური სტაბილობა ქვეითდება 20 წელზე მეტი სტაჟის მქონე მასწავლებლებში. თუ 1-10 წლამდე და 11-20 წლამდე სტაჟის მქონე მასწავლებლების ემოციური სტაბილობა დამახასიათებელიაშესაბამისად 83.8%-თვის და 83.7%-თვის, 20 წელზე მეტი სტაჟის მქონე მასწავლებლებში ემოციური სტაბილობა გამოავლინა 64%-მა.

სწავლების საფეხურების მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა სიახლისადმი ღიაობის მაჩვენებლებს შორის: დაწყებით საფეხურზე მომუშავე მასწავლებლების მხოლოდ 18.5%-ს ახასიათებს სიახლისადმი ღიაობა; საბაზო და საშუალო საფეხურზე მომუშავე მასწავლებლების 37.2%-ს; სამივე საფეხურზე მომუშავე მასწავლებლების 47.4%-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ მასწავლებლები, რომლებიც იცნობენ სამივე საფეხურის სწავლების პრინციპებსა და მეთოდოლოგიას უფრო მეტად არიან გახსნილები სიახლისადმი და ცვლილებებისადმი.

### კვლევის შეზღუდვები

სასურველი იქნებოდა კვლევაში მონაწილე პედაგოგების მეტი რაოდენობა. ჩვენს შემთხვევაში იმის გამო, რომ რთული იყო სკოლებში შესვლის ნებართვის აღება და რესპოდენტების მოძიება, კვლევის შერჩევის მოცულობა მონაცემების დამუშავებისათვის აუცილებელი შერჩევის მოცულობის ქვედა ზღვარზე ოდნავ მეტია;

მიუხედავად კვლევის ანონიმურობისა, მასწავლებლების მხრიდან ერთგვარი უნდობლობა შემაფერხებელი აღმოჩნდა გულწრფელი პასუხების გაცემისათვის ზოგიერთი ფაქტორის გამო: შიში, რომ კვლევა ანონიმური არ იქნებოდა, სამსახურის დაკარგვის შიშიდა ა.შ.

ასევე გულწრფელი პასუხების პრობლემას ქმნიდა ის, რომ, რადგანაც აღვიქმებოდი სკოლების მაკონტროლებელი ორგანოს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო) წარმომადგენლად, შესაძლებელია პედაგოგებს დაეფიქსირებინათ საკუთარი შესაძლებლობებისა და თავის წარმოჩენაზე ორიენტირებული ისეთი პასუხები, რომელიც მათი აზრით ჩემთვის "მისაღები" იქნებოდა.

სასურველი იქნებოდა, გამოგვევლინა კავშირი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პიროვნული ნიშან-თვისებებისა და პედაგოგიური საქმიანობის წარმატებულობას შორის. ვითვალისწინებთ რა, რომ მასწავლებლის წარმატებულობა -

რთული კონცეპტია, ჩვენი აზრით, ის დამოუკიდებელ კვლევას მოითხოვს. სამომავლოდ რეკომენდებულია ინახოს ამ ორ ცვლად შორის კავშირის დადგენა.

მიღებული შედეგების განზოგადებისას აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ კვლევა ჩატარდა მხოლოდ ერთ რეგიონში - თბილისში. სასურველია კვლევა განხორციელდეს საქართველოს მასშტაბით და მასში ჩართული იყოს ყველა მისი რეგიონი, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო ზედმიწევნით ვისაუბროთ ჩვენი მოდელის ვერიფიკაციასა და ქართული პოპულაციისათვის პროფესიულად ღირებულ პიროვნულ ნიშან-თვისებებზე.

## თავი 4

### დასკვნები

- თეორიული შედარებითი ანალიზისა და ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მომავალი მასწავლებლების გამოკითხვის საფუძველზე განისაზღვრა ამ სპეციალობის მასწავლებლის პროფესიულად ღირებული პიროვნული ნიშან-თვისებები და შემუშავდა მასწავლებლის ჰიპოთეტური მოდელი;
- ჰიპოთეტური მოდელი შეიცავდა 9 პიროვნულ ნიშან-თვისებას: სიახლისადმი ღიაობა; კრეატიულობა; მაღალი ინტელექტი; ემოციური სტაბილობა; სიმშვიდე; მაღალი თვითკონტროლი; სენსიტიურობა; კომუნიკაბელობა; სითამამე.
- ქართულ პოპულაციაზე ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის შედეგად გამოვლინდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლისთვის დამახასიათებელი 7 ძირითადი პიროვნული ნიშან-თვისება: ქცევის მაღალი ნორმატიულობა, სითამამე, მაღალი თვითკონტროლი, არაფრუსტრირებადობა, კომუნიკაბელობა, ემოციური სტაბილურობა და სენსიტიურობა.
- ჰიპოთეტურ მოდელში წარმოდგენილი 5 პიროვნული ნიშან-თვისება (სითამამე, მაღალი თვითკონტროლი, კომუნიკაბელობა, ემოციური სტაბილურობა და სენსიტიურობა) აღმოჩნდა გამოკვეთილად დამახასიათებელი ქართული პოპულაციის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებისთვის;
- დადასტურდა, რომ არსებობს გარკვეული განსხვავება ჰიპოთეტურ მოდელსა და კვლევის შედეგად მიღებული პიროვნული ნიშან-თვისებებს შორის. კერძოდ:

- კვლევის შედეგებში გამოიკვეთა დამატებითი ორი მახასიათებელი, რომელიც არ იყო გათვალისწინებული ჰიპოთეტურ მოდელში. ესენია ქცევის მაღალი ნორმატიულობა და არაფრუსტრირებადობა;
- კვლევის შედეგების მიხედვით რესპონდენტების ინტელექტის მაღალ და დაბალ მაჩვენებლებს შორის, ასევე როგორც სიმშვიდის და შფოთვის მაჩვენებლებს შორის შიდა განსხვავება არ აღმოჩნდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი;
- კვლევამ დაადგინა, რომ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლების მხოლოდ მცირე ნაწილს (38.8%-ს) ახასიათებს სიახლისადმი ღიაობა;
- კვლევის შედეგებში გამოვლინდა, რომ მონაწილეების საკმაოდ დიდი ნაწილი კრეატიულობის დაბალი (28.2%) და საშუალო (50.4%) მაჩვენებლით გამოირჩევა.

## თავი 5

### რეკომენდაციები

#### *5.1. რეკომენდაციები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პროფესიულად ღირებული ნიშან-თვისებების მოდელის რეალიზაციისთვის*

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებმა გააცნობიერონ თანამედროვე მოთხოვნები ამ დარგის სპეციალისტის პროფესიულად ღირებული პიროვნული ნიშან-თვისებების მოდელისადმი;
- მიზანშეწონილად მიგვაჩნია მასწავლებლის მომზადებასა და გადამზადებაში (საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პროფესიულად ღირებული პიროვნული ნიშან-თვისებების ჩამოყალიბებას სწავლების ახალი პარადიგმისა და ინოვაციური პროცესების საფუძველზე;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მოდელის მონიტორინგადგამოყენებისას სასურველია დავადგინოთ პედაგოგის ძლიერი და სუსტი მხარეები და გავითვალისწინოთ ისინი პედაგოგიური პროცესის გასაუმჯობესებლად;
- მართებულად მიგვაჩნია ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მომზადება/გადამზადება მოხდეს ისეთი სპეციალისტების მიერ, რომლებიც



იცნობენ პედაგოგიურ ინოვაციებს ამ დარგში და ასწავლიან ამ ინოვაციების საფუძველზე;

- სასურველია გავაცნოთ სპეციალისტებს იმ ნიშან-თვისებებს შორის კავშირები, რომლებიც ჩვენს კვლევაში დადასტურდა, რათა ისინი გათვალისწინებულ იქნეს მასწავლებლის მომზადებისას;
- შემოთავაზებული მოდელი გარკვეულ წილად შეიძლება გამოყენებული იყოს არა მხოლოდ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებისთვის, არამედ სხვადასხვა პროფილის მასწავლებლის მომზადებასა და გადამზადებაში;
- ჩვენს კვლევაში დადგენილი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებში კრეატიულობისა და სიახლისადმი ღიაობის უნარების გარკვეული დეფიციტის დასაძლევად რეკომენდებულია ჩატარდეს სპეციალური ტრენინგები ამ უნარების გასავითარებლად.

## ***5.2. რეკომენდაციები შემდგომი კვლევებისათვის:***

- საინტერესო იქნება მომავალში შემოწმებულ იქნას კავშირი მასწავლებლის პიროვნულ ნიშან-თვისებებსა და პროფესიულ წარმატებულობას შორის. პროფესიული წარმატებულობის გასაზომად გამოყენებულ იქნას მასწავლებლის პროფესიული განვითარების ახალ სქემაში წარმოდგენილი კრიტერიუმები;
- სასურველია მომავალში კვლევა ჩვენ მიერ გამოყენებული მეთოდიკით აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ჩატარდეს; მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავდეს კონკრეტული რეკომენდაციები მასწავლებლების პროფესიული დონის ასამაღლებლად.

## გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი

1. Advanced Standards for Physical Education. Nation Association for Sport and Physical Education (NASPE), Sets of Standard, USA, 2008.
2. Ames, Carole. "Motivation: What teachers need to know." *The Teachers College Record* 91, no. 3 (1990): 409-421.
3. Ayme, Sylvain, Claude Ferrand, Eric Reynes, and Xavier Borteyrou. "Personality Traits and Students' Misbehavior: Effects on French Physical Education Teachers' Anger Response 1." *Perceptual and motor skills* 108, no. 1 (2009): 15-29.
4. Barnett, H. G. *Innovation: the basis of cultural change*. New York: McGraw-Hill, 1953.
5. Bassett, G. W. *Innovation in primary education; a study of recent developments in primary education in England and the U.S.A.* London: Wiley-Interscience, 1970.
6. Beavers, Amy S., "The Personality Profiles of Pre-service Teachers: An Examination of Discipline Differences and Predictive Validity on Future Job Satisfaction". PhD diss., University of Tennessee, 2011.
7. Bhat V.D., Chaudhary S.V.S and Dash N.K. "Teacher Competence in Higher Education". India, 6-Oct-2008.
8. Brock, Rochelle. "Educational Psychology in a New Paradigm: Learning a Democratic Way of Teaching." *The Praeger Handbook of Education and Psychology*. Ed. by Joe L. Kincheloe, Raymond A. Horn, Jr. Vol. 2. Westport Conn: PraegerPubl, 2007. 899-906.
9. Brunner, R. *Lehrer training – Grundlagen, Verfahren, Ergebnisse* [Teacher training: Basics – process – result]. München: E. Reinhardt Verlag, 1976.
10. Burger, Trudie. "Emotional intelligence and well-being in teachers." PhD diss., Stellenbosch: University of Stellenbosch, 2009.
11. Burrows, Lisette. "Proposed key competencies and health and physical education in the New Zealand curriculum." *Retrieved September 15 (2005): 2008.*

12. Cattell, Raymond B. *The Scientific Analysis of Personality*. Baltimore: Penguin Books, 1965.
13. Chan, Peter, John Wilkinson, Charles Graham, and Jennifer Skeen. "Blended learning: Transforming teacher roles in 21st Century education." In *World Conference on E-Learning in Corporate, Government, Healthcare, and Higher Education*, no. 1 (2011): 1089-1096.
14. Cornett, C. E. *What You Should Know About Teaching and Learning Style*. Washington D.C.: ERIC, 1983.
15. Cratty, Bryant J. *Psychology in contemporary sport: guidelines for coaches and athletes*. 2nd ed. Englewood Cliffs, N.J.: Prentice-Hall, 1983.
16. Cripps Clark, John and Walsh, Julia. *Elements of a model of effective teachers, in AARE 2002: Problematic futures: educational research in an era of uncertainty*; AARE 2002 conference papers, Australian Association for Research in Education, Coldstream, Vic., pp. 1-11, 2002.
17. Curtis, Rachel E., Wurtzel, Judy, Ed. *Teaching Talent: A Visionary Framework for Human Capital in Education*. Harvard Education Press, 2010.
18. Czechowski, M., and Z. Zukowska. "The competence of physical education teachers in the health education program." *Roczniki Panstwowego Zakladu Higieny* 61, no. 4 (2009): 395-399.
19. DeCorby, Kara, Joannie Halas, Sheryle Dixon, Lainie Wintrup, and Henry Janzen. "Classroom teachers and the challenges of delivering quality physical education." *The Journal of Educational Research* 98, no. 4 (2005): 208-221.
20. Dumitrana, Magdalena. "The teacher as a person. The person as a teacher." *Научни Трудове на Русенския Университет*. Том 48, серия 6.2 (2009): 137-139.
21. Edginton, C.R. "A Model for Preparing 21st Century Physical Education Teachers". A keynote presentation at the Global Forum for Physical Education Pedagogy 2010, May, Grundy Center, Iowa USA. See:

22. Educating teachers for changing roles: an exchange of policy practice. Thematic Network on Teacher Education in Europe (TNTEE). First report, 2003.
23. Ellis, A.K, &Fouts, J. T. *Research on educational innovations*. Princeton Junction, N.J.: Eye on Education, 1993.
24. European Commission. Common European Principles for Teacher Competences and Qualifications. European Commission, 2005.
25. European commission. Improving the Quality of Teacher Education. Communication from the Commission to the Council and the European Parliament. 2007.
26. European Network on Teacher Education Policies. See: <http://www.pafeldkirch.ac.at/entep/>
27. Fullan, M. &Langworthy, M. *Towards a New End: New Pedagogies for Deep Learning*. Seattle, Washington: Collaborative Impact. 2013.
28. Fullan, Michael. *Teacher development and educational change*. Transferred to digital print. ed. London: RoutledgeFarmer, 2005.
29. Fullan, Michael. *The new meaning of educational change*. 4th ed. New York: Teachers College Press, 2007.
30. Gardner, Howard. *Frames of mind: the theory of multiple intelligences*. New York: Basic Books, 1983.
31. George, Julius R., and Lloyd K. Bishop. "Relationships of Organizational Structure and Teacher Personality Characteristics to Organizational Climate." *Administrative Science Quarterly* 16, no. 4 (1971).
32. Gephart, William J., and Jerry B. Ayers (Eds.). *Teacher education evaluation*. Boston: Kluwer Academic, 1988.
33. Goleman, D. *Emotional Intelligence*. New York: Bantam Books, 1995.
34. Guild, Pat Burke, and Stephen Garger. *Marching to different drummers*. 2nd ed. Alexandria, Va.: Association for Supervision and Curriculum Development, 1998.
35. Guilford, J. P. *The nature of human intelligence*. New York: McGraw-Hill, 1967.

36. Guskey, Thomas R. "Professional development and teacher change." *Teachers and Teaching: theory and practice* 8, no. 3 (2002): 381-391.
37. Guskey, Thomas R., and A. M. Huberman (Eds.). *Professional development in education: new paradigms and practices*. New York: Teachers College Press, 1995.
38. Hallman R.J. The Necessary and Sufficient Conditions of Creativity / Torrance Creativity Its Educational Implications. John Wiley and Sons, Inc. N.Y., 1967. 13
39. Hendry L. B. Assessment of Personality Traits in the Coach-Swimmer Relationship, and a Preliminary Examination of the Father-Figure Stereotype. *Research Quarterly. American Association for Health, Physical Education and Recreation*. Vol. 39, Iss. 3 (1968): 543-551.
40. Hunt, Gilbert H., Timothy J. Touzel, and Dennis G. Wiseman. *Effective Teaching: Preparation and Implementation*. Springfield: Charles C Thomas Publisher, LTD, 2009. *eBook Academic Collection (EBSCOhost)*.
41. Improving the Quality of Teacher Education. COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL AND THE EUROPEAN PARLIAMENT. Brussels, 3.8.2007. COM(2007) 392 final.
42. Jarvis, Matt. *Sport psychology: a student's handbook*. London: Routledge, 2006.
43. Joseph, D., & Heading, M. Putting Theory into Practice: Moving from Student Identity to Teacher Identity. *Australian Journal of Teacher Education*. Vol. 35, 3, (2010): 75-87.
44. Khatal, Mohan N. "A Study of Relationship between Personality Traits & Effective Communication of Teachers from the Professional Courses". *International Research Journal*. Vol. 1, 11 (2010): 16-17.
45. Kincheloe, Joe L., and Raymond A. Horn, eds. *The Praeger handbook of education and psychology*. Vol. 1. Greenwood Publishing Group, 2007.
46. Kobalia, Ketevan, and Elza Garakanidze. "The Professional Competencies of the 21<sup>st</sup> Century School Teacher". *Problems of Education in the 21st Century*. Vol. 20 (2010): 104-108.

47. Kovač, Marjeta, Stephen Sloan, and GregorStarc. "Competencies in physical education teaching: Slovenian teachers' views and future perspectives." *European physical education Review* 14, no. 3 (2008): 299-323.
48. Lavy, Victor. *What makes an effective teacher? Quasi-experimental evidence*. No. w16885. National Bureau of Economic Research, 2011.
49. Maehr, Martin L., and Heather A. Meyer. "Understanding motivation and schooling: Where we've been, where we are, and where we need to go." *Educational Psychology Review* 9, no. 4 (1997): 371-409.
50. Malm, Birgitte. "Towards a new professionalism: enhancing personal and professional development in teacher education." *Journal of education for teaching* 35, no. 1 (2009): 77-91.
51. Mayer, John D., and Peter Salovey. "The intelligence of emotional intelligence." *Intelligence* 17.4 (1993): 433-442.
52. McClelland, David C. "Testing For Competence Rather Than For "intelligence." *American Psychologist*. 28, no. 1 (1973): 1-14.
53. McCord, Paige McGinty. "The Influence of Teacher Characteristics on Preference for Models of Teaching". Ed.Diss. University of Southern California, 2010.
54. McKenzie, Phillip, and Paulo Santiago. *Teachers matter: attracting, developing and retaining effective teachers*. Paris: Organisation for Economic Co-operation and Development, 2005.
55. Melnychuk, Nancy, Daniel B. Robinson, Chunlei Lu, David Chorney, and Lynn Randall. "Physical Education Teacher Education (PETE) in Canada." *Canadian Journal of Education* 34, no. 2 (2011): 148-168.
56. Mosston M., Ashworth S. *Teaching Physical Education*. First Online Edition, 2008. See:[http://www.spectrumofteachingstyles.org/pdfs/ebook/Teaching Physical Edu 1st Online old.pdf](http://www.spectrumofteachingstyles.org/pdfs/ebook/Teaching_Physical_Edu_1st_Online_old.pdf)
57. Mosston, Muska, and Yvon L. Theroux. *Teaching physical education: from command to discovery*. Montréal: Université de Montréal, Département d'éducation physique, 1966.

58. Nicholls, Audrey. *Managing educational innovations*. London: Allen & Unwin, 1983.
59. Nirantranon, Wanit, and BoonchomSrisa-Ard. "A Model of Effective Competency in Health and Physical Education Teacher Development in Small Schools in Educational Service Area Office of Udonthani." *The Social Sciences* 4, no. 4 (2009): 374-381.
60. Norman, Warren T. "Toward an Adequate Taxonomy of Personality Attributes: Replicated Factor Structure in Peer Nomination Personality Ratings». *The Journal of Abnormal and Social Psychology* 66, no. 6 (1963): 574-583.
61. OECD. The Definition and Selection of Key Competencies. Executive Summary, 2003. <http://www.oecd.org/pisa/35070367.pdf>
62. Ogilvie, Bruce C., and Thomas A. Tutko. *Problem athletes and how to handle them*. London: Pelham, 1966.
63. Pantić, Nataša, and Theo Wubbels. "Teacher competencies as a basis for teacher education—Views of Serbian teachers and teacher educators." *Teaching and Teacher Education* 26, no. 3 (2010): 694-703.
64. Reilly, David H. *Education, the captive profession: theory, practice, and prospects for achieving improvements in educational outcomes*. Aldershot, Hants, England: Avebury, 1996.
65. Rogers, Everett M. *Diffusion of innovations*. 4th ed. New York: Free Press, 1995.
66. Salovey, Peter and John D. Mayer. "Emotional Intelligence." *Imagination, Cognition and Personality* 9, no. 3 (1990): 185-211.
67. Saphier, Jon, Mary Ann Speca, and Robert R. Gower. *The skillful teacher: building your teaching skills*. 6th ed. Acton, MA: Research for Better Teaching, Inc., 2008.
68. Schratz, Michael. "What is a "European Teacher?" ENTEP Position Paper. Final version, June 2005.
69. Sharma, Bhatu L. "The Teacher as a Person." RNI: RAJBIL 2009/300097, VOL-II, ISSUE-16, January (2011): 95-96.
70. Shehu, Jimoh, and Martin Mokgwathi. "Mapping Physical Education Student Teacher Competencies and Developmental Needs: Insights from the University of Botswana

- Teaching Practice Assessment Dataset 1998-2004." *International Journal of Applied Sports Sciences* 19, no. 2 (2007):50-62
71. Shindler, John. *Transformative classroom management: positive strategies to engage all students and promote a psychology of success*. San Francisco: Jossey-Bass, 2010.
72. Strand, B. "A descriptive profile of teacher preparation practices in physical education teacher education". *Physical Educator*, 49, (1992):104-113.
73. Stronge, James H. *Qualities of effective teachers. Professional Development in Education*. Vol. 35. Association for Supervision and Curriculum Development, 2007.
74. Swennen, Anja, and Marcel van der Klink. *Becoming a teacher educator: theory and practice for teacher educators*. Dordrecht: Springer, 2009.
75. The Quality of Teacher. Association for Teacher Education in Europe (ATEE). 2006. See: [http://www.atee1.org/uploads/kennisbank/quality\\_of\\_teachers\\_atee\\_def.pdf](http://www.atee1.org/uploads/kennisbank/quality_of_teachers_atee_def.pdf)
76. Thomason, Amy C. "Teacher personal and professional characteristics contributions to emotional support and behavior guidance in early childhood classrooms." PhD diss. Greensboro, N.C.: University of North Carolina at Greensboro, 2011.
77. Torrance E.P. *Guiding creative talent* Englewood Cliffs. N.Y.; Prentice-Hall, 1962.
78. Torrance E.P. *Scientific views of creativity and factors affecting its growth*. Daedalus: Creativity and Learning, 1965. P.663-679.
79. Townsend, Tony, and Richard Bates, eds. *Handbook of teacher education*. Springer, 2007.
80. Trimble, Susan, and Tom Case. "Refocusing Teacher Education: 21st Century Teacher Competencies and Related Factors." 1999.
81. Tun, Ruby Jee. "The relationship of personality factors to teacher longevity of mathematics and science teachers in Nevada". PhD diss. University of Nevada, Reno, 2009.
82. Wanyama, Michael N. "The Challenges of Teaching Physical Education". Major Thesis for the Degree of Master of Education. The University of Melbourne, January 2001.



83. Wayne Payne, "A Study of Emotion: Developing Emotional Intelligence" (PhD diss. The Union for Experimenting Colleges and Universities, 1985).
84. Zeng, Howard Z., Raymond W. Leung, and Michael Hipscher. "An Examination of Teaching Behaviors and Learning Activities in Physical Education Class Settings Taught by Three Different Levels of Teachers." *Journal of Social Sciences (15493652)* 6, no. 1 (2010): 18-28.
85. ბალანჩივაძე, რ. რეფორმა და პიროვნების ფორმირების პრობლემა. *მოამბე*, №12 (2012): 182-188.
86. განათლების ფსიქოლოგია. რედ. მ. ჯაფარიძე. თბილისი, 2005.
87. დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის სტანდარტი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2012.
- [http://tpdc.ge/uploads/pdf\\_documents/pizikuri%20aRrda%20da%20sporti.pdf](http://tpdc.ge/uploads/pdf_documents/pizikuri%20aRrda%20da%20sporti.pdf)
88. დვალი გ. ფსიქოლოგია სპორტის სამსახურში. *მაცნე*, N2, 2005.
89. ვარდანაშვილი ქ. პედაგოგიური ინოვაციკა როგორც განათლების განახლების ფაქტორი. *ელ. ჟურნალი: „კულტურული მეცნიერებები“*, 2011.
- <http://education.ge/index.php?do=definition/view&id=1042>
90. თავდგირიძე ლ. მოსწავლეთა მომზადება და შესატყვისი კომპეტენციების ფორმირება. International Scientific Conference: "Education in the Era of Globalization - XXI Century Challenges". Materials, 2012.
91. თერნბული ჯ. პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი. პრაქტიკული გზამკვლევი პროფესიული წარმატებისთვის. თბილისი: „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი“, 2009.
- <http://elibrary.emis.ge/ge/books/read/37/>
92. იმედაძე ი. *ფსიქოლოგიის საფუძვლები*. თბილისი: „მწიგნობარი“, 2011.
93. იმედაძე ნ. სწავლების აქტიური მეთოდების გავლენა სტუდენტის პიროვნებაზე. პროფ. მასწ. საინსტიტუტთაშორისო სესია. თბილისი, 1988.

94. ნიჟარაძე ნ., ქ. მაკლენი, ტ. ბოლი, ნ. გოგიჩიძე, თ. ლოდია. *სასწავლო და პროფესიული გარემო*. დამხმარე სახელმძღვანელო.ტ. III. თბილისი, 2008.
95. ნორაკიძე ვ. გრიგოლავა ა. „პიროვნების კვლევის მეთოდები“, თბილისი, 1987.
96. უზნაძე დ. *პედაგოგიური თხზულებანი*. თბილისი, 2005.
97. უზნაძე დ. ფსიქოლოგია და პედაგოგიკა. *სკოლა და ცხოვრება*, №1 (1981): 6-14.
98. ფალავანდიშვილი, მ. მასწავლებლის პედაგოგიური ოსტატობა როგორც მთლიანი სტრუქტურა. *მოამბე*, №10 (2008): 70-73.
99. ქობალია, ქ. პედაგოგიური დეონტოლოგია და მასწავლებლის პროფესიულად დღირებული თვისებები. *მოამბე*, №8 (2008): 81-84.
100. ქობალია, ქ. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პროფესიული მახასიათებლები. *მასწავლებელი*, №5 (2013): 48-52.
101. ქსოვრელაშვილი ლ. მომავალ პედაგოგთა ფსიქოლოგიური ბარიერების კვლევა და მათი დაძლევის ტრენინგი. თბილისი, 2002.
102. ყოლბაია მ. *სპორტის ფსიქოლოგია*. თბილისი: „ცის ნამი“, 2003.
103. ჩარკვიანი დ. სწავლის ეფექტურობის შემეცნებით-მოტივაციური პრედიქტორები. *მაცნე*. N1 (2003): 123-129.
104. ჩარკვიანი დ. *ფსიქოლოგიურ მოვლენათა კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები*. თბილისი: „უნივერსალი“, 2009.
105. Абдуллазаде Н. Новый педагогический взгляд на подготовку учителей. International Scientific Conference: "Education in the Era of Globalization - XXI Century Challenges". Materials, 2012.
106. Афанасьева О.С. Структурные элементы компетенции в исследованиях российских ученых. XIV Международная научно-практическая конференция «Актуальные проблемы и современные тенденции развития психологии и педагогики». 2011. <http://gisap.eu/ru/node/1329>.
107. Березин Ф.Б., Мирошников М.П., Рожанец Р.Б. Монография. Москва, «Медицина», 1976.

108. Богоявленская Д.Б. Психология творческих способностей (монография). Самара, «Учебная литература». 2009.
109. Верещагин В.В. 2011. Профессиограмма учителя физической культуры. <http://nsportal.ru/shkola/fizkultura-i-sport/library/professiogramma-uchitelya-fizicheskoi-kultury>.
110. Вишнякова Н.В. *Креативная психопедагогика*. Минск, 1995.
111. Выготский Л.С. *Педагогическая психология*. Под ред. В. В. Давыдова. Москва: Педагогика-Пресс, 1996.
112. Гершман Е.Д. «Особенности подготовки учителей к организации самостоятельной работы школьников процессе педпрактики». *Научный журнал "Письма в Эмиссия. Оффлайн"*, 2012.
113. Гогунев Е.Н, Мартыанов Б.И. *Психология физического воспитания и спорта*: Учеб. пособие для студ. высш. пед. учеб заведений, Москва: «Академия», 2000.
114. Гоноболин Ф.Н. *О педагогических способностях учителя*. Москва, 1964.
115. Григорович И. Н., Поливаев А. Г., Гераськин А. А. «Влияние индивидуально-психологических особенностей личности студентов на формирование профессионально-педагогических умений». *Спортивный психолог*. 1/22 (2011): 85-89.
116. Зимняя И.А. «Ключевые компетенции – новая парадигма результата современного образования». *Интернет-журнал "Эйдос"*, 2006.  
<http://www.eidos.ru/journal/2006/0505.htm>.
117. Ильина С.П. «Становление образа современного педагога у студентов педагогического вуза: результаты исследования». *Научный журнал "Письма в Эмиссия. Оффлайн"*, 2012.
118. Кларин М.В. *Инновации в обучении: метафоры и модели: Анализ зарубежного опыта*. Москва: Наука, 1997.
119. Климов Е.А. *Индивидуальный стиль деятельности*. Казань, 1969.

120. Крутецкий, В.А. Педагогические способности, структура, диагностика, условия формирования и развития Текст.: учеб. пособие / В.А. Крутецкий и др. Москва: Прометей, 1991.
121. Кузьмина Н.В. *Очерки психологии труда учителя: Психологическая структура деятельности учителя и формирование его личности.* Ленинград, 1967.
122. Левитан К.М. *Основы педагогической деонтологии.* Москва: Наука, 1994.
123. Матушанский Г.У., Рогов М.Г., Цвенгер Ю.В. «Информационно-технологическая подготовка преподавателей высшей школы как средство развития их профессионально важных качеств». *Психологическая наука и образование*, №3, 2001.
124. Мысин О.И. «Изучение динамики профессионального становления личности учителя физической культуры на этапе обучения в вузе». Канд. дисс. Московский государственный университет, 2003.
125. Небылицин В.Д. *Психофизиологические исследования индивидуальных различий.* Москва, Наука, 1976.
126. Нестерова О.С. Профессионально-важные качества педагога у студентов инженерно-педагогического факультета. XIV Международная научно-практическая конференция «Актуальные проблемы и современные тенденции развития психологии и педагогики», 2011. <http://gisap.eu/ru/node/1399> .
127. Никонова А.Я., Маркова А.К. *Психология труда учителя.* Москва, 1993.
128. Пригожин А.И. *Нововведения: стимулы и препятствия. Социальные проблемы инноватики.* Москва, 1989.
129. Слостенин В.А. *Формирование профессиональной культуры учителя.* Москва, 1993.
130. Слостенин В.А., Подымова Л.С. *Педагогика. Инновационная деятельность.* Москва, 1997.
131. Собчик Л. Н. Стандартизированный многофакторный метод исследования личности СМЛ. СПб.: «Речь», 2000.

132. Старостина С.Е. Реализация ФГОС педагогического образования: проблемы и перспективы. «Образовательная среда как фактор повышения качества образования». Материалы международной научно-практической конференции, Чита, 10-11 ноября 2011.
133. Теплов Б.В. *Избранные труды*. В 2-х т. Т. 2. Москва: «Педагогика», 1985.
134. Хуторской А.В. *Педагогическая инноватика: методология, теория, практика*. УНЦ ДО, Москва. 2005.
135. Шпаковская О.Ю. «Выявление личностно-педагогических характеристик и компетенций». XIV Международная научно-практическая конференция «Актуальные проблемы и современные тенденции развития психологии и педагогики», 2011. <http://gisap.eu/ru/node/1303>
136. <http://www.scribd.com/doc/169066157/>
137. <http://socpoli.files.wordpress.com/2011/06/e1839ee18398e183a0e1839de18395e1839ce18394e18391e18398e183a1-e183a4e183a1e18398e183a5e1839de1839ae1839de18392e18398e18390.pdf>

## დანართები

*დანართი 1. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის პროფესიულად ღირებული პიროვნული ნიშან-თვისებები*

ფაკულტეტი \_\_\_\_\_

სპეციალობა \_\_\_\_\_

კურსი \_\_\_\_\_

ჩამოწერეთ, თქვენი აზრით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის ყველაზე მნიშვნელოვანი პროფესიულად ღირებული 10 პიროვნული ნიშან-თვისება.

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.
- 6.
- 7.
- 8.
- 9.
- 10.

**დანართი 2. პიროვნების საკვლევი რ. კეტელის 16-ფაქტორიანი კითხვარი**

სქესი: მამრობითი, მდედრობითი (ხაზი გაუსვით)

ასაკი: \_\_\_\_\_

განათლება: \_\_\_\_\_

პედაგოგიური სტაჟი: \_\_\_\_\_ წელი

ამჟამად რომელ საფეხურზე მუშაობთ (ხაზი გაუსვით):

დაწყებითი - I – VI კლასები; საბაზო - VI – IX კლასები; საშუალო - IX – XII კლასები

1. ვფიქრობ, ადრინდელთან შედარებით ჩემი მეხსიერება ამჟამად უკეთესია	ა) დიახ ბ) მიჭირს თქმა გ) არა
2. სიამოვნებით ვიცხოვრებდი მარტო, ადამიანებისაგან მოშორებით	ა) დიახ ბ) ზოგჯერ გ) არა
3. თუ ვიტყვი, რომ "ცა ძირსაა" და "ზამთარში ცხელა", მაშინ ბოროტმოქმედს უნდა ვუწოდო: ა) განგსტერი; ბ) წმინდანი; გ) საეჭვო.	ა - ბ - გ
4. ღამით მე: ა) ადვილად ვიძინებ ბ) მიძინებდა პასუხი გ) მიჭირს დაძინება	ა - ბ - გ
5. მანქანებით გადატვირთულ ტრასაზე მოძრაობის დროს ა) სხვას მივცემდი შესაძლებლობას გაესწრო ჩემთვის ბ) მიჭირს თქმა გ) შევეცდებოდი ყველასათვის გამესწრო	ა - ბ - გ
6. წვეულებებზე მე სხვებს ვაძლევ ხუმრობისა და აქტიურობის საშუალებას	ა) დიახ ბ) ზოგჯერ გ) არა
7. მე კარგად ვგრძნობ თავს მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩემს ირგვლივ ყველაფერი წესრიგშია	ა) დიახ ბ) მიჭირს თქმა გ) არა
8. წვეულებებზე ნაცნობთა უმრავლესობას უდავოდ უხარიათ ჩემი დანახვა	ა) დიახ ბ) ზოგჯერ გ) არა
9. თავისუფალ დროს სიამოვნებით შევავსებდი ა) ფარიკაობით ან ცეკვით; ბ) მიჭირს თქმა; გ) ჭიდაობით ან კალათბურთის თამაშით.	ა - ბ - გ
10. ხშირად ვამჩნევ განსვლას ადამიანის ქცევასა და მის ნათქვამს შორის	ა) დიახ ბ) ზოგჯერ გ) არა
11. როდესაც რაიმე მოვლენის შესახებ ინფორმაციას ვეცნობი, მაინტერესებს ყველა წვრილმანი	ა) ყოველთვის ბ) ზოგჯერ გ) იშვიათად

12. როდესაც მეგობრები მამასხარავენ ან ხუმრობით მაშაყირებენ, ჩვეულებრივ, მათთან ერთად ვიცინი და სულაც არ ვბრაზობ	ა) დიახ ბ) მიჭირს პასუხი გ) არა
13. თუ ვინმემ უკმეხად მომმართა, მე შემიძლია ეს ადვილად დაივიწყო	ა) დიახ ბ) მიჭირს თქმა გ) არა
14. საქმის კეთებისას ვამჯობინებ გამოვიყენო უკვე ნაცადი საშუალებები, ვიდრე მოვიგონო ახალ-ახალი ხერხები	ა) დიახ ბ) მიჭირს თქმა გ) არა
15. როდესაც რაიმეს ვგეგმავ, მირჩევნია ვიმოქმედო დამოუკიდებლად, სხვისი დახმარების გარეშე	ა) დიახ ბ) ზოგჯერ გ) არა
16. ვთვლი, რომ მე სხვებთან შედარებით ნაკლებ მგრძნობიარე და იმპულსური ვარ	ა) დიახ ბ) მიჭირს თქმა გ) არა
17. მალიზიანებს ადამიანები, რომლებსაც უჭირთ გადაწყვეტილების სწრაფად მიღება	ა) დიახ ბ) მიჭირს თქმა გ) არა
18. ზოგჯერ გამაჩნია პროტესტის გრძნობა მშობლების მიმართ	ა) დიახ ბ) მიჭირს თქმა გ) არა
19. ჩემს ფარულ ინტიმურ აზრებს და სურვილებს ა) გავუმჟღავნებდი ახლო მეგობრებს; ბ) მიჭირს პასუხი; გ) ვერავის ვერ გავანდობდი.	ა - ბ - გ
20. ვფიქრობ, სიტყვა "დაუდევარის" საპირისპიროა: ა) პედანტური; ბ) აკურატული; გ) მოწესრიგებული.	ა - ბ - გ
21. საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის მაქვს საკმარისი ენერჯია	ა) დიახ ბ) ვმერყეობ გ) არა
22. მე უფრო მალიზიანებს ის ადამიანები, რომლებიც ა) თავიანთი უხეში ხუმრობით უხერხულ მდგომარეობაში აგდებენ სხვებს; ბ) მიჭირს თქმა; გ) მიქმნიან სიმწიფეებს იმით, რომ იგვიანებენ ჩემთან დათქმულ შეხვედრაზე.	ა - ბ - გ
23. ძალიან მიყვარს სტუმრების დაპატიჟება და მათთან ერთად გართობა	ა) დიახ ბ) მიჭირს თქმა გ) არა
24. ვფიქრობ, რომ: ა) ყველა სამუშაო არ მოითხოვს ერთნაირ გულმოდგინებას; ბ) მიჭირს თქმა; გ) ნებისმიერი სამუშაო უნდა შესრულდეს გულდასმით, თუ ადამიანი მოჰკიდებს მას ხელს	ა - ბ - გ
25. მე ყოველთვის მიხდება უხერხულობისა და შებოჭილობის გრძნობის დაძლევა	ა) დიახ ბ) მიჭირს თქმა გ) არა



26. მეგობრები უფრო ხშირად ა) მე მთხოვენ რჩევა-დარიგებას; ბ) მიჭირს თქმა; გ) ჭკუას მარიგებენ.	ა - ბ - გ
27. როცა ჩემი ახლობელი ცდილობს რაიმეში გამაცუროს, ვამჯობინებ ეს არ შევიძინო, ვიდრე ვამხილო	ა) დიახ ბ) ზოგჯერ გ) არა
28. მომწონს მეგობრები, რომლებსაც: ა) აქვთ საქმიანი და პრაქტიკული ინტერესები; ბ) მიჭირს თქმა; გ) გააჩნიათ ღრმად გააზრებული შეხედულებები ცხოვრებაზე.	ა - ბ - გ
29. ვერ ვიღებ სხვების მხრიდან ჩემი შეხედულებების საწინააღმდეგოდ გამოთქმულ აზრებს	ა) დიახ ბ) მიჭირს თქმა გ) არა
30. ჩემს მიერ წარსულში დაშვებული შეცდომები მაწუხებს	ა) დიახ ბ) მიჭირს თქმა გ) არა
31. თანაბრად კარგი მონაცემები რომ მქონდეს სპორტის ორივე სახეობის მიმართ, ვამჯობინებდი: ა) ჭადრაკს; ბ) მიჭირს თქმა; გ) მშვილდოსნობას.	ა - ბ - გ
32. მომწონს კონტაქტური და დამყოლი ადამიანები	ა) დიახ ბ) მიჭირს თქმა გ) არა
33. მე იმდენად ფრთხილი და პრაქტიკული ვარ, რომ ნაკლებად ვაწყდები უსიამოვნო მოულოდნელობებს, ვიდრე სხვა ადამიანები	ა) დიახ ბ) მიჭირს თქმა გ) არა
34. აუცილებლობის შემთხვევაში შემიძლია დავივიწყო ჩემი საზრუნავი და მოვალეობები	ა) დიახ ბ) ზოგჯერ გ) არა
35. მიძნელდება იმის აღიარება, რომ არა ვარ მართალი	ა) დიახ ბ) ზოგჯერ გ) არა
36. საწარმოში მეტი ხალისით ვიმუშავებდი: ა) კომპიუტერის ოპერატორად; ბ) მიჭირს თქმა; გ) მენეჯერად.	ა - ბ - გ
37. რომელი სიტყვა არ არის დაკავშირებული დანარჩენ ორთან: ა) კატა; ბ) ახლოს; გ) მზე.	ა - ბ - გ
38. ის, რაც ხელს მიშლის ყურადღების კონცენტრაციაში: ა) მაღიზიანებს; ბ) მიჭირს თქმა;	ა - ბ - გ

გ) სულაც არ მაწუხებს.	
39. მომწონს, როდესაც მემსახურებიან	ა) დიახბ) მიჭირს თქმა გ) არა
40. ჩემთვის ყველაზე დიდი სასჯელია: ა) მძიმე სამუშაო; ბ) მიჭირს თქმა; გ) სხვებისგან იზოლირებულად, მარტოდ ყოფნა.	ა - ბ - გ
41. ჩემი აზრით, ადამიანებმა უფრო მკაცრად უნდა დაიცვან ზნეობრივი წესები, ვიდრე ამას აკეთებენ	ა) დიახ ბ) ზოგჯერ გ) არა
42. ჩემთვის უთქვამთ, რომ ბავშვობაში მე ვიყავი: ა) მშვიდი და მიყვარდა მარტო დარჩენა; ბ) მიჭირს პასუხი; გ) ცოცხალი და მოუსვენარი.	ა - ბ - გ
43. ვფიქრობ, მომეწონებოდა გამომთვლელ მანქანასთან ან სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებებთან ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობა	ა) დიახ ბ) მიჭირს თქმა გ) არა
44. ვფიქრობ, მოწმეების უმრავლესობა სიმართლეს ამბობს, მაშინაც კი, როცა ეს მათთვის ადვილი არ არის	ა) დიახ ბ) მიჭირს პასუხი გ) არა
45. ზოგჯერ უარს ვამბობ ცხოვრებაში ჩემი იდეების გატარებაზე, რადგანაც მგონია, რომ მათი განხორციელება შეუძლებელია	ა) დიახ ბ) მიჭირს პასუხი გ) არა
46. სხვებისგან განსხვავებით, ვცდილობ ხუმრობაზე ხმამაღლა არ გავიციხო	ა) დიახ ბ) მიჭირს პასუხი გ) არა
47. არასდროს არ ვგრძნობ თავს იმდენად უბედურად, რომ მომინდეს ტირილი	ა) დიახბ) მიჭირს პასუხი გ) არა
48. მუსიკალური ნაწარმოებებიდან მე მეტ სიამოვნებას მანიჭებს: ა) სასულე ორკესტრის მიერ შესრულებული მარშები; ბ) მიჭირს თქმა; გ) ვიოლინოს სოლო კონცერტი	ა - ბ - გ
49. შვებულების გატარებას ვამჯობინებდი: ა) სოფელში მეგობართან ერთად; ბ) მიჭირს პასუხი; გ) ჯგუფის ხელმძღვანელად ტურისტულ ბანაკში	ა - ბ - გ
50. გეგმების შედგენაზე დახარჯული ძალისხმევა: ა) ყოველთვის გამართლებულია; ბ) მიჭირს თქმა; გ) ამაღ არ ღირს.	ა - ბ - გ
51. ჩვეულებრივ, მე არ მწყინს ახლობლების დაუფიქრებელი ქცევა ჩემს მიმართ	ა) დიახ ბ) მიჭირს თქმა გ) არა


52. მე ყოველთვის ვასრულებ ჩემს დანაპირებს	ა) დიახ ბ)მიჭირს თქმა გ) არა
53. ვისურვებდი მემუშავა: ა) დაწესებულებაში, სადაც მომიწევდა ხალხთან ურთიერთობა და მათ შორის ტრიალი; ბ) მიჭირს თქმა; გ) არქიტექტორად, რომელიც მყუდრო კაბინეტში თავის პროექტზე მუშაობს.	ა - ბ - გ
54. სახლი ისეთივე მიმართებაშია ოთახთან, როგორც ხე: ა) ტყესთან; ბ) მცენარესთან; გ) ფოთოლთან.	ა - ბ - გ
55. ჩვეულებრივ, მე ღრმა და მშვიდი ძილი მაქვს	ა) დიახ ბ)მიჭირს თქმა გ) არა
56. შემიძლია ყოველგვარი უხერხულობის გარეშე პირდაპირ ვუყურო ადამიანს თვალებში	ა) დიახ ბ)მიჭირს თქმა გ) არა
57. ჩემი ნაცნობების უმრავლესობას მიაჩნია, რომ მე ძალიან ბევრს ვლაპარაკობ	ა) დიახ ბ)მიჭირს თქმა გ) არა
58. მე უფრო მომწონს ა) გონიერი ადამიანი, თუნდაც ის იყოს იმპულსური და არასანდო; ბ) მიჭირს თქმა; გ) საშუალო უნარების მქონე ადამიანი, მაგრამ სანდო და მტკიცე.	ა - ბ - გ
59. გადაწყვეტილებებს მე ვიღებ: ა) სხვებზე უფრო სწრაფად; ბ) მიჭირს თქმა; გ) უფრო ნელა, ვიდრე ადამიანთა უმრავლესობა.	ა - ბ - გ
60. ჩემზე უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ა) სინატიფე და დახვეწილობა; ბ) მიჭირს თქმა; გ) ძალა და შეუპოვრობა.	ა - ბ - გ
61. ვფიქრობ, ჩემთვის ადამიანებთან ურთიერთობის ყველაზე მისაღები ფორმაა თანამშრომლობა	ა) დიახ ბ)მიჭირს თქმა გ) არა
62. უფრო მომწონს დახვეწილ და რაფინირებულ ადამიანებთან ურთიერთობა, ვიდრე პირდაპირსა და გულახდილთან	ა) დიახ ბ)მიჭირს თქმა გ) არა
63. ვამჯობინებ: ა) თვითონ გადავწყვიტო საკითხები, რომლებიც პირადად მე მეხება; ბ) მიჭირს თქმა; გ) გავეკითხო მეგობრებს.	ა - ბ - გ

64. თუ ადამიანი ჩემს შეკითხვაზე მაშინათვე არ მპასუხობს, მიჩნდება გრძნობა, რომ რაღაც სისულელე ვთქვი	ა) დიახ ბ) მიჭირს თქმა გ) არა
65. სკოლაში სწავლის დროს მე მეტი ცოდნა მივიღე ა) გაკვეთილზე დასწრებით; ბ) მიჭირს თქმა; გ) წიგნების კითხვით.	ა - ბ - გ
66. გავურბივარ ყოველგვარ საზოგადოებრივ მოვალეობას და პასუხისმგებლობას	ა) დიახ ბ) ზოგჯერ გ) არა
67. როცა რთული ამოცანის წინაშე ვდგავარ და მის გადასაჭრელად სიძნელების გადალახვაა საჭირო: ა) ჩვეულებრივ გადავდივარ სხვა, ახალ ამოცანაზე; ბ) მიჭირს თქმა; გ) დაჟინებით ვცდილობ მოვძებნო განსხვავებული გზა იმავე ამოცანის გადასაჭრელად	ა - ბ - გ
68. თითქოსდა რაიმე სერიოზული მიზეზების გარეშე მეუფლება ძლიერი ემოციები: შფოთვა, სიბრაზე, სიხარული და ა.შ.	ა) დიახ ბ) ზოგჯერ გ) არა
69. ზოგჯერ მე ისე ნათლად ვერ ვაზროვნებ, როგორც სხვა დროს:	ა) დიახ ბ) ზოგჯერ გ) არა
70. მსიამოვნებს გავუწიო ადამიანს ანგარიში და დავუნიშნო შეხვედრა მისთვის ხელსაყრელ დროს, თუნდაც ეს ჩემთვის ცოტათი მოუხერხებელი იყოს	ა) დიახ ბ) ზოგჯერ გ) არა
71. ჩემი აზრით მოცემული 1, 2, 3, 6, 5 რიცხვთა სერიის გაგრძელება შეიძლება იყოს ა) 10; ბ) 5; გ) 7.	ა - ბ - გ
72. ზოგჯერ გარკვეული მიზეზის გარეშე მაქვს გულისრევისა და თავბრუსხვევის შეტევები	ა) დიახ ბ) მიჭირს თქმა გ) არა
73. მირჩევნია, სუფრაზე ზოგი რამ მოვიკლო, ვიდრე ზედმეტად შევაწუხო ოფიციანტი	ა) დიახ ბ) ზოგჯერ გ) არა
74. სხვებთან შედარებით მე უფრო დღევანდელი დღით ვცხოვრობ	ა) დიახ ბ) მიჭირს თქმა გ) არა
75. წვეულებაზე ყოფნისას მე მომწონს: ა) ხალხთან საუბარი; ბ) მიჭირს თქმა; გ) თვალყურის დევნება, თუ როგორ ერთობიან და ისვენებენ სხვები.	ა - ბ - გ
76. მსმენელთა დიდი აუდიტორიის წინაშეც კი შემძლია თავისუფლად გამოვთქვა ჩემი აზრი	ა) დიახ ბ) ზოგჯერ გ) არა
77. წარსულში დაბრუნება რომ შემეძლოს, მე უფრო ვისურვებდი შევხვედროდი ა) გამოჩენილ მხედარმთავარს ბ) მიჭირს თქმა გ) დიდ პოეტს	ა - ბ - გ

გალაქტიონს	
78. ვთვლი, რომ თავი უნდა შევიკავო და არ ჩავერიო სხვების საქმეში	ა) დიახ ბ) ზოგჯერგ) არა
79. პროფესიის არჩევისას ვამჯობინებდი ვყოფილიყავი: ა) დიზაინერი; ბ) მიჭირს თქმა; გ) ეკონომისტი.	ა - ბ - გ
80. როგორც წესი, მე ვიქცევი ისე, როგორც საჭიროდ მიმაჩნია, და არ ვცდილობ სხვებს მოვაწონო თავი	ა) დიახ ბ) მიჭირს თქმა გ) არა
81. თუ ვგრძნობ, რომ ჩემი ძველი მეგობარი ცივად მექცევა და გამირბის, მე, ჩვეულებრივ ა) მაშინათვე გავიფიქრებ, "ალბათ, ცუდ გუნებაზეა"; ბ) მიჭირს თქმა; გ) ვღელავ, რამეში ხომ არ შევცდი.	ა - ბ - გ
82. ყველა უბედურება ხდება ადამიანების გამო: ა) რომლებიც ცდილობენ შეცვალონ არსებული წესები; ბ) მიჭირს თქმა; გ) უარყოფენ სიახლეებს.	ა - ბ - გ
83. დიდ სიამოვნებას ვიღებ ცხოვრებისეულ პრობლემებზე ლაპარაკით	ა) დიახბ) ზოგჯერ გ) არა
84. აკურატული, მომთხოვნი ადამიანები მე ვერ მეგუებიან	ა) დიახბ) ზოგჯერგ) არა
85. ვფიქრობ, რომ სხვებთან შედარებით მე ნაკლებად დამაბული ადამიანი ვარ	ა) დიახ ბ) მიჭირს თქმა გ) არა
86. მე შეიძლება ნაკლები გულისხმიერება გამოვიჩინო სხვა ადამიანებისადმი, ვიდრე მათ ჩემდამი	ა) დიახ ბ) ზოგჯერგ) არა
87. ყოფილა შემთხვევები, როცა მე მთელი დილის განმავლობაში არ მქონია ვინმესთან ლაპარაკის სურვილი	ა) ხშირადბ) ზოგჯერ გ) არასდროს
88. თუ საათის ორივე ისარი ერთმანეთს ემთხვევა ყოველ 65 წუთში, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ: ა) საათი ჩამორჩება; ბ) ზუსტია; გ) წინ გარბის.	ა - ბ - გ
89. მე მოწყენილი ვარ	ა) ხშირადბ) ზოგჯერგ) იშვიათად
90. ამბობენ, რომ მე ჩემებურად მიყვარს ყველაფრის კეთება	ა) დიახ ბ) ზოგჯერ გ) არა
91. ვფიქრობ, საჭიროა თავი აარიდო ნერვიულობას იმიტომ, რომ ეს ძალიან დამღლელია	ა) დიახბ) ზოგჯერ გ) არა
92. სახლში, თავისუფალ დროს:	ა - ბ - გ

<p>ა) ვისვენებ ან ვერთობი;  ბ) მიჭირს თქმა;  გ) ვგეგმავ ჩემს მომავალ საქმიანობას</p>	
<p>93. მიჭირს მეგობრული ურთიერთობების დამყარება ახლად გაცნობილ ადამიანებთან</p>	<p>ა) დიახბ) ზოგჯერ გ) არა</p>
<p>94. ჩემი აზრით, ყველაფერი, რასაც ადამიანები გამოთქვამენ პოეზიის საშუალებით, შეიძლება ზუსტად გამოიხატოს პროზითაც</p>	<p>ა) დიახბ) ზოგჯერ გ) არა</p>
<p>95. ვეჭვობ, რომ ადამიანები, რომლებიც მეგობრულ დამოკიდებულებას იჩენენ ჩემს მიმართ, ზურგსუკან შეიძლება ძირს მითხრიდნენ</p>	<p>ა) დიახ ბ) ხანდახან გ) არა</p>
<p>96. ვფიქრობ, ყველაზე დრამატული მოვლენებიც კი ვერ ტოვებენ ჩემს სულში კვალს ხანგრძლივი დროით</p>	<p>ა) დიახბ) ზოგჯერ გ) არა</p>
<p>97. ჩემთვის უფრო საინტერესო იქნებოდა ვყოფილიყავი  ა) პარკების დეკორატორი ბ) მიჭირს თქმა გ) სადაზღვევო აგენტი</p>	<p>ა - ბ - გ</p>
<p>98. მე უმიზეზო შიში ან ზიზღი მიპყრობს ზოგიერთი რამის მიმართ, მაგალითად, გარკვეული ცხოველების, ადგილების მიმართ და ა.შ</p>	<p>ა) დიახ ბ) ზოგჯერ გ) არა</p>
<p>99. ხშირად ვფიქრობ, თუ როგორ შეიძლება მსოფლიოს გაკეთილშობილება</p>	<p>ა) დიახ ბ) მიჭირს თქმა გ) არა</p>
<p>100. სპორტში ვამჯობინებ:  ა) გუნდურ თამაშებს, რომლებიც ემყარება პრინციპს "ერთი ყველასთვის";  ბ) მიჭირს თქმა;  გ) ისეთ სახეობებს, სადაც ყველა საკუთარი წარმატებისათვის იბრძვის.</p>	<p>ა - ბ - გ</p>
<p>101. ღამით მე ვხედავ ფანტასტიკურ და უჩვეულო სიზმრებს</p>	<p>ა) დიახ ბ) ზოგჯერ გ) არა</p>
<p>102. სახლში მარტო ყოფნის დროს მეუფლება შფოთვა ან შიში</p>	<p>ა) დიახ ბ) ზოგჯერ გ) არა</p>
<p>103. შემიძლია მეგობრულად მოვექცე ადამიანს, რომელიც სინამდვილეში არ მომწონს</p>	<p>ა) დიახ ბ) ზოგჯერ გ) არა</p>
<p>104. რომელი სიტყვა არ არის კავშირში დანარჩენ: ორთან  ა) ფიქრი;  ბ) დანახვა;  გ) მოსმენა.</p>	<p>ა - ბ - გ</p>
<p>105. თუ მერის დედა გიორგის მამის დაა, რა ნათესავია მერის მამა გიორგისათვის:  ა) მამიდაშვილი;  ბ) ბიძა;  გ) ძმისწული.</p>	<p>ა - ბ - გ</p>

დანართი 3. ტორენსის შემოქმედებითი აზროვნების შესაფასებელი მეთოდის  
„დაასრულე ნახატი“



**დანართი 4. მინესოტას სტანდარტიზირებული იმრავალფაზური პიროვნების საკვლევი კითხვარის რიგიდულობის სკალა.**

შეაფასეთ თითოეული დებულება "დიახ" ან "არა"- თი

1. ხანდახან თავში ისეთი ცუდი აზრები მომდის, რომ უმჯობესია მათ შესახებ არავის არაფერი არ ვუთხრა.
2. ბედი გარკვეულ წილად უსამართლოა ჩემს მიმართ.
3. ხანდახან ისეთი ტირილი ან სიცილი ამიტყდება ხოლმე, რომ არ ძალმიდს თავის შეკავება.
4. მგონია, რომ ჩემი არავის ესმის.
5. დროდადრო ჩემში ბოროტი სული ისადგურებს.
6. ადამიანები რომ ჩემს წინააღმდეგ არ იყვნენ განწყობილნი, ცხოვრებაში ბევრად უფრო მეტს მივაღწევდი.
7. იშვიათად ვწუხვარ ჩემს ჯანმრთელობაზე.
8. ზოგჯერ მე მართალს არ ვამბობ.
9. არის შემთხვევები, როდესაც მე არ ვკითხულობ (ყურადღების გარეშე ვტოვებ) გაზეთების მოწინავე სტატიებს.
10. ზოგჯერ ვბრაზდები ხოლმე.
11. არის შემთხვევები, როცა დღეს გასაკეთებელ საქმეს ხვალისათვის გადავდებ ხოლმე.
12. ჩემი აზრით, ადამიანთა უმრავლესობას შეუძლია ტყუილის თქმა იმ მიზნით, რომ სამსახურში წინ წაიწიოს.
13. ზოგჯერ, როცა თავს შეუძლოდ ვგრძნობ, ადვილად ვღიზიანდები.
14. უმეტესად სავსებით კმაყოფილი ვარ ცხოვრებით.
15. ზოგჯერ ადამიანს იმდენად უყვარს მბრძანებლობა, რომ სურვილი მიჩნდება მისი ბრძანების საწინააღმდეგოდ ვიმოქმედო მაშინაც კი, როცა ვიცი, რომ ის მართალია.
16. ზოგჯერ ადამიანს ჩემთვის ზიანის მიყენება უდავოდ გაახარებდა.
17. მე არასოდეს წავსულვარ რისკზე იმისათვის, რომ მიმელო მძაფრი შეგრძნებები, განცდები.
18. ადამიანთა უმრავლესობა პატიოსანია მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინია ტყუილში გამოჭერის.
19. სტუმრად სუფრასთან თავი უკეთ მიჭირავს, ვიდრე სახლში.
20. ვფიქრობ, რომ შეთქმულებას მიწყობენ.



21. მჯერა, რომ თვალყურს მიდევნებენ, მითვალთვალევენ.
22. ვფიქრობ, რომ ადამიანების უმრავლესობა საკუთარი სარგებლობის (გამორჩენის) მიზნით მზადაა ჩაიდინოს უპატიოსნო საქციელი.
23. ვიცი, ჩემი უსიამოვნების უმრავლესობაში ვინ არის დამნაშავე.
24. თუ ჯარიმა არ მემუქრება და არც მანქანებია ახლომახლო, შემძლია ქუჩაზე იქ გადავიდე, სადაც მსურს და არა იქ, სადაც საჭიროა.
25. თამაშის დროს მოგებას ვამჯობინებ.
26. ვიღაცა ცდილობს ჩემს მოწამვლას.
27. ვთვლი, რომ ხშირად დაუმსახურებლად მსჯიდნენ.
28. მე ადვილად ვტირი.
29. მსიამოვნებს ნაცნობებში მყავდეს მნიშვნელოვანი, ღირსეული ადამიანები - ეს როგორღაც საკუთარ თავში რწმენას მმატებს.
30. ჩემს ნაცნობებში არიან ადამიანები, რომლებიც არ მომწონს.
31. ვფიქრობ, რომ განწირული ადამიანი ვარ.
32. არის შემთხვევები, როცა მე ნაცნობებთან ცოტას წავიჭორავებ ხოლმე.
33. ყოფილა შემთხვევა, როცა ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობის დროს ყოველგვარი დაფიქრების გარეშე დავთანხმებივარ სხვის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას (მიმიღია სხვისი აზრი).
34. ცუდი გუნება - განწყობილება სწრაფად გამივლის ხოლმე, რადგანაც ყოველთვის შემძლია რამე საინტერესო საქმიანობაზე ყურადღების გადატანა.
35. ჩემს აზრებს ვიღაც სხვა მართავს.
36. ყურებში იშვიათად ან საერთოდ არ მაქვს ხმაურის ან შუილის შეგრძნება.
37. დარწმუნებული ვარ, რომ ზურგს უკან ჩემზე ლაპარაკობენ.
38. არის შემთხვევა, როცა უხამსი და უშვერი ხუმრობა ჩემში სიცლის იწვევს.
39. ვიღაც ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს ჩემს აზრებზე.
40. მიყვარდა ზღაპრების კითხვა.
41. ხანდახან ყოველგვარი მიზეზის გარეშე არაჩვეულებრივ მხიარულ გუნებაზე ვდგები.
42. ჩემი ცხოვრება თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია დამაბულობასთან.
43. ჩემი აზრით, მეგობრებს ისევე ადვილად ვიძენ, როგორც სხვები.
44. ვღელავ საქმეებზე და ფულზე.
45. დედა ან მამა ხშირად მაიძულებდნენ დავმორჩილებოდი მათ მაშინაც კი, როცა მე ამას უაზრობად ვთვლიდი.
46. მე ძალიან იშვიათად ვხედავ სიზმრებს.

47. ხანდახან მე მეცვლება ხმა (ან ვკარგავ ხმას) მაშინაც კი, როცა გაციებული არა ვარ.
48. ზოგჯერ ჩემი სმენა იმდენად მახვილდება, რომ ხელსაც კი მიშლის.
49. არიან ადამიანები ან საგნები, რომელთა მიმართ შიში მაქვს, თუმცა ვიცი, რომ ისინი ჩემთვის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენენ.
50. ხანდახან საყვარელი ადამიანისათვის გულის ტკივილის მიყენება მსიამოვნებს.
51. ყველაფერი გულთან ახლოს მიმაქვს.
52. ხანდახან მსიამოვნებდა, როცა ჩემთვის საყვარელი ადამიანი ტკივილს მაყენებდა.
53. თითქმის ყოველთვის განვიცდი შიმშილის გრძნობას.
54. ვმორცხვობ, როცა ჩემი თანდასწრებით უმსგავს ამბებს ყვებიან.